

N 2924

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



1871

მეხუთე წიგნი

თფილისი

დუბელინის (გ. წერეთლის ღ აძხ.) სტამბა

1871



«კრებულის» რედაქცია დიდად დანაშაულის მკითხველების წინ წიგნების დაგვიანებისთვის. მსგავსი დაგვიანების მიზეზი მასზე დაუძოვიანობის უარყოფითა იყო. რედაქციას იმედი ჰქონდა თავ-თავის დროსე გამოეშვა «კრებულის» წიგნები, რადგანაც მის შრომაში ნიადაგ მონაწილეობას იღებდა უფ. სკანდელი; მაგრამ უფ. სკანდელს, შინაური გარემოების გამო, თუილისის მიტოვება მოუხდა. ესლა რედაქციამ სტკირა ღონისძიება მიიღო, რომ დაგვიანებული წიგნები მალე გამოსცეს, და ამ წელსვე «კრებულის» წიგნები დანიშნულ ვადებზე გამოიყვანოს.

ჩვენ სმირათ მოგვიდის სსვა და სსვა მსრით «კრებულის» პირველი წიგნის მოთხოვნა. ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენ არც ერთი ეგზემპლიარი აღარა გვაქვს ამ წიგნისა, ასე რომ იმას ჩვენ «კრებულის» სელის მოძწერდებსაც ველარ ვუგზავნით, არა თუ გარძო მუიდეულებს. მაგრამ, რადგანაც ამ წიგნს ბევრი პირი თხოულობს, ჩვენ მის სელასლავ დაბეჭდვას შეუდგებით, და ამ ორი თვის განმავლობაში ვეცდებით გაუგზავნოთ ჩვენ გორაკსპონდენტებს «კრებულის» პირველი წიგნის მეორე გამოცემა. მაგრამ «კრებულის» რედაქცია სთხოვს ყველას, ვისაც კი ამ წიგნის შეძენა სურს, დროთი შეატყობინოს რედაქციას თავისი სურვილი, რომ სელასლავ უწიგნოთ არ დარჩეს, რადგანაც მეორე გამოცემა დაიბეჭდება მარტო ორას ეგზემპლიარათ.




1871

მესუთე წიგნი

თფილისი

დუბელირის (გ. წერეთლის დ. ამს.) სტამბა

1871



საქართველოს  
ბიბლიოთეკა



Дозволено цензурою Тифлиси, 25 Сентября 1871 г.

021

1871

თბილისის ცენტრალური ბიბლიოთეკის

საქართველო

საქართველოს ბიბლიოთეკის (საქართველოს ბიბლიოთეკის) მისამართი

1781

მეხუთე წიგნის შინაარსი:



მკვარის წერილები დამ. V-VII \* \* \* ის...  
ათხა ლექსი ალექსანდრე ჭავჭავაძისა.

შინელი, მოთხრობა ნ. გოგოლისა,  
რუსულით ხათარგმნი ი. მ...საგან.  
(დასასრული)

ებრაული ძეგლი (ლექსი) მ. ფაზელისა

ჩემს ძმას და მეგობარს (ლექსი) მ. ფაზელისა.

დავა, კომედიის ხუთ მოქმედებათ. გ. ერისთავისა.

დალოცვილი ძველი დროება, მო-  
თხრობა, ერკმან-შატრიანისა  
(ხათარგმნი)

ჩვენი ისტორიის მასალები: სამე-  
გრელოს მთავრის გრიგოლ დადი-  
ანის განაჩენი სამართალი

ერობა, მისი დანიშნულება და წეს-  
დება ნ. სკანდელისა.

რა გვეჭირვება? (უნივერსიტეტზე) გ. წერეთლისა.

ბედნიერი ხალხი (ლექსი) \* \* \* ისა.

ნადირობა (ლექსი) აკ. წერეთლისა.

რედაქციისაგან: გულიეერის თარგმანის გაგრძე-  
ლება იქნება დაბეჭდილი მეექვსე და შემდეგ  
წიგნებში.





# მგზავრის წერილებიდან \*).

v

ჩამოვლიდა. თურგისა და მუნივარის ყურებაში და  
ზოგიერთ ფიქრების გართვაში დრო ისე გამეშარა,  
რომ თითქმის ვერ შევიტყუე—მზე როგორ გამოე-  
სალმა მისგან უამთბარ ქვეყნიერობასა და როგორ  
მიუფარა მთებსა. დაღამდა, თვალ წინ აღარა ჩანს რა,  
მისწვდა სმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა დადუმდა.

დაღამდა, მაგრამ არ ვიცი რას ვიქმოდე, რომ  
იმედი არ მქონოდა კვლავ გათენებისა. სიცოცხლე  
სიცოცხლედლა უღირებოდა?.. მიუვარს, ბუნებაჲ, შენი  
დაწეობილობა, რომლის მოსახებითაც უოკელი დამე  
თენდება სოღმე.

დაღამდა, მაგრამ მე მანც სტანციის გარედა ვარ  
და დაყინებით უზრუნველყოფილი გონებას ვადევნებ თერ-

\*) შირველი საში თავი ამ «წერილებისა» «გრე-  
ბულის» მეორე წიგნში იყო დაბეჭდილი.



გის თავსედაღებულის დენის სუილსა. ყველა და-  
 დუმა და შენ არ ჰსდუმობ, თურგო! მე შენს  
 მე შენმის ამ სმა-გაკემენდილს ქვეყანაში თურგის და-  
 უჩუძარი ჩივილი. არის ადამიანის ცხოვრებაში იმის-  
 თანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თით-  
 ქო შენსას აკებიან და იგი თავისას შენ გატეხიან.  
 ამიტომაც შეგიძლიან ჰსთქვას, რომ მარტოობაშიც  
 არსად მარტო არა სარ, ჰოი ორ-ფეხო ცხოველო,  
 რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ დამეს, ვგრძნობ,  
 რომ ჩემს ფიქრებისა და თურგის ჩივილის შუა  
 არის რაღაც იდუმალი კაკშირი, არის რაღაც თან-  
 სმობა. გული მიტოვს და მკლავი მითრთის. რისთვის?  
 დროს დაკარგალოთ ამის შესუსის მიცემა.

დადამდა, მისწუდა ადამიანის ფეხის სმა, მისწუდა  
 ადამიანის მორწმუნული სმაურობა, აღარ იხმის მისას  
 დაღლილის ზრუნვისა და წაღლის ძეგრა, ქვეყნის  
 ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარა ჩანს ჩემს გარე-  
 შემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიან-  
 ნოდ!.. არა, წარსულთ ეს ბნელი და მშვიდობიანი  
 ლამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მამყნით  
 მე ნათელი დი მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა,

წალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლასითა! ჭოი ბნელ-  
 ლო ღამეკ, მკვავრები შენ მე. შენ რომელია და რისკა  
 მუღუყვ ქვეყნისათვისა, მე მტონია, რომ წასწევრო  
 უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდან.  
 შენთა მოკლენათა დასტევს შირველად თავ. წარი ადა-  
 მიანის გონებასა და დაფთოსეს იგი. მას აქეთ შეში-  
 ნებულსა გზა თვისი ვერ უშოვნია, — და აწა იბრძვის  
 ადამიანი და დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი  
 ერთსელ დაფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადუ-  
 ხვევია. აი მიზესი ქვეყნის უბედურობისა. ჭოი ბნელი  
 ღამეკ! მკვავრები შენ მე. შენს კალთის ქვეშ, ვინ  
 იცის, რამდენი გაბორცოტებული მტერი ადამიანისა  
 ესლათავს იძალავს? ვინ იცის ამ ბნელ ფარდის  
 ქვეშ, რომელიც ესლათავს ჩემს თავს. ჩამოაფარე, რამ-  
 დენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნისა სსკედავს ბორ-  
 კილთა ადამიანის ბედის შესაჭედად? შენ ხარ სე-  
 ლის შემწეობი იმ სელობოსა, რომელსაც თავთ-  
 მაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დაფრთხალს  
 გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს სოღმე;  
 შენ ხარ ყაში და დრო გუდიანების სელობისა, სცა  
 ისმის სადღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა. ჭოი  
 ბორცოტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოკვედ  
 შენ!...





სტანციაში შევიტყე, რომ მთებსა დიდ დღეს  
 ლებას ფოქტით მიძაკლისათვის, რადგანც სტანცი-  
 ეში ცხენები სშირად თურძე აკლდებათ. შირნიეს  
 ფასანაურადდე ცხენა მექირავნა და ცხენ-და-ცხენ გადავ-  
 სუჯვიუავ. მე ეს რჩევა ჭკვაში დამიჯდა. იმ ფიქრით  
 მივეცი თავი ძილს, რომ სკალე სკადამს ცხენს ვი-  
 ქირავებ და ისე გადავიფლი მთებსა.

გათენდა. რა მშვენიერი რამა სარ, დილის რიყ-  
 რაყო! რა მშვენიერი რამა სარ, დილის ცვრით შირ-  
 დაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ ამ დილას ყო-  
 ველი ტვივიდი ქვეყნისა უნდა დაუფსებულიყოს, მაგ-  
 რამ თერგი ძანც ბლავის და იბრძვის. ჭხანს ქვეყნის  
 ტვივიდი დაუფსავია.

გათენდა და გაისმაურა ქვეყანამ ადამიანის სმითა;  
 დღემ დაიწყო თავისი დაუდეკარი ფატა ფუცი. კარგია  
 გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია  
 ადამიანი, რომელსაც ძალშიაჯ არა ჭხმინავს, ქვეყნის  
 უბედურობით გულ-აღტვიინებულსა. ჩემო ლამაზო  
 ქვეყანავ, არიან იმისთანანი შესში? მე მოვინახვ და, თუ  
 ვიპოვე, ვეთავჯახები.

გაკედი სტანციის გარეთ და ერთს მოხვევს შევ-



სკდი. ვიჭირაკე მისგან ცხენი იმ ჰირბობითა, რომ  
 თითონაც ცხენით გამოყოფილდა. ბოლომდე წამსწრეთუ  
 ვინასე, დიდად კმაყოფილიც დავრჩი, რომ ჩემი საქმე  
 ეგრე მოეწყო. ჩემი მოსკევე ძალიანი კაცი გამოდგა.  
 იგი იყო ჭლარა-მორეული, ხანში შესული კაცი.  
 ბოლოს გამოხნდა, რომ იგი თვალ-უურ მადეკარიც  
 უოფილა. იმ პატარა ქვეყანისა, რომელიც მის გარე-  
 შემო ბედს შემოესასა და რომელიც იმის უფერუ-  
 ლის ცხოვრების მისაქცევ მასაქცევად დაენიშნა.

შეკსედათ ცხენებსე და წამოკედით სტეფან-წმინ-  
 დიდან. უკანასკნელათ შეკსედე მუინვარს. იგი როგორ-  
 ლაც დიდ-კაცურად იბღვირებოდა თავის სიძალდიდან.  
 ამან ამირია დამშვიდებული გონება. გულმა კვლავ  
 ტოკვა დამაწყო და მკლავმა თრთოლა. სწულის  
 მსულვარებით მოვაშორე თვალი მუინვარის დიდებუ-  
 ლებსა და უფრო დიდის პატრივით გამოკეთსოვე მის  
 ფესთა ქვეშე გაგიყებით მკვალს თერგსა.

ჩემი მოსკევე სანასაკად ღირსი იყო. იგი, სობზად  
 მოსული, იჯდა ერთს პატარა მთის ცხენსედ, რომელიც  
 თითქმის მოელი გზა მკლურის მუნძულით  
 სასაცილოდ მამუნძულებდა. ჩემს მოსკევეს ჩამოეფ-



სადა ბანკოლიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარნიდუნი  
 ბული იდგა განიერ უნაგირზედ გადაბოტყბულად, ისე  
 არსეინად და გულ-უძღვრელად აყოლებდა თავის  
 ასოკანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის დამშვიდე-  
 ბით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიხუსსა,  
 რომ გეგონებოდათ — ამისთანა ქეიფში სხვა კაცი  
 ძნელად თუ იქნება დედამიწის ზურგზედა.

— რა გქვიან, ძმობილო? ვკითხე შე.

— . . . ლელთ ფუნიას მისმობენ, — მომიგო მან \*).

— სადაური ხარ?

— სადაველ? გაიმოტნიდამ, აქაივ მთანია, თერგ-  
 კიდურზედ.

— ქართველი ხარ, თუ რსი?

— რსი რაიდ ვიქნები?! ქართველ ვარ, მხევე.

— კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი?

— არაა, გონჯაი, (\*\*) ჩვენს ბეჩობას შეჭურვობს.

— ამისთანა წყალი, ამისთანა ჭაერი სწორედ ბე-  
 დნიერებაა.

— ჭე! ჩაიციანა მოხევე.

— რას იციანი?

\*) ქართულს შრიტში, საუბედუროთ, არ არის  
 ისეთი მძიმადანი ასოები, რომელითაც სხვა მწიგნო-  
 ბრობებში ხმის-დაყოლებას ნიშნავს სოლმე. ამისგა-  
 მო მოხევის გამოთქმის საჩვენებელათ ჩვენ განსხვა-  
 ვებული ასოები ვიხმარეთ. ამ განსხვავებულ ასოებზე  
 ხმის — დაყოლება უნდა.

(\*\*) გონჯაი — ცუდი.



— საცინაღს ვიცი. ცარიელ სტკამბეჭეტი მკვნით. კერ გაძლებს.

— აქ ძალიან მოსაკალი უნდა. იცოდეს?!

— რაიდ არ ეცოდინების? ადგილ არაა გონჯაი, მატარ გვაქენ: თვითვაულს კაცს ორ-ორ შაბადის ეანა არ ექმნების. ვიწროდ ვარს.

— ეს დიდი გზა დიდ-სელს მოქცემთ.

— რაი ბედანაა გზაი? იგ მისთვის ვარგობს, ვისაც თვის ნაშკრელ-ნამუშევერ გასატან—გასასუიდ აქენ.

— მას ქირაზედ არ დადისართ?

— რაიდ არ დაკვივართ? დაკვივართ.

— მას ქირით ფულს იშოვნით.

— ვშაულაბთ. ჯიბეჩი არ რჩების: მთის კაცი მასევე სვამასის კერძია. ჭამიდი-სმადი არაა სასლ-ჩი, ნაშოკერ დუქანჩი მიდის.

— მას ისეკ ბარი ჭსჯობსუბია: იქ სალსი უფრო მაძღარია.

— ვინ უწყის? იქაითაც საჭირ-ბორცტოია დაჩჩენა. ადგილ საშმობს; იქაველ კაცს ფერი არა აქენ, აქაველ ჯან-მრთელნი არს. ცარგვლის გამზენმა განაგო: იქაით მაძღრობა, აქაით სიმრთელე.

— რომელი ქვეყანა უსჯობია, მამლარი, თუ მართე-  
ლი? ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— ორივეს ერთადა. ერთ-ერთოდ ქვეყანაი გან-  
ჯაა.

— ორში რომ ერთი ამოგარჩევიონ?

— ორნიდა? არჩევანსუდ? ამ ღორღიან კლდეთ  
ვიჯობდი, ჟანმრთელია. ადამის ძეი ბალასითაც, თუ  
გაჭირდის, გაძღების, სატევიარს რაი ეყვის?

ამ დროს ჩემს მოხვეკს უეცრად თოკის უზანგი  
ჩაუწუდა. თავი ვერ დაიმაგრა და ცხენს გვერდსუდ  
მოექცა. მერე ისევ გასწორდა, ჩამოსტა ცხენიდაძმ  
და დაიწყო უზანგის გამართვა.

— საჭარ-ბოროტოია შეკასმულ ცხენ;—წამო-  
იძასა ღამით მოხვეკი: დაიღოც შიშვალ ცხენ: ფეს-  
გადავწვდიდი და გადავწვდიდი.

მე აღარ მხოუცადე მოხვეკს და წინ წავედი.

## VII

— ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს,—გუთხარი  
მახვეკს, როცა მე დამეწია: აი სტეფან-წმინდის პირ-  
დაპირ რა მონასტერია?

— თერგ-გაღმით?

— დას.

— გიწყალობნოსთ ცოცხალთ, შეგინდნოსთ მკვ-  
დართა, წმინდა სამების სასტარი არს უწინდელთ  
განძთა საფარი, ერთა საბჭო.

— როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

— ქართველთა შევეთა განძი აქაიდ უფარვან მტ-  
რანობას, მცხეთაიდ მრავალვერ საუნჯი საფარად  
აქ ზიდულა.

— საბჭო რაღა არის?

— საბჭოი? იქაიდ არს სენაჲ, სად საშართალი  
ბჭეთაგან იბჭოდის. რაიღ მძიმა საქმე სევნი ავარ-  
დის, მუნ იბჭობიდნეს.

— ვერ მეტუვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რა-  
ზედ უფრო მოხდებოდა სოღმე?

— რაიდ ვერ გეტუვი? რაიღ გუწვი, შეგანძენ.  
როდეს ასტუდის ერობანი დიდ-დევა, დიდ-საქმე, დიდ-  
არჩევანი, ერობას იქაიდ გამართვის, აინჩივის ბჭედა  
ბრძენ-ბერ - კაცნი, ჰეიტრობით \*) სასელდებულნი,  
დასმინ მათ იმ სენაგნი საბჭობად. რაიღ მერედ სა-  
მების სასელთ, ღვთისგან მათსაგნილ მადლით იგნ  
ბვენი ჰსთქმანს, გადაჰსტრიდიანს, არვინ შეშლიანს,  
არვინ გადაკლიანს.

\*) ჰეიტრობით—მეტის გონებით სასელ—გან-  
თქმულნი.



— შენ მოსწრებისარ მაგისთანა ბჭობას?

— რაიდ შაკესწროდი? ადრინდალ გიზრასავს.

— ესლა რატომ აღარ არის კგა?

— აწინა?...

ჩაიუქრდა წყმი მოსეკე და ჰასუსი კი არ მომცა.  
ცოტა ხანს შემდეგ თითონ მკითხა მე:

— შენ რაი მიღეთის ხარ?

— ქართველი ვარ. განა ვერ შემატეე?

— რაიდ შეგეტეუვის? ტალავარ \*) არა გაქვენ  
ქართველთა: რუსად მართულხარ.

— განა კაცს ქართველობა მარტო ტანისამოს-  
ედ შეეტეობა?

— თვალთათვის ტეობად სამასელ არ.

— ენა და საუბარი?

— ქართველთ ენად ბევრი საუბრებს: სვამეხიც,  
ეგსიც, თათარიც, სსვა მიღეთიც.

— ტანისამოსს ქართველისას კი ცოტანი იცმენ?

— ქართველის ტალავარის იერი \*\*) სრულად

\*) ტალავარი — ტანისამოსი.

\*\*) იერი - შესედულობა.



სხვია. რუსული ქართველ კაც მეუცხოების.

— ქართველი გულით უნდა ქართველად იქნებოდეს, რომ ტანისამოსი რა არის?

— მართალ ხარ. მაგრამად გულნი ვინ ჩაიხედნის? გული შიგნიდ არს, უსედეკელ, ტალავარ გარედ არს, სახედველ.

— თუმა მე რუსული მაცკია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ.

— იქნების.

არ ვიცი ჩემმა მოსეკემ დამიჯერა თუ არა. ეს კია, რომ იმის შემდეგ ამისთანა ბასი გავაბით.

— წელანდელ სიტუვასედ რომ ვასუსი არ მომეტი,—დაკიწე კვლავ: მე გკითხე, ესლ რატომ აღარ ბჭობენ მეოქი სამების სუნაკში.

— აწინა?... ერობა სადა არს? რუსობანი ვარ. აწინა ვკელაი გაცუდდის, ვკელაი გაუქმდის. ხამების ძირნი სოფელ გერგეთ არს. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვის სასტრის დარჯობაი. მის სამაგიერ მეფეთა თარსნობა მინიჭის სრულ სოფელს, გუჟარინ მასტის საშვილი-შვილად. ვკაველ დამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამკაც დარჯვად იგზავნების. გერგეთელნი აწინაც სასტრის დარჯობას თავადებულბენ, მაგრამად რუსობანი თარსნობა გაუნუდდის, მეფეთ გუჟარს..... უური არ ათსოვის. გერგეთი აწინა სხვა-





კითხა ბეგრძებს. გაუქმდის ადრინდალ დაწყობა, ღთის მათსაენილ — მაღლითი ბჭობაიცი საშქაჩი გუდა- ვარდის.

— მას უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

— რაიდ არა?

— რით იყო უკეთესი?

— ადრინდა ავად, თუ კარვად ჩვენ ჩვენა თავნი ჩვენადვე გვეუდნეს, მით იუვის უკად. ადრინდა ერთ-ერთობდის, გული გულობდის, ვაყაი ვაყაბდის, ქაღაი ქაღაბდის. ადრინდა?! ერთ-ერთი დაკუყუნით, ერთ-ერთს ვისგაწებდით. ადრინდა?! ქვრივ-ობლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს, \*) გარედ მავნეს დაკულაგმნდით, ღთისა და ბატონის იასაულს მის ყუდრას არ მიკვერძდით, ერთ-ერთს ღაღ მტერთან ჩაკეფარვიდით, დაცემულ ვიურვედით, ატირდომილს ვასლიშნიდით და ერთედ იუვის ბრალეუბა ვაგნისა, ერთ-ერთობა.

\*) მიწრიელი — კშმაკი.



ქართული  
ბიბლიოთეკა

— ესაა რომ მშვიდობიანობა არის?!

— რაის ვაქსეკ ცარიალ მშვიდობას ცარიელ სტკაძაქით. რაი არნ მშვიდაბა? უსძარ სატე-  
ვარს უახვი დაეღვის, უსრბოლო წყალხი ბაუაენი, ჭია-  
ჭუაი, ქვემძროჲი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ  
თერგჩი კი ვალძახი იცის. რაი არნ მშვიდაბა ცოდესკალ  
წატათავის? რაი არნ მტერობა თუ ერი ერობს?  
ცარიელ მშვიდაბა მიწანიც გვეუოფის.

— მტერი რო დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და  
ცოდშვილ გიწიოკებდათ სოლმე?

— აწინა მაკალე სვამესი უფროს გვაწიოკებს, უფ-  
როს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-  
სრძალით შეკეთამაშით, ვიგერიებდით, სვამეს რაი  
ეუვის? ვერ მოსაკერიებულ, ვერ შესათამაშებულ.  
ადრიდა მტერთან ბრძოლანი, სწორების კობინობანი



სასკელ ვშოობდით, სვამესთან ვაყაი რაი სასკელ ხა-  
 მორხების? ადრიდა, მართალ სარხ, მტკრე იუკდს  
 ერთგულთა ვაყათა ხუქებაც დიდ-იუკის! <sup>მტკრე იუკდს</sup>  
 მულ ეობკის, თარხნობაი მიეწეკობდის. აგერხა თერგ  
 კიდურზედ ხელთ-უქმნი ცისეი ხნდების. იგ  
 ცისეი არშისა ცისედა ცნობილ არხ.

— როგორ ხელთუქმნი?

— ღთით არხ ცისედა, არ შუუვალ, არ შუუ-  
 ლეწ.

— შერე რა უნდა გეთქვა?

— იქაიდ ადრიდა კასთ-ლაშქარ მისეკოდის: ელაშ-  
 ქრნათ, იგ ცისე ხელთ ეხუროთ. ბეკსა შუძრუნე  
 ბულს ბატ რხთან შკელაი კვრახსა. მან შკელა კერ  
 მაქსცის. შაწუსდის უშკელი კრი. კასთა ვაყანი ხე-  
 ვისანი მრავალნი მასოცხეს, მაკიდნენ ცისეჩი, ალაშ-  
 ნი დაქსცის. ერთი ყათილა შკიტ-რ ბერ-კაცი, მასეკე;  
 ქალაი ჭყოლია უთსოვარ, მშედ-უნახველ. მან მასეკე  
 გაისაურხა \*) კასთ-ლაშქრის დათრობად. მანდადხ  
 ღვინოი, შავზავნა ცისეჩი. თვისა ქალსა, მშედ-უნა-  
 ხველს, მალეინოზა შუუთქქნა, უანდერძხა. კასთა ღვი-  
 ნოის მწეურვალთა, ღამაშ-ქალაის მხირალთა თავი  
 იღო-ხეს, სრულ ითვრენ ღვინოით. ქალაიმ განახვ-

\*) გაისაურხა—გაისაზრა, მოიფიქრა.



ნის ცისის კარნი, მასევეთ ამენის მოდორნა კახთ /  
 დაშქრის. მოვეს მოსევენი, შავეს უკებრად ცისუნა, //  
 დაჭსცენ კიყინა, კასნი სრულ მოვრალნი მანოცნის, //  
 სულთ იგდის მასევეთ კვლავადა ცისე. არაკვთ  
 ერისთავს იგ ამენეს. მან მაჭსცა წუალოზად იმ ქალაიხ  
 მამას იგ ცისე, გუჟარცე მაჭსცა....

— ეგ რა ვაჟკაცობა უოფილა?

— რაიდ არა? ჭეუიანი ვაჟ-კაცობაი ეგე არნ: სად  
 ღონეი ვერ ღონოს, იქაად სერსს ემუდვინს.

— მგ კასელების ამოსოცის ამბავით რა უნდა  
 გეთქვას?

— აწინაუაველნი ქართველნ ძმანები ვარნ, არ მტ-  
 რობით ვისაუბრე კასთათვის. იქ უნდა შემესმინა,  
 რომ ადრიდა სამსასურს თაკ-ვიდევედით, საჩუქარიც,  
 ბოძებაც დიდ-ივეის; სასელით, ვაჟკაცობით სარწო-  
 საბადებელთ მსოვერ ვიუვენით; კაცი უბრალად არ  
 წარსდის. აწინა ტყუობით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა  
 გატესვით, ერთ-ერთ ღალატით სარწო-საბადებელ  
 მსოვერ წაგვისდინს.

მართალია თუ არა ჩემი მოსევე, მე მაგის განინ-  
 ვვაში არ შეკალ. ან რა ჩემი საქმეა ეგე? მე გაკვ-  
 რით, როგორც მგზავრი, ვისსენიებ მას, რაც მისგან  
 გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმისის  
 აწრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტ-

უკისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი  
განზრასკაც შემისრულდება.

ჩემმა მოხვედრამ მე კიდევ ბევრი რამ სსვა მითხრა,  
მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდ-  
გება, შემთხვევისა გამო სსვისა და სსვისა. . . . მე  
მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით  
თავისს გულის ტკივილს მიმასხედრე. მიგისვდი, ჩემო  
მოხვედრე, რა ნესტარითაცა სარ ნახივლეთი. . . .

\*\*\*




# თ. ლექსანდრე ჭავჭავაძი- საგან თქმულები \*)

## I

ვინ სოფელს ამას და მისთა მდგომრთა,  
 ბორბოტებისა და სინდრუვის ჭურთა,  
 კეთილ-მოყვარების და თრგუნვის მსურთა  
 უსაფუძველლათა  
 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და სვეჭით.  
 აქ აქებენ ძვირსა მსაკვარნი სულნი,  
 მსიქრასკენ კეთილ-მოქმედთ შურითშეგრულნი,  
 შოგნი არიან გამდიდრებულნი,  
 გარსა რითა, ძმანო?  
 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და სვეჭით.

\*) ეს ლექსნი დავით რექტორის, ეხეიგი, ტუბიას  
 სულით არის გადაწერილი. ოთხნივე ესენი რედაქციას  
 თ. ილ. ჭავჭავაძემ გადმოსცა დასაბუჭდათ.





სამეფონი ურთიერთს მსკელობენ, <sup>მტაცებელი</sup>  
 შეუწყლად, მსკეობ კაცთა მსკელობენ,  
 მდიდრდებიან, რომელნიცა მსკელობენ,  
 და ყვავილოვნებენ  
 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და სვეჭით.

ძალი დაკალს ღიბით ხაქცევთა ზედს,  
 ხად სიმართლე მისგან შენარაჲკედა?  
 მისთ ყვავილთა ფერსით ღასავს გზასკედა,  
 რომელნი სჭენებთან

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და სვეჭით.

გარნა მსკეცა შემდგომ სხვისგან იმსკეობს,  
 თვისგან ქმილი თუ სდავე მიქცევის,  
 ყველაგაი წარუგლს, განსკეობს,  
 რაცა ქონდა ჰოვნილ

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და სვეჭით.

ზოგადნიძე სარგებლის სპოვნულად  
 დაარღვევენ ქსეულსა დაუფოვნულად,  
 არ დაზოგვენ მსკეცვისთა თვისთა სპეკულად,  
 შეჭერებენ სუნჯეს

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და სვეჭით.

. . . . ., რომელთ სვესაც ვმურვით,  
 არს მოცუელნი უმრავლესითა ურვით,  
 ფიქრ — მრავლობენ განდიდებისა სურვით,  
 ატარებენ ჟამთა

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და სკეჭით,  
მონელენი, მათ გარეშე მდგომელნი,  
მათათა თვისთა შურ — მტერობის მჟონელნი,  
სკეჭლენ ერთმან-ერთს, ნაცვარცთ გამომძრინამელნი,  
და შექმნიან

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და სკეჭით.  
რომელხიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას  
და ჭსთისოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,  
ძოელოდდეთ მათთან თანაჭსწორებას,  
არ მარადის იშვათ

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და სკეჭით.

II

ჟი წარმავალნი გსახს ჩაღნი, \*)  
თვალთა საამოდ, სილვად კმანო,  
ეყენსა ჟაჭვად წნულნი თმანო,  
მე უჩვე მქმენი ..... დაბმულ თქვენიით....  
ვინ სართ ამ არეს მოარულნი,  
მნაინი დრუბელსა მოფარულნი?  
თუ გაქვსთ ჰატიმართ, სიბრალულნი,  
მხოვეთ აქ მე..... ვამე, ვამე!....  
ხად სვალთ წუკდიადის გამოენანი,

\*) ეს, მგონია, კასარძობის დროების ლექსია.  
ი. ჭ.





რომელთ გაქებენ ყოვლთ ეხანი, თუ გწადსთ დღე ბნელთა გვაძთ ღმერთნი, მკურნეთ აჰა მე..... ვამე, ვამე!....

ჴი ვაყნო, ჴსკვრიტეთ ამა სახლსა, სადგურსა ძხელსა, ყოვლით თაღსსა, არ გებრალვისთა ეგდენთ საღსსა მას შინა მყოფი..... თქვენი მიმობი?...

წარმოიდგინეთ იგი ყმნი, ყოვლად ძვირფასნი მისნი წამნი, როს ვიქადოდით ყოვლნი გვაძნი მატრონის ყოლით..... მის წინ ბრძოლით...:


გესედავ თქვენ შორის სრულ გამქრალა ერთ-გულეებისა საბერწკალა, ჴსტანით, რომ გყოფენ დღეს, თუ სვალა თქვენც ჩემებრ მომენად.... მოუსკენად.

ცუდ არს თქვენთანა ესდენ ძნობა, ჴსყოფს დავივიწყო მნათობთ მკობა ვაწნობო ვის ჴსურს მათი ყმობა მთქმელმან აჰა მე..... ვა მე, ვა მე! ...

## III

ვიხაც გვსურსთ ჩემთა ჴამხავთა ცნობა \*),

\*) ესეც განარმობის ღქესი უნდა იყოს.



მისძინეთ ჭირში იულობილს;

მისძინეთ, ვით მაქვს ჭმუნვა და თმობა ურვისგან გულ-შეშერობილს.

მას გჭსჭვრეტ ზატიმრად, ვის მონებს გული,  
მისთვის გლას განწირული,  
მაქვს მწუნარება ზედა-ზედ ჭრთული,  
მარად შეასლვის წყლული..

ვისაც გჭსურსთ ხემთა ჭამბავთა ცნობა,  
მისძინეთ ჭირში იულობილს,  
მისძინეთ, ვით მაქვს ჭმუნვა და თმობა  
ურვისგან გულ-შეშერობილს.

გუშავნი ბევრნი თვითონს მცველად  
გვევან ნების წარმტაცველად,  
ხვალ სხვანი მოკლენ მათს გამომცველად  
გველივე ჭმთება გველად.

ვისაც გჭსურთ და სხვანი.....

ღმობითა ვსედავ კვლავ წარმავლთა  
მოსუცთა ვაყთა, ქალთა,  
გრძნობა რაიმე აღმივსებს თვალთა  
და მადენს ცრემლთა ცხართა.

ვისაც გჭსურთ და სხვანი.....

გაცთ—უბედობა, თუმცა სტირე,  
გარნა რად გასაკვირვე?..

ამა ხოთულისა დიდი და მტირე



აწს ცვალებიას მზირე.

ვისაც გქსურთ ჩემთა ჰამბავთა ცნობას, ქართული  
საბჭოთაოთხედა  
მისმინეთ, ჭირში ფლობილს,  
მისმინეთ ვით მაქვს ჭმუნვა და თმობა  
ურვისგან გულ — შეპყრობილს.

## IV

სელოქა ჭკვიანის ლექსი, თავის გულიდან  
ამოდებული, თავის საყვარელთან მიწერილი.

მითხარ, თუ ვასალო თავის რა ქვასა,  
ნეტა რა ჰყოფილხარ, ვინა ჰყოფილხარ?  
ერთი მე მამტყუებ ათასი სსვასა,  
ჩემი მეგობრე, სსვისა ჰყოფილხართ.

ჩემ თვალნი ვი იარო მანც მარდისარ,  
გულმა სომ შენ მოგეც, იმის დარდისარ;  
თუ ჰსთქვა ჩემთვის აღდგომა დღეს მწვადისარ,  
შენგნით გავძლე, გემრიელი ჰყოფილხარ!

სიტყვას იტყვი, ჩემი ყურმა იხმინებს,  
კარნი ვასვალ, ჩემი თვალმა იხილებს,  
სუნმა მომედინოს, გულმა იღსინებს,  
მე ბუღბული შენ ყავილი ჰყოფილხარ.

ფეხნი მოგიდებს ჩულქი ბამბაკმა,  
ფიანდაზად იყო ღორე ფანბაკმა  
ზღანსე ვაშუქებ თბილი ოთახმა,  
მოდი, მოვიღსინოთ, ძნელი ჰყოფილხარ!

თმანი გაქვს შავი იშტარსნის სიზიდალა,  
ნეტა თუ გამხადო მე შენი ღალა,  
ეს თაუმა შენია დღესაც და ხვალც,  
გუნჯვალე, რატომ ძნელი ჰყოფილხარ!...

ნუ მკლავ, ნახლუირო, ამტოლ ტანჯვითა,  
ერთი დამენახვე ღამაზ-პრანსკვითა,  
გულმა შეს დაბი რკინას ჟაჭვითა,  
ვა, ვა, ქალო! რა მკედელი ჰყოფილხარ!...

ეს სიტყვებმა დღეს ჩემგნით საქნარა,  
ჩემი გული თუ ჰსთქვა ღია კარია,  
შედის და გამოდის კუთის ქარია!  
ჰსთქვი ხელაქამ, რა ტეხილი რამ ჰყოფილხარ?!





# შინელი

მოთხრობა ნ. გოგოლისა

(დასასრული)

ქუჩაზედ რომ გამოვიდნენ, პეტროვიჩი უკან ჩამორჩა და დიდ ხანს უცქეროდა თავის შეკვრულ შინელს.. შემდეგ იმან წინიღამაც შეხედვა მოინდომა და ამისათვის დაუარა თავი აკაკი აკაკიევიჩს და ერთს ქუჩაში დაუხვდა წინ...აკაკი აკაკიევიჩი მეტისმეტის მხიარულობათ მიდიოდა სამსახურში, ბევრჯელ კიდეს ჩაიციინებდა ხოლმე, როდესაც მოაგონდებოდა, რომ მას მხრებზე ახალი შინელი ეხურა. მართლაც რომ საფუძველი ჰქონდა მისს სიხარულს, ერთი ის რომ შინელი კარგი შეკვრული და ტანზე სწორეთ გამოჭრილი იყო და მეორე ის რომ ამ ყინვაში ძალიან ათბობდა. ქუჩები იმან ისე აღტაცებით განვლო, რომ სრულებით ვერ შეიტყო, როგორ მივიდა დეპარტამენტში. წინა ოთახში მოიხადა შინელი, ერთი ახედ-და-

ხელა თავი დამ ბოლომდისინ და სთხოვა შევი-  
 ცარს, რომ იმაზედ განსაკუთრებით ყურად-  
 ლება ჰქონოდა. - საი დამაც იყო, ყველა მისს თა-  
 ნამომსახურეებს შეეტყუათ, რომ აკავი აკაკიე-  
 ვის მისი დაკერილი, ტომარის მგზავსი, შინე-  
 ლის მაგიერ, ახალი შინელი შეუტყურავსო; დაი-  
 ნახეს თუ არა ის შემოსული, მაშინვე ყველა  
 ერთიანათ გაცვინდა წინა ოთახში, შინელის  
 სანახავათ. მიეგებნენ აკაკი აკაკიევიჩს ერთის  
 მილოცვით და ლოცვითა; აკაკი აკაკიევიჩი ჯერ  
 ტკბილად იცინოდა, მაგრამ ბოლოს ცოტა არ  
 იყოს იმას შერცხვა ცოტა ხნის უკან აუტყდენ,  
 რომ საჭიროაო ახალი შინელის სასახელოთ  
 ყველა დაგვპატიჟოო აკაკი აკაკიევიჩი, ამის გამ-  
 გონე, ისე დაიბნა, რომ არ იცოდა, რა ექნა;  
 არ იცოდა, რა პასუხი მიეცა იმათთვის ან რო-  
 გორ მოეშორებია თავი დამ. შერცხვენილმა და  
 გაწითლებულმა დაიწყო ვითომც თავის მართ-  
 ლება იმითი, რომ ეს შინელი ახალი არ ირისო,  
 ძველიდგან გადავაკეთებო და ბევრი ამ გვა-  
 რები. ბოლოს რომ აღარ მოეშვენ, ერთმა სტო-  
 ლონაჩაილნიკის თანაშემწემ თავის გამოსაჩენათ,  
 რომ ის სრულებით ამაყი არ არის და ქვეშე-  
 ვრდომებს ამხანაგებრ ეპყრობა, წამოიძახა; რაც



იყოს და იყოს აკაკი აკაკიევიჩის მაგიერ გთხოვთ დღეს სალამოს ჩემთან მოზრდნდეთ ჩაიზე, მისდა ბედათ ჩემი დღეობაცაა დღეს. მომსახურეები მაშინვე მიცვივლენ იმასთან მისალოცავათ; აკაკი აკაკიევიჩა პირველად ვითომც განაზდა, მაგრამ, როდესაც უთხრეს, რომ ეს უზრდელობა და კაცის დაუფასებლობა იქნებაო ვერაფერი მაახერხა და თანხმობა განაცხადებოლოს, რომ დაფიქრდა, კიდევ გაუხარდა, რომ იმას შემთხვევა აქვს ახალი შინელით შეყრილებაში სალამო გაატაროს. აკაკი აკაკიევიჩი ფრიად გახარებული დაბრუნდა სახლში. მაშინვე გაიხადა შინელი, ერთი კიდევ დაათვალიერა და დიდის მოწიწებით ჩამოკიდა კედელზე. შემდეგ როდესაც გამოატანა ძველი სრულებით დაცრეტილი შინელი და შეადარა ახალთან, თავათვე შესქდა სიცილი, ისე დიდი განსხვავება იპოვა იმათ შორის. სადილათ რომ დაჯდა მაშინაც ბევრჯერ შესქდებოდა ხოლმე სიცილი, როდესაც მოაგონდებოდა ძველი შინელი ახალთან. სადილი ასე ერთის სიცილით და ხარხარით სჭამა, შემდეგ მის მაგიერ, რომ საწერათ დაიჯდარიყო, მოინდომა დიდ კაცურათ ლოგინზე დაგორება, მანამდის დაღამდებოდა,

დაღამებულს საჩქაროთ წამოხტა, გარდიცვა ახალი შინელი და გავიდა ქუჩაში. არ უცნო, სად იდგა მისი ამ საღამოს მასპინძელი, თუმცა ნამდვილი კია, რომ ის უფრო სუფთა ქალაქის ნაწილში იდგა და მაშასადამე ახლოს არ უნდა ყოფილიყო აკაკი აკაკიევიჩზე. ჯერ-ჯერობით იმას ბნელი და მყუდრო ქუჩები უნდა გაეცლო, და რაც უფრო უასლოვდებოდა თავის მასპინძლის სახლს, ისე უფრო უკეთესი და გაჩაღებული ქუჩები ჩნდებოდნენ. ამ ქუჩებზე ის უბრალო მედროეკეებს-ვანკებს — ველარ ხედავდა, მის მაგიერ აქ სულ ლიხაჩები დაქანობდნენ, მოსეირნებდა კაცნი ან ქალნი მშვენიერი მოკაზმულნი, ბობრის თუ სხვა გვარ საზამთრო სასახურებში გახვეულნი, ხშირათ შეხვებოდნენ ხოლმე იმას. ყველა ესენი აკაკი აკაკიევიჩს ეუცხოებოდა, თითქოს ხამობდა და მართლაც, რამდენიმე წელიწადი იქნებოდა რაც იმას ამ ქუჩაზე არ გაეცლო. — ამ სიარულში ის უეცრად გაჩერდა ერთს გაჩაღებულ ფანჯარასთან, საიდანაც გამოცქეროდა მშვენიერი ახალგაზდა ქალი, რომელიც ფეხსაცმელს იხდიდა და ამასობაში გამოეჩინა ლამაზი ფეხი. ამ ქალის უკან მეორე ოთახის კარებიდამ იყურებოდა





ნიკაბზე გაწკიტინებული წვერით კაცი. ესენი რომ დაინახა აკაკი აკაკიევიჩმა, გააქნია თაფი, ჩაიციხა და გაუდგა გზას.. არა, რაზედ ჩაიციხა იმან! ნუ თუ იმაზე, რომ სრულიად უცნობი სურათი ნახა, ან და რომ ეგების სხვა ჩინოვნიკებსავეით იფიქრა იმან შემდეგი: «ეს ფრანკუზები! რა სათქმელია! თუ რამე იმისანა მოინდომეს... უთუოთ რომა, რაქვიან.....» შეიძლება ესეც არ ეფიქრნა... ეხლა მართლა სულში ხომ ვერ ჩაუძვრები კაცს, რომ შეიტყო ყველაფერი რასაც ის იფიქრებს...

როგორც იქნა, მიაწია მასშინძლის სახლთან. — ეს სტოლის უფროსის თანაშემწე მდიდრულათ იდგა. იმას სადგომი მეორე ეტაჟაში ჰქონდა დაქირავებული, კიბე ფანრით იყო გაჩაღებული. აკაკი აკაკიევიჩი რომ შევიდა წინა ოთახში, იქ იატაკზე ბევრი ჩამომწკრივებული კალოფები ნახა. ამავე ოთახში, შუა ადგილას, სტოლზე, იდგა ადუღებული სამოვარი. — კედელზედ სხვა და სხვა გვარი, ზოგი კვერნისა და ზოგი ხავერდის საყელოიანი პალტოები თუ ქურკები იყვნენ ჩამოკიდებულნი. — ოთახიდან მოისმოდა ხმაურობა, რომელიც უფრო გასარჩევი შეიქნა, როდესაც ლაქიამ გააღო კარი

და გამოიტანა კოლნოსით ცარიელი სტაქნები, სარძე და სუხრის კალათი; სჩანდა, რომ სტაქნები დიდი ხნის შეყრილნი ყოფილან და თითო სტაქანი ჩაი დაუღეფათ კიდევ. აკაკი აკაკიევიჩმა თავის ხელით მოახადა შინელი, ჩამოკიდა და შევიდა ოთახში. შესვლისათანავე, როდესაც დაინახა ერთად ბევრი ანთებული სანთელი, კარტის სათამაშო სტოლები, რომლის გარშემო შემოფარული იყვნენ მისი ამხანაგები და ზოგი ციგარებიდამ და ზოგი გრძელ ჩიბუხებიდამ აბოლებდენ კომლს, ის ისე დაიბნა, რომ არ იცოდა რა ექნა: გაჩერდა შუა ადგილას და ფიქრობდა — რა მოეხერხებია. ამ დროს შენიშნეს ის და ერთი ყვირილით და გამარჯვების ძახილით მიეგებნენ. მაშინვე გაიქცნენ შინელის სანახავათ. — ცოტა არ იყოს, თავდაპირველად შერცხვა აკაკი აკაკიევიჩს, მაგრამ ისინი როდესაც დაბრუნდნენ და ყველამ ერთის ხმით უქო შინელი, ცოტა გაუხარდა. შემდეგ ყველამ მიატოვა ის და მიუსხდნენ თავიანთ სტოლებს კარტის სათამაშოთ. ბოლოს როგორც იქნა ისეც მიუჯდა ერთს სტოლს, რომლის გარშემო ისხდნენ მისი ამხანაგები. აქ ხან ქალაქში ჩაუხედავდა მოთამაშეებს და ხან



ერთს და ხან მეორეს უყურებდა თვალთშეპყრობით. ცოტა ხნის უკან თვლენა და მოქნილობა დაიწყო. ფრიად მოწყენილათ გრძნობდა თავის თავს, მიტომ უფრო რომ დიდი ხანია დამდგარიყო ის დრო როდესაც ის დასაძინებლათ დაწვებოდა ხოლმე. აკაკი აკაკიევიჩმა დააპირა წასვლა, მაგრამ არ გაუშვეს — უთხრეს, რომ უთუოთ თითო ბაკალი შამპინსკი მაინც უნდა დალიონ მისი ახალი შინელის პატივის ცემისათვის. ერთი საათის შემდეგ ვახშამიც შემოიტანეს, რომელსაც ციფი ხზოს ხორცი, ვინეგრეტი, პაშტეტი, კანდიტერის პიროვნები და შამპანსკი შეადგენდა ორი ბაკალი გადააკრეფინეს აკაკი აკაკიევიჩს, რომლის შემდეგ იმან, თუმც იგრძნო ოთახში უფრო სინათლე, მაგრამ მაინც ვერა გზით ვერ დაიფიწყა, რომ სახლში წასვლის დრო იყო კიდევ რომ მასპინძელს არ დაეკავებია, ჩუმათ აიღო ქუდი და გამოიპარა ოთახადამ. მის და სამწუხაროთ შინელი იატაკზედ ნახა დაგდებული: აიღო, გაბერტყა, ააცილა თუ სადმე ღინღლი მიჰკეროდა, ჩაიცვა და დაეშვა კიბეზე. ქუჩები ჯერ კიდევ გაჩაღებული იყვნენ; ზოგიერთი საწვრიმალო დუქნები და კლუბებიც დაკეტილი იყვნენ, მაგრამ ზოგიერთე-

ბილამ კიდევ მოიჭყიტებოდა სინათლე ემის დასა-  
მტკიცებლათ, რომ ამ სახლების მოსამსახურეებს  
და ან ღამის გუშაგებსაჯერ არ სძინიეთ აკაკი  
აკაკიევიჩი ფრიად ხალისიანათ მოდიოდა; ერთ-  
ხელ სიარულში თითქო უნებლიეთ გაიქცა კი-  
დეც, როდესაც ვალაც ქალმა ისარივით ჩაურ-  
ბინა გვერდით; მაგრამ მალე შეჩერდა და ისევ  
ჩვეულებრივი, წელი სიარულით წაეიდა. მალე  
მიაწია იმან იმ ქუჩებამდინ, რომლებზედაც  
არამც თუ ღამე დღეც იშვიათად შეხვებოდა  
კაცი. აქ ფანრებს როგორღაც სიბნელე შემო-  
პარვოდათ, ალბათ ნაეთი უნდა შემოკლებუ-  
ლიყო აკაკი აკაკიევიჩს ამ ქუჩებზე, გარდა  
თოვლით შემოსილ ხის სახლებისა და ღობე-  
ებისა, არა უნახავსრა და არც არაეითარი სულ-  
დგმული შეხვედრია. ამასობაში მიახლოვდა  
იმ ადგილს, საიღამაც თვალუწვდენელი მეიღა-  
ნი იწყებოდა. —

ეს თვალ უწყენელი მეიღანი ამ დროს სრუ-  
ლიად მყუდრო და ცარიელი იყო: მხოლოდ  
სადღაც შორს, კაცს ეგონებოდა დედამიწის კი-  
დეში ჩანსო, ეღვარებდა ვარსკელაევივით ცეც-  
ხლი ბუტკაში. აკაკი აკაკიევიჩმა რომ შედგა  
ფეხი ამ მეიღანზე, იმას ფერიც ეცვალა და

მხიარულობაც დაეკარგა, ისე შეშინდა და დაფთხა, თითქოს მის გულს წანათევე ეგრძნობდა, რომ იმას აქ კეთილი არ დაემართებოდა რა დარომ გაიხედ — გამოიხედა, ეგონა ზღვაში იდგა. «არა, სთქვა, ისევ სჯობს არსაიდ გავიხედავ;» და დაიფარა თვალებზე ხელი.

დიდი გზა გაიარა ასე თვალებ დახუჭული; ბოლოს, როდესაც ერთს ალაგას აახილა თვალები, შესატყობლათ გავათავე მეიდანის თუ არაო, დაინახა, რომ მის წინ ორი გრძელ უღვაშა კაცი აყუდებულყო. აკაკი აკაკიევიჩს სადღა ჰქონდა იმის გრძნობა, რომ ეს კაცები ეცნო; იმას შიშით თვალები დაუბნელდა და გულმა ცემა დაიწყო. «ძლივს არ ენახე ჩემი შინელი.» თქვა ერთმა იმათგანმა და წააელო საყელოში ხელი. აკაკი აკაკიევიჩი მოემზადა დასაყვირებლათ: «მიშველეთ, კარაულ,» მაგრამ ხმა გააწყვეტია ერთი იმათგანის ზედ ცხვირზედ მიღერილმა მუშტმა: «აბა-ერთი ხმა ამოგილია და....» აკაკი აკაკიევიჩს, გარდა იმისა რომ როგორ გახადეს შინელი და ორი თუ სამი პანლურიც უთავაზეს, მეტი არა უგრძნობია რა — აქვე ჩაეარდა უგრძნობელად პირდაღმა თოვლში. — რამდენიმე მინუტის შემდეგ წამოდგა, მაგრამ ევრაეის ხე-

დაეღა გარშემო. საშინლათ შეცივლა და მაშინ /  
 იგრძნო, რომ შინელი აღარ ეცვა. დაიწყო ყვირილი. მაგრამ ბუტკამდისინ ჯერ კიდევ მოკლ  
 იყო, რომ იქ მისი ყვირილი გაეგონათ. გაუწყ-  
 ნარებელი ყვირილით მიაშვირა პირდაპირ ბუტ-  
 კას, სადაც თავათ ბუდოჩნიკი იდგა და იყურე-  
 ბოდა, რომ შეეტყო — ვინ ოხერი უნდა იყოს,  
 რომ მოზბის და მიშველეთ ყვირისო. მივარდა  
 იმასთნ აკაკი აკაკიევიჩი, და ქშენით და აღელ-  
 ვებული ხმით დაუწყო ყვირილი, რომ იმას სძი-  
 ნავს და ყურს არ უგდებს, როგორც ცარცვენ და  
 ჰგლეჯენ კაცსაო!

ბუდოჩნიკმა უპასუხა, რომ მე, გარდა იმისა  
 რაც შენ შეგაჩერა ვილაც ორმა კაცმა, რომ-  
 ლებიც მე შენი ნაცნობნი მეგონენ, არავინ  
 დამინახავსო, და აქ ყვირილის და ლანძღვის მა-  
 გიერ, სჯობს ხვალ წახვიდე კვარტალთან და  
 ის ძოგინახავს შინელსაო. აკაკი აკაკიევიჩი თავი-  
 დან ფეხებამდისინ თოვლში ამოხვრილი მი-  
 ვარდა სახლში. მოხუცებულმა მისმა სახლის  
 პატრონმა, როდესაც გაიგონა კარებზე ბრაგა-  
 ბრუგი, ავარდა ლოგინილამ და, ცალ ფეხზე  
 ბაშმაკით და გულზე პერანგის კალთებით მიფა-  
 რებული, გაიქცა კირების გასაღებათ. გააღო კა-

რი და, დაინახა აკაკი აკაკიევიჩი ამ გვარ მდგომარეობაში თუარა, გაკვირებული დაიხსენებდა: მაგრამ, როდესაც მოუყვა ის თავის გარემოებას, ძლიერ შესწუხდა და დარიგება მისცა, რომ უთუოთ პრისტავთან წასულიყო, თორემ კვარტალი სულ დაპირებით გაიმედებსო; მოუყვა, რომ ის იცნობს პრისტავს, რადგანც უწინდელი მისი მოსამსახურე ქალი, ანნა, ჩუხონკა, იმასთან გამდელათ დამდგარაო, რომ ის ყოველ დღე ზედავს პრისტავს, როგორ აივლის და ჩაივლის მის კარებზედო; რომ ყოველ კვირაობით ის ეკლესიაზე დაიარებარა და, თან ლოცვილობს და თან იქით — აქით ხალისიანათ იყურებარა — უთაერთ რომ კეთილი კაცი უნდა იყოსო. აკაკი აკაკიევიჩმა მოასმინა ყველაფერი ესენი, გამოეთხოვა სახლის პატრონს და წავიდა თავის ოთახისკენ. როგორ გაატარებდა ის იმ ღამეს — მიმინდვია განსაჯოს იმან, ვისაც ცოტაოდნათ მაინც შეუძლია სხვისი მდგომარეობის წარმოდგენა. — მეორე დღეს. დილით ადრე, მივიდა პრისტავთან, მაგრამ უთხრეს, რომ ჯერ სძინავსო; მივიდა ათსაათზე — კიდევ სძინავსო, — თერთმეტზე — უთხრეს — «გეუბნებით არ არის პრისტავი სახლ-

«შიო» სადილოების დროს მივიდა, მაგრამ მწერ-  
 ლები არ უშვებდენ სახლში, სანამდის ის არ  
 ეტყოდა მათ, თუ რისთვის და რა საქმეების-  
 თვის მოსულა. თავის სიცოცხლეში პირველად  
 უნდოდა აკაკი აკაკიევიჩს გამოეჩინა ხასიათი და  
 უთხრა მწერლებს, რომ იმას პირდაპირ პრისტავ-  
 თან აქვს საქმე, რომ ის დეპარტამენტიდან  
 მოდის სახელმწიფო საქმისათვის, და რომ იმათ  
 ნება არა აქვთ არ შეუშვან ის! ამაზედ დაუმა-  
 ტა: «თქვენც გიჩვენებთ სეირს, როდესაც და-  
 გაბეზლებთ». მწერლებმა ამის წინააღმდეგი ვერა-  
 ფერი ვერ გაბედეს და ერთი ამათგანი წავიდა  
 პრისტავის მოსახსენებლათ. პრისტავა რო-  
 გორლაც ახირებულად ისმენდა აკაკი აკაკიევიჩის  
 საჩივარს და, მის მაგიერ, რომ საჩივარის უფ-  
 როს საქმე მხრისათვის მიექცია ყურადღება,  
 დაუწყო კითხვა, რა მიზეზი იყო იმის ასე  
 გვიან შინ დაბრუნება? ან სადმე საეჭვო სახლში  
 ხომ არ შეუხვეო? ასე რომ აკაკი აკაკიევიჩი  
 შერცხვენილი დაბრუნდა შინ. გზაზე სულ  
 იმის ფიქრში იყო: მისი შინელის საქმე მიი-  
 ლებდა რიგიან მსვლელობას, თუ არა? ეს  
 პირველათ იყო მთელ მის სიცოცხლეში, რაც  
 ის სამსახურს დააკლდა.





მეორე დღეს წამოახტა ისევ თავის ძველი შინელი და წავიდა დეპარტამენტში. იმის ამხანაგებში იმისთანა კაცები გამოიძებნა, რომლებმაც ამ შინელის დაკარგვაზედაც დაუწყეს ჯაფრება; ზოგნი კი შეწუხებულნი იყვნენ და მონაწილეებასაც იღებდნენ მის მწუხარებაში.

ამ უკანასკნელებმა აქვე განიზრახეს გამოელთ ცოტ ცოტა რამე და შეწეოდნენ აკაკი აკაკიევიჩს, მაგრამ იმდენი ვერაფერი შეკრიბეს, რადგანაც ამას წინეთ დირექტორის სურათის გარდასაღებად და კიდევ, ამავე დირექტორის რჩევით, რაღაც წიგნის საყიდლოთ გამოელთ ფული. ერთმა ამხანაგთაგანმა, რომელიც ძლიერ სწუხდა აკაკი აკაკიევიჩის საქმეზე, ურჩია იმას, რომ კვარტალთან მისვლის მაგიერად, რომელიც, ვინ იცის, ეგებ მართლა ამოაჩენს შინელს, მაგრამ შინელი პოლიციაში უნდა გდებულობო, სანამდისინ ის ცხადათ არ დაამტკიცებდა ნამდვილ მის პატრონობას, — შეხვეწნოდა ურჩას წაწმინდებულ შიშს, და ის რიგიან განკარგულებას მოახთენდა და მიიწერ-მოიწერებოდა, რომ ეს საქმე საჩქაროთ გათავებულობო. მეტი რა გზა იყო, განიზრახა სწორეთ წასულობო.

იმ წარჩინებულ ჰაზთან. — რა ადგილი ექ-რა, ან /  
 სად მსახურებდა ეს წარჩინებული ჰაზი, ექ-რა, ან /  
 არ არის შეტყობილი. საქიროა კი უცხო-  
 დეთ, რომ ეს წარჩინებული ჰაზი დიდი ხანი  
 არ არის რაც წარჩინებულ ჰაზთ შვიქნა. მისი  
 თანამდებობა ეხლაც არ ითვლება წარჩინებულ-  
 ლათ, შედარებით სხვა უწარჩინებულეს თანამ-  
 დებობაებთან; მაგრამ ყოველთვის მოიძებნებიან  
 იმისთანა კაცები, რომელთაც წარჩინებულად  
 მიაჩნიათ ის პირი, რომელიც ბევრისთვის სრულ-  
 ლებითაც არ არის ეგრეთი. რა საშუალებას  
 არ ხმარობდა ეს წარჩინებული პირი, რათა  
 წარჩინებულობა გაეძლიერებია: მან შემოი-  
 ღო, რომ ჩინოვნიკები, როდესაც ის მოიძინდე-  
 ბოდა, კიბეზე შეხვედროდნენ, მოუხსენებლათ,  
 პირ-და-პირ შესვლას იმასთან ვერავენ გა-  
 ბედავდა: კოლლეგსკი რეგისტატორს უნდა მო-  
 ეხსენებია გუბერნსკი სეკრეტრისათვის, ამას  
 ტიტულიარნის სოვეტნიკისთვის, ან ვინეე სხვი-  
 სთვის, რომ ამ რიგათ მიხწეულიყო მის ყუ-  
 რამდისინ მოსახსენებელი საქმე. ეხლა ხო ასე  
 შემოიღეს: ყველა ცდილობს რაშიდმე წაბადოს  
 თავის უფროსს. ამბობენ ვითომც, რომ, როდეს-  
 ცაც ერთი ტიტულიარნი სოვეტნიკისთვის ჩაე-



ბარებიანთ რაღაც თანამდებობა, იმას იმწამსვე  
 გამოერჩია ერთი ცალკე ოთახი და დაერქვა  
 მისთვის სასამართლო ოთახი: კარებში წითელ  
 სახელოიანი კაპელდინერები დაეყენებია, რომ  
 მღობსაც კარი უნდა სკეროდათ ხელში, რომ,  
 ვისმეს მოსვლაზე ერთად გაელოთ და ისე შე-  
 მოეშვათ, თუმცა ოთახში ვიწროობისაგამო ერთი  
 საწერი სტოლიც ძლივს ეტეოდა. მიღება და  
 ჩვეულებები წაწინისეული პირისა დიდკაცაური  
 იყო. ამ წყობილობის უმთავრეს საფუძვლად  
 მკაცრობა იყო. «მკაცრობა, მკაცრობა და მკა-  
 ცრობა», ხშირად აგონებდა ხოლმე ის თავის  
 ქვეშევრდომებს და თან უკანასკნელ სიტყვაზე  
 საშიშარი სახით და თვალებით, შეხედავდა ხო-  
 ლმე ვისაც ელაპარაკებოდა თუმც, რასაკვირვე  
 ღია ესენი საჭირო არ იყო, რადგან ათი მოსამსახ-  
 ხურე კაცი თუ შეადგენდა მის სასამართლოს  
 და ესენი ისეც ფთხილათ და შიშით იყვნენ. —  
 თუ სასამართლოში სამსახურის დროს როგორ-  
 რმე დაინახავდნენ იმას მომავალს, მაშინვე უნ-  
 და მიეტოვებიათ საქმე და ფეხზე გამოჭიმული  
 უნდა ყოფილიყვნენ, სანამდისინ არ გაივლიდა  
 ოთახს. — მისი ლაპარაკი ქვეშევრდომთან სულ  
 სამი ფრაზისაგან იყო შემდგარი: «თქვენ რომ

გორ ბედავთ? იცით თქვენ, ვისთან ლაპარაკობთ? და — იცნობთ, ვინ ღვას თქვენ წინშე გულით, სიმაართლე უნდა ვსთქვათ, კეთილი და კარგი სამხანაგო კაცი იყო, მაგრამ, მიიღო თუ არა ღენერლობა, ისე გამოიცვალა და დაიბნა, რომ არ იცოდა, რა ექნა. თუ თავის ტოლებში და ამხანაგებში იყო, მაშინ არაფერი უშავდა-იქცეოდა ისე, როგორც რიგი მოითხოვდა და ბევრს შემთხვევაში სულელობა არც დაეძახებოდა; მაგრამ თუ იმისთანა საზოგადოებაში მოხვდებოდა, სადაც ვინმე ერთი ჩინით მაინც დაბალი იყო იმაზე, მაშინ მშვიდობით და გამარჯვებით: იქ გაიბერებოდა და ხმას არ ამოიღებდა. ხანდისხან მოუყვიდოდა სურვილი, რომ მონაწილეობა მიეღო რომელიმე წრის ბაასში და ან თავათ დაეწყო რაზედმე სჯა, მაგრამ როდესაც მოაგონდებოდა, რომ ეს მისი ღირსების დამცირება და ან ერთობ დიდი პატივის ცემა იქნებოდა მისი მხრით იმათი, მაშინვე შეჩერდებოდა. ერთი სიტყვით, ხანდისხან თუ წამოის: ოდა რამე ნაწყვეტ ნაწყვეტ სიტყვებს, თორემ ის სულ ერთ მდგომარეობაში იყო, ასე რომ იმან სამუდამოთ დაიმსახურა სახელი ფრიად მოწყენილი კაცისა. აი, ამისთანა



წარწინებულ ჰერთან გამოცხადდა ჩვენი აკაკი ავა  
 კიევიჩი, მაგრამ საძაგელ დროს, თუმცა წარწინებულ  
 ნებული პირისათვის კი არა: წარწინებულ პირს  
 ერთი დიდი ხნის უნახავი ძველი მეგობარი მო-  
 სვლოდა და ისინი ერთად მუსაიფობდნენ კა-  
 ბინეთში. ამ დროს მოახსენეს, ვილაც ბაშმაჩკა-  
 ნი გაახლოთო. «ფანაო?» იკითხა გაკვირვებით.  
 «ფილაც ჩინოვნიკიო» მიუგეს. «ჰო, კარგი! შეუ-  
 ძლია მოიკადროს; ეხლა დრო არა მაქვს;» თქვა  
 წარწინებულმა პირმა.—ამ შემთხვევაში წარწინ-  
 ნებულმა ჰერმა ცოტა არ იყო სიცრუე სთ-  
 ქვა; ის სრულიდ თავისუფალი იყო, რადგან  
 სალაპარაკო რაც ქონდა თავის მეგობართან, დი-  
 დი ხანია გაათავა, და მხოლოდ ხანდისხან, ისევ  
 სალაპარაკეის გასახსენებლათ, ერთი ერთმანე-  
 რთს წამოაუძახებდნენ ხოლმე: «მაშ» ასე, ივან აბ-  
 რამოვიჩ, ა?» «ასე, სტეფან ვარლამოვიჩ.» მაგრამ  
 მაინც უბრძანა მოეცადნა მთხოვნელს, რათა  
 თავი მოაწონოს თავის მეგობარს, რომ, აი რამ-  
 დენი ხანი უცდიან ხოლმე იმას კარებში ჩი-  
 ნოვნაკები.— ბოლოს, ბევრი მუსაიფის და ბევ-  
 რი სიჩუმის შემდეგ, თითქო უეცრად მოაგონდა  
 და უთხრა სეკრეტარს, რომელიც იქვე კარებ-  
 ში იცდიდა ქალღმერთს, მოსახსენებლათ:

«მგონი, ვილაც ჩინოვნიკი აცდის; უთხარით, რომ შეუძლია შემოვადეს.» — აკაკი აკაკიევიჩის, წყნარი სახე და მისი ძველი ვიცემუნდირი რო დაინახა, მიუბრუნდა და ჰკითხა: «რა გნებაეთ?» აკაკა აკაკიევიჩმა თავილამვე იგრძნო, რომ ვერ იყო კარგათ: შეშინდა, და დაიბნა, მაგრამ რამდენათაც კი ენის თავისუფლება აძლევდა ნებას, უამბო თავის გაჭირება, «რაქვიან» — ის დამატებით. მოახსენა, რომ შინელი მისი სრულებით ახალი იყო და ეხლა ის გაცარცვეს და ამისათვის ის იძულებული შეიქნა თხოვნა იმისთვის, რათა იმას მოეხთინა რიგიანი განკარგულება, რომ რაქვიან მიეწერა ობერ-პოლიცმეისტრისათვის ან სხვის ვასმესთვის, და მისი შინელი მოენახათ. გენერალს ამგვარი თხოვნა როგორღაც არ მოეწონა: «თქვენ, უფალო, როგორც გეტყობათ არ გცოდნიათ აქაური წესი.» შესძახა ღენერალმა. «სად შემოაუღლებართ! არ იცოდით როგორ უნდა მოქცეულიყავით ამ გვარ შემთხვევაში?!»

«პირველათ თხოვნა თქვენ უნდა შემოგეტანათ კანცელარიაში, ის სტოლონაჩალნიკთან გადვიდოდა, სტოლონაჩალნიკილამ განყოფილების უფროსთან, იქელამ სეკრეტარს გარდასცემა.

დნენ და შემდეგ სეკრეტარი კი მე მომართმევინ  
და...»

ბიზ.ლიწითქა

— «მაგრამ, თქვენო აღმატებულება, წარ-  
მოსთქვა აკაკი აკაკიევიჩმა, რომელიც სცდი-  
ლობდა რამდენიც კიდეც გამბედაობა ქონდა,  
სულ ეხლა მოეზმარა და რომელიც ამასთან  
ოფლში იღვრებოდა. — მე, თქვენო აღმატებუ-  
ლება, გაებედე თქვენი შეწუხება, მიტომ რომ  
სეკრეტრები რაქვიან.... როგორღაც.. არ არიან  
სანდო ხალხი...»

— რაო, რაო, რაო?! დაიყვირა წარჩინებულმა  
პირმა, — ამგვარ აზრებს საიღამ მოუყრია თაფი  
თქვენ თავში? რა თავშეუკავებლობა და უფროსე-  
ბის მოურიდებლობა გავრცელებულა ყმარწვილ  
კაცებში?! წარჩინებულმა პირმა, მგონი, ვერ შენი-  
შნა, რომ აკაკი აკაკიევიჩს, აგერ სამოცის წლის  
კაცს, ყმაწვილ კაცობა აღარ ეთქმოდა და თუ  
ვინიცობაა ეთქმოდა, ისეც შედარებით, სამოცდა  
ათის წლის კაცთან.

— იცით თქვენ ვის ელაპარაკებით ამას? ხე-  
დავთ ვინ ღგას თქვენ წინ? გესმისთ თქვენ ესა,  
გესმისთ, თუ არა, მე თქვენ გკითხავთ? ამასთან  
ფეხებს ასე აბრაგუნებდა და ისე ხმა — მაღლა  
ყვიროდა, რომ აკაკი აკაკიევიჩი შიშით ძლივღას

ზღვა ფეხებზე:—ისე თრთოდა და თახთახებ-  
და სხეულით, რომ მოსამსახურეებს რომ არ ეტყა-  
ცნათ, ის იყო წაიქცეოდა. ის გაიყვანეს გარეთ.  
წარჩინებული პირი ძლიერ კმაყოფილი დარჩა,  
რომ მის ყვარელს ისეთი ძალა აქვს, რომ შეუ-  
ძლია კაცს გრძნობაც დაუკარგოს. გვერდზედ  
გარდახედა თავას მეგობარს, რომ შეეტყო—თუ  
როგორ უყურებდა ის ამ მისგან ჩადენილ სა-  
ქმეს. მეგობარი როგორღაც, მისდასასიხარულოთ,  
ახირებულ მდგომარეობაში იყო და ცოტა არ  
იყოს, მგონი, იმასაც შეშინებოდა.

როგორ ჩამოვიდა კიბეზე, ან როგორ გავი-  
და ქუჩაში—არაფერი ესენი არ ახსოვდა აკაკი  
აკაკიევიჩს. საცოცხლოეში იმას ერთხელ არ გა-  
ჯავრებია ასე თავის საკუთარი ღენერალი, არამც  
თუ სხვა თანამდებობისა. როგორც სჩვევია პე-  
ტერბურღს, ქარი ყოველ მხრით და ყოველი  
ქუჩილამ უქრიდა. ამასთანა ტაროსში ის პირდა-  
ღებული ფიქრებისაგან და ხშირათ გზა დაბნე-  
ვით მილიოდა. საღხში რომ მივიდა, ერთი ხმის  
ამოდებაც აღარ შეეძლო; მთლათ ერთიანათ





გასივდა და ჩაწვა კიდევ ლოგინში. — აი, როგორი განვლენა აქვს ხანდისხან უფროსის მრისხანე სიტყვას! მეორე დღესვე ცხელება გამოაჩნდა და, პეტერბურლის ჰაერის შემწეობით, ავთომყოფობა გაუძნელდა; როდესაც ექიმი ზოვიდა და იმას მაჯა უნახა, მეტი ვერაფერი საშუალება ვერ მოახერხა მიეცა, გარდა იმისა, რომ რალაც პარაშოკები გამოუწერა; ალბათ ესეც იმატომ, რომ ავთომყოფი სრულიათ უყურადღებოთ არ დარჩენილიყო ექიმისაგან. შემდეგ ექიმი მიუბრუნდა სახლის პატრონს და უთხრა: «თქვენ, დედავ, ტყუილ—უბრალოთ დროს ნუ ჰკარგავთ. ეცადეთ ეხლავე ნაძვის ხის კუბო დაუმზადოთ, რადგანაც ცაცხვის ძვირად დაუჯდება! — გაიგონა, თუ არა, აკაკი აკაკიევიჩმა ეს ექიმის ნათქვამი სიტყვები? თუ გაიგონა, ჰქონდა თუ არა იმათ იმაზე გულ-შემაწუხებელი მოქმედება? იჯავრა თუ არა მაშინ იმან თავის წარსულ ცხოვრებაზე? არაფერი ესენი არ შეიძლებოდა შეეტყო კაცს, რადგანაც ის მეტის-მეტს სიცხეში და ბოდვაში

იყო ერთს მეორეზედ უფრო საშიშარ სანახა-  
 ვებს ხედავდა ხოლმე ის ამ სიტყვებში: ხან კე-  
 ტროვიჩი ეჩვენებოდა, რომელსაც ისევ შინელს  
 აკერვინებდა, მაგრამ ქურდების დასაჭერ მახე-  
 ბით, რომლებიც იმას კრაოტს ქვეშ ეჩვენებო-  
 ღნენ და სახლის პატრონს უძახოდა: ერთი მო-  
 ღი, ამ საბნის ქვეშიდამ გამოიყვანე! ხან წყრე-  
 ბოდა, რატომ ჰკიდიაო ჩემ წინ ძველი შინე-  
 ლი, როდესაც მე ახალი მაქვსო, ხან ეჩვენე-  
 ბოდა, რომ იმას გენერალი უჯავრდებოდა და  
 «დანაშაული მაქვს, თქვენო აღმატებულებაე»—  
 ეუბნებოდა. ხანდისხან კი ისეთ უშვერ სიტყვებს  
 წამოროტამდა, რომ სახლის პატრონი გაკვირ-  
 ვებულნი იყო, ჩადგანაც აკაკი აკაკიევიჩისაგან  
 უწინ ამისთანა სიტყვები არ გაეგონა; იმ სიტ-  
 ყვებს ყოველთვის სიტყვები «თქვენო აღმატებუ-  
 ლებაე» მოსდევდა, მემრე კიდევ იმისთანა სიტყ-  
 ვებს იტყოდა, რომ ვერაფერს ვერ გაიგებდა  
 კაცი, გარდა იმისა, რომ უთუოთ ამ უთავბო-  
 ლო სიტყვების მიზეზი, მისი შინელის დაკარ-  
 გვა უნდა ყოფილიყო. პოლოს, როგორც იქ-



ნა, დალია სული საბლალო აკაკი აკაკიევიჩი  
 მა.—სიკვდილის შემდეგ არცა მოთხრობა და არცა  
 არაფერი მისი ნიეთეულობა არ დაუბეჭდიათ,  
 რადგანაც პირველი რომ იმისთანა ახლობელი  
 არეინ დარჩენია, რომ იმისთვის დაეტოვებოდა  
 და მეორე, რომ ფრიად მცირედი სიმდიდრე  
 დარჩა—სულ ერთი შეკრება ბატის ღინლი,  
 ათი ფურცელი ქალაღი, ისიც სახელმწიფო,  
 სამი წყვილი წინდა, სამი თუ ორი შალვარზედ  
 ანაგლეჯი ფოლაქები და ჩენი ცნობილი  
 დაკერილი, ტომრის მზგაესი, შინელი. ეს იყო  
 მისგან დატოვებული სიმდიდრე; ესენიც ვის  
 დარჩა—ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის,—და უნ-  
 და გაგიტყდეთ, რომ ამ მოთხრობის მოამბე  
 არც შესულა იმის გამოძიებაში. ერთს დილას  
 გაასვენეს და დამარხეს კიდევ საბრალო აკაკი  
 აკაკიევიჩი და პეტერბურლი დარჩა უიმისოთ,  
 თითქო ის მის ღღეშიაც არც კი ყოფილიყოს  
 ამ ქალაქში. ამ გვარად გაჰქრა და ამოიხრცა  
 ხსენება იმ არსებისა, რომელიც იყო ყველასგან  
 დაუცველი და პატივ-მოკლებული, ყველასგან

უყურადღებო, თითქმის ბუნების მეცნიერისაგანა-  
 ნაც, რომელიც უკანასკნელ ბუნებას არ  
 გაუშვებს, რომ არ წამოაგოს ქინძისთაფზე და  
 არ გაშინჯოს მიკროსკოპის ქვეშ. — ასე დაიკარ-  
 გა, ვამბობ, არსება, რომელიც თავ დაბლათ  
 და მშვიდობიანათ ითმენდა ყოველგვარ დაცი-  
 ნებას თავის ამხანაგებისაგან და რომელსაც  
 ბოლოს, თუმც განმაცოცხლებელი სტუმარი კი  
 ესტუმრა — ახალი შინელი — მაგრამ ისევე ისეთი-  
 ვე უბედურება შეემთხვა, როგორსაც ყველა ამ  
 ქვეყნის გმირები უნდა მოელოდნენ. რამოდე-  
 ნიმე დღის იმის სიკვდილის შემდეგ მოვიდა  
 სტოროჟი დეპარტამენტიდამ, სადაც იმას სიჩქა-  
 რით იბარებდნენ: «უფროსი გიბრძანებსო». მა-  
 გრამ სტოროჟმა წაიღო ამბავი, რომ აკაკი აკა-  
 კიევიჩს მოსვლა აღარ შეუძლიაო. რა მიზეზისა-  
 თვისო, რომ კითხეს-უპასუხა: «ისე-კიდევ მომკე-  
 დარა და ოთხი დღეა რაც დაუმარხავთ.» ასე  
 შეიტყვეს დეპარტამენტში აკაკი აკაკიევიჩის სი-  
 კვდილი, და თითქმის მეორე დღესვე მის ადგი-  
 ლზე სხვა ჩინოვნიკი იჯდა.



მაშინვე უცნია აკაკი აუაკიევიჩი. მაგრამ მეტის-  
 მეტათ შეშინებოდა და, რაც ძალა და სიმძარცვე  
 ქონდა ფეხებში, გამოქცეულიყო შინსაკენ,  
 მხოლოდ ის კი დაენახა, მკედარი რომ იმას  
 თითის ქნევით დამუქრებოდა, მეტი ვერა მოესწ-  
 რა. — ყოველ მხრიდგან ისმოდა საჩივარი,  
 რომ არამც თუ მარტო ტიტულიარნი სოვეტნი-  
 კების გვერდები — ნადვორნი სოვეტნიკებისა ცო-  
 ტივლებიანო მოსახურაების ტაციობის მიზენი-  
 თო პოლიციას განკარგულება მოეხდინა, რაც  
 უნდა გამხდარიყო, დაეჭირათ მკედარი ან მკედ-  
 რათ ან ცოცხლათ და სხვებისათვის სამაგალი-  
 თოდ დაესაჯათ; და მართლაც კინალამ არ დაიჭი-  
 რეს: ერთმა ბუდოჩნიკმა კირიუშკინის ქუჩაში  
 სტაცა ხელი იმას იმ დროს, როდესაც ის ვი-  
 ლაც — ერთს დროს ფლეიტაზე მომსტვენარს და-  
 ეხლა კი გადამდგარ მუზიკანტს — ჩინებული ში-  
 ნელის აგლეჯას უპირებდა. წაავლო ხელი და  
 თან გააბა ღრიალი; ამ დროს მოვიდნენ ორი  
 სხვა მისი ამხანაგები, ამათ მიანდო ერთი მინუ-  
 ტის ვადით მკედრის დაჭერა და თვითონ წა-  
 ლის ყელიდამ ამოაღო ბურნუთის კოლოფი,



რომ დროებით მაინც გაეცოცხლებია ექვსჯერ  
 გაყინული ცხვირი. ბურნუთი კი იმასთანაა უნდა  
 ყოფილიყო, რომ ცხვირის დაუცემლათ, მგონი,  
 არც მკვდარს დააყენებდა. ამოიღო ბუდოჩნიკმა  
 ბურნუთი და დააპირა ცხვირის მარცხენა ნეშ-  
 ტოთ მოწვევა; იმ დროს მკვდარს ისეთი დააცუ-  
 მინა ცხვირი, რომ სამივეს თვალები ამოეცოთ  
 ფურთხით. სანამდის ისინი თვალებთან მუ-  
 ჰებს მიიტანდნენ და ამოიწმენდდნენ, მკვდარის  
 კვალიც აღარსად ჩნდა; ასე რომ ბუდოჩნიკები  
 ეჭვშიდაც შევიდნენ: ყავდათ იმათ ხელში მკვ-  
 დარი, თუ არა. ამის შემდეგ ისინი ისე დაში-  
 ნებული შეიქნენ მკვდრისაგან, რომ ცოცხლებ  
 საც დიდის შიშით და კრძალვით კიდებდნენ  
 ხელს და მხოლოდ შორიდან თუ დაუძახებდნენ:  
 «ეი, შენ, ჩაიარე, ჩაიარე შენ გზაზეო!» მკვდარი  
 კი კალინკინის ხიდის იქითაც დაიარებოდა  
 ხოლომე და იმ კუთხის მცხოვრებლები მეტის-მე-  
 ტათ დაშინებული ყვანდა—.

მაგრამ ჩვენ სრულიად დაგვაფიწყდა ის ერთი  
 წარჩინებული პირი, რომელიც იყო მიზეზათ, რომ  
 ამ ნამდვილმა მოთხრობამ ეგრეთი ფანტაზიური

დაბოლოება მიიღო. თავ-და-პირველათ კეშმა-  
 რიტება მოითხოვს ესთქვათ. რომ, გავფლად  
 არა ოთახიდან განრისხული აკაკი აკაკიევიჩი,  
 წარჩინებულს პირს ის როგორღაც შეეცოდა;  
 არ ვიტყვი, რომ ეს იშვიათი შემთხვევა იყო  
 იმის სიცოცხლეში; ის გულ-კეთილი იყო. თუმც  
 ბევრ შემთხვევაში მისი მდგომარეობა და ჩინი კი  
 უშლიდნენ, რომ ეს გულ-კეთილობა როგორმე  
 გამოთქმულიყო ან გამოაშკარებულიყო. მეგობარ-  
 ზი რომ წავიდა, ჩაფიქრდა კიდევ საბრალო  
 აკაკი აკაკიევიჩზე. შემდეგშიაც თითქმის ყოველ  
 დღე წარმოუდგებოდა წინ ფერ-მქათლი აკაკი  
 აკაკიევიჩი, რომელმაც ვერ შესძლო იმის გაწ-  
 ყრომის ატანა. ეს ზოგონება იმას ასე აწუხებდა,  
 რომ ერთის კვირის შემდეგ გაგზავნა ერთი  
 მომსახურეთაგანი, შეეტყო აკაკი აკაკიევიჩის მდ-  
 გომარეობა, რომ თუ მოხერხდებოდა როგორმე  
 შეწეოდა მას. მაგრამ, როდესაც მოუტანეს ამ-  
 ბავი, რომ აკაკი აკაკიევიჩი უეცრად ხურებით  
 მოკვდაო, წარჩინებულ პირს თითქმის ელდა  
 ეცა, ისე გაშტერდა, მთელი დღე სინიღისი აწუ-  
 ხებდა და ცუდ გუნებაზე იყო. — როგორმე რომ





გართობილიყო და დაევიწყნა ეს უსიამოვნო  
 შემთხვევა და იმისაგან იმაზე დატოვებული  
 შთაბეჭდილებაც, წავიდა სალამოს, დროს გასატა-  
 რებლათ, ერთს თავის მეგობართან, სადაც კარ-  
 გაი ძალი საზოგადოება და, მისდა ბედით, ყვე-  
 ლა ერთი ჩინის პირები დახვთა, ასე რომ აქ ის  
 არაფერით არ აყო შევიწროებული. ამას გასა-  
 კვირველი მოქმედება ქონდა მისს სულიერ მდ-  
 გომარეობაზე: მეტი არ იქნები, ისე გახალის-  
 და, გატოცხლდა და სასიამოვნო მოსაუბრეთაც  
 შეიქნა. ერთი სიტყვით, სალამო მშვენიერათ გაა-  
 ტარა, ეახმამზე ორიოდ ბაკალი შამპანსკიც  
 გადაჰკრა, რომლის, როგორც გაგეგონებთ,  
 თვისება ის არის, რომ უენოსაც ალაპარაკებს,  
 არამც თუ დარდიანს დარდებს გაუფანტავს  
 და გახალისებს. ამ შამპანსკიმ სხვაც ბევრი რამ  
 აფიქრებინა და გააბედვინა წარჩინებულსპირს,  
 როგორც მაგალითად გადაწყვიტა, სასლში დაბ-  
 რუნებამდისინ შესულიყო ერთს თავის ნაცნობ  
 ქალთან, კოროლინა ივანოვნასთან, რომელიც  
 ვგონებ ნემენცის შთამომავლობისა იყო და  
 რომელთანაც იმას ფრიდ მეგობრული განწყო-

ბოლება ჰქონდა... უნდა მოგახსენოთ, რომ წარჩინებული პირი, ყმაწვილი კაცი ის იყო კეთილი ქმარი და ღირს-პატივსაცემი ოჯახის მამა. ორი მისი შვილი — ერთი ეაჭი, რომელიც დეპარტამენტში მსახურებდა და მეორე სათნოიანი თექვსმეტი წლის ქალი — ყოველ დღე დილით მიესალმებოდნენ ხოლმე მამას სიტყვებით: «Bon jour, papa» და თან აკოცებდნენ ხელზე. მეუღლე მისი, რომელიც კიდევ არ იყო მოხუცებული და არც ისე მახინჯი — ჯერ ქმარს აკოცნიებდა ხელზე და შემდეგ გადმოაბრუნებდა იმის ხელს და თვითონ აკოცებდა. თუმცა ასე კეთილი ცხოვრება ჰქონდათ და სრული კმაყოფილიც იყო თავის ოჯახისა, მაგრამ წარჩინებული პირი მაინც ურიგოთ არ რაცხდა, რომ ქალაქის მეორე ნაწილშიც ვინმე სხვა მეგობარი ყოლოდა. ეს მეგობარი სრულებით ვერც სილამაზით სჯობდა მისს მეუღლეს და არც იმაზე ახალგაზდა იყო, მაგრამ ამ გვარი საქმეები ხშირათ მოხდება ხოლმე დედა-მიწაზე და იმათზედ სჯა ჩვენი სარაქმე არის .. მაშ ასე, — ჩამოვიდა კიბილამ



თუ არა წარჩინებული პირი გამოეხვია თბილ  
 ძვირფასს ქურქშიდ, ჩაჯდა მარხილში და მეს-  
 ძახა ქუჩერს; «კოროლინა ივანოვნასთან!» გზა-  
 ში ისეთ სიამოვნებას გრძნობდა, რომლის უკე-  
 თესსაც რუსეთელ კაცისათვის ვერაფერს ვერ  
 გამოიგონებს კაცი, ე. ი. როდესაც თვითონ არა-  
 ფელზე არ ჰფიქრობ, მაგრამ სხვა და სხვა, ერ-  
 თი მეორეზედ უკეთესა აზრები კი მოსვენებას  
 არ გაძლიევენ და ძალა-უნებურად გებადებიან  
 თავში, ასე რომ, შეძლება არა გაქვს, რომელი-  
 მე ერთი იმათგანი ამოირჩიო და უფრო დიდხანს  
 იფიქრო იმაზე. ის ხშირად მოიგონებდა ხოლმე  
 იმ სალამოს ყველა იმ სიტყვებს, რომლებმაც  
 სიცილი და ხარხარი ატეხეს პატარა წრეში; ბევრ  
 იმათგანს თავისთვის მდაბალი ხმითაც გაიმეო-  
 რებდა ხოლმე მარხილში და დარწმუნდებოდა,  
 რომ ისინი ისევ ისე საცინელნი იყვნენ, რო-  
 გორც უწინ ყოფილან და ამისათვის გასაკვირ-  
 ველიც არ იყო, რომ გულით გაიცინებდა. ხან-  
 დიხან ფიქრებს უფანტავდა ხოლმე ქარიშხალი,  
 რომელიც აყრიდა ცხვირპირში თოვლს, ან და  
 შინელის საყელოს აფარფარებდა, როგორც

ილქანს და ხანდიხან კი ამ უკანასკნელს ახვევდა თაეზე, რომლიდგანაც გაწვალებული იყო, რომ თაეი გამოეხსნა. — უეცრად იგრძნო წარჩინებულმა პირმა, რომ რაღაცამ შინელის საყელოში ხელი წააელო. რომ მობრუნდა და დაინახა მდაბალი კაცი გაცვეთილ ვიცმუნდერში, არ დარჩა სასიამოვნოთ, რომ ამ კაცში აკაკი აკაკიევიჩი იცნო. აკაკი აკაკიევიჩი ფრიად ფერმქრთალი იყო და სრულიად მკვდრათ იყურებოდა. ეხლა წარმოიდგინეთ, როგორ შეეშინდებოდა წარჩინებულ პირს, როდესაც მკვდარმა პირი დამანჭა და წარმოსთქვა: «აა, ეს შენ ბრძანდები?! მე შენ ეხლა როგორც იქნა რაა ქვიან... ჩაგიგდე ხელში? აი, ეს შენი შინელი მინდა მე! ჩემსაზე არც იზრუნე და კიდევ გამიჯავრდი განა, მაშ ეხლა მომეცი შენი!» საწყალი წარჩინებული პირი კინალამ მოკვდა შინით. როგორი ხასიათის კაცი იყო ის სასამართლოში და საზოგადოთ უმცროსებთან რომლებიც მისი მამაცურის სახის პირველ შეხედვაზე ამბობდნენ ხოლმე: «ოხ, რა ხასიათის

უნდა იყესო?» მაგრამ ამ შემთხვევაში, ბევრ სხეებსავე, რომელთაც მარტო მამაცური შეხედულობა აქვს, იმ ნაირათ შეშინდა, რომ ექვშიდაც შევიდა — რამე ავთმყოფობამ არ მომიაროსო. თვითონვე, ხმის ამოუღებლად, საჩქაროთ მოიხადა შინელი და შესძახა ქუჩერს: «მოფრინდი, რაც შეგეძლოს, პირდაპირ სახლში!» ქუჩერმა მიხვდა იმის ხმაზედ, რომ კარგათ არ იყო საქმე, ჩამალა თავი ბეჭებს შუა, გადაჰკრა მათრახი ცხენებს და ისინი გაქანებულ ისარივით გაჰფრინდნენ. ექვსი მინუტის განმავლობაში ისინი თავის სახლის კარებზედ იყვნენ. ის უფერო უშინელო, შეშინებული და მის მაგიერ, რომ კოროლინა ივანოვნასთან შესულიყო, დაბრუნდა სახლში. როგორც იქნა, დიდის გაჭირვებით, მიაწია თავის ოთახამდისინ, სადაც მთელი ღამე შფოთვაში გაატარა. მეორე დღეს, ჩაიხე, ქალმა კითხა კიდევ: «შენ, მამა, დღეს როგორღაც ფერი არა გდევს!» მაგრამ მამა ხმას არ იღებდა იმას არავისთვის არ გაუმხელია — თუ სად იყო ან სად

აპირებდა წასელოს და ან რა შეემთხვა. — ამ  
 შემთხვევამ საშინელი შთაბეჭდილება დატოვა  
 იმაზე; იმის შემდეგ თითქმის იშვიათად ეტ-  
 ყოდა ხოლმე ვისმე თავის ქვეშევრდომს: «თქვენ  
 როგორ ბედავთ!» ან და «ხედავთ ვინ ღვას  
 თქვენ წინო» — და სხ. და თუ ეტყოდა, იმასაც  
 მაშინ, როდესაც საქმეს მოისმენდა. ამაზე უფ-  
 როს შესანიშნავი კიდევ ის იყო, რომ ამის შემ-  
 დევ მკვდარი აღარსად გამოჩნდა. ალბათ, გუ-  
 ნერლის შინელმა კარგათ გაათბო ის. — ერთის  
 სიტყვით, არსაიღამ არ ისმოდა საჩივარი, რომ  
 ვისმესთვის შინელი მოეტაცნათ; თუმც, უნდა  
 ესთქვათ, ზოგიერთი კეთილ-გონიერი მაინც  
 კიდევ ვერ დამშვიდნენ და ამბობდნენ, რომ  
 ხანდისხან ქალაქის შორს ნაწილებში კიდევ  
 დაიარება მკვდარი ჩინოენიკიო, ერთს კოლომნის  
 ბუდოჩნიკს ნამღვილათ დაუნახავს, როდესაც ერ-  
 თი სახლის უკან გამოჩენილა, მაგრამ რადგან-  
 ნაც ის დაბადებიდგანვე ფრთხალი ყოფილიყო,  
 ახლოს ვერ მიებედნა, რომ ხელი ეტაცა და  
 მხოლოდ თუკან გაჰყოლოდა, სანამ მკვდარი არ მო-

უბრუნდა და არ შესძახა; «შენ რა გნებაეს?» და აჩვენა ისეთი მუშტი, როგორც ცოცხლებსა იშვიათათ აქვთ. ბულოჩნიკმა «არაფელიო» უპასუხა და გაბრუნდა მაშინვე უკან. ეს მოჩვენება, რომელიც უფრო მაღალი იყო თურმე და გრძელი ულვაშები ქონდა, პირდაპირ ობუხონვის ხიდისაკენ წასულიყო და ღამის სიბნელებაში გამქრალიყო.

ი. — ისა,





ქართული  
ლიბრარი

# ებრაული მელოდია

ბაირონიდამ

(უძღვნი ჩემს..... მეგობარს ნ. სკანდელს)

სული მაქვს მეტად მოღურობებული. ძაღუ, მე-  
სანო, ძაღუ მიშეკე!

აი ჩანგურიც შენ რქოისა,

და მაგ თითუბით, ტროფობისა ეშით, მკვდარი  
სიმები გააცხოველე.

დე, მათ გამოსცენ სმა სამოთხისა;

და თუმც იმედი წეეულსა წერას მართლათ საუკუნოდ  
არ წაუღია,

მკერდში გრძნობები გაისურსნიან;

და ხალხთ სიავეს კვლავ ჩემ თვალეში თუ ცისა  
სიღბო არ გაუშვრია,





მეისვე ცრებლებად ჩამოსცვივან.

დე, ძღერა შენი იყოს ტყუური, როგორც ხუმს კვირ-  
კვინს ესხას ეკლები,

ხმები ღზინისა არ მიაძება:

შენ გეუბნები, ჩემო ძღერალო, მე ცრემლები მსურს,  
მხოლოდ ცრემლები,  
თორემ დარდებით გული გასქდება!

წამებით იყო თვით შობიდანვე და უამობით ის გა-  
ყიყნილი;

იტანჯებოდა ჯერ დიდხანს აძით,

და სამწუსარო საათმა დაჭკრა, ესლა ის არის სრუ-  
ლად აღვხილი

როგორც სიკვდილის თასი — სახსალით!

მ. ფაშელი.



## ჩემს ძმას და მეგობარს ჯამბაჯურს

ძმაო! ეს გული შენთან აღზრდილა,  
შენთან უნახავს ურმობის სიზმრები;  
უკავილიც ჩვენი ერთად გაშლილა,  
ჩვენ არ ვართ ძმები და მეგობრები?  
გასსოვს ოცნების ჩვენისა ფრენა,  
ჭაერში კოშკებს რომ ვაშენებდით,  
ერთის საწეუნათ გულების ტკეპნა,  
ერთის მიზნითვე ვმხიარულებდით!  
ასრე მოგვადით ჩვენ ერთად დღემდის,  
ერთადვე გველის სიბერის შრომა;  
მაგრამ ჯერ გულში შიში არ შემდის!  
შენ როგორა სარ? ნუ თუ იტყვი  
შემოგება რა მაგ ლომურ მეგრადში,  
მისთვის რომ უკვლად წარსდენ ფიქრებო  
და მათგან არა გვრჩება რა ხელში?



ნუ. მეგობარო, — გზა უამური  
 ძველის სიმართლით კვლავ გავიარებოთ;  
 თუცა სამშობლოს ვერ ვხედოთ სამსახური,  
 ეგ მსოფლოდ ცრემლით გივლოვიაროთ...  
 თორემ სიკვდილს სუ შუქისინდებით,  
 შირსკდა ვვარი გამოვიწეროთ,  
 და თუ მით მამულს ვუძეოხებით,  
 წინათვე ღვინით ასრე ვიძღვროთ:  
 «აღზდეგ, მამულა, აყვავდი ახლად,  
 «გაშაღე ძველებს შორად სკლები;  
 «ნიცოცსლე ჩვენი ისმარე სამკლად  
 «და ზედ აღზარდე უცხო გმირები!  
 «ნაბდისა ქუდი კვლავ დახურე,  
 «ნასელოვნების თვლებით შემეული;  
 «მტრის ძალადობა კვლავაც დასწერე,  
 «ნუ დაგვიწუნია სმადი ქებული!  
 «გავლივე ვაჭვი ეგ გრძელსნიანი,  
 «შემოხვეული ქედზე ნებისა!  
 «გა ასმარეზზე მასვილ სრმლიანი,  
 «ძველის ერთობით, თავისუფლებით  
 «დროა საუვირსა თამამად სცემდე,  
 «და მაგ გმირულის, შემძლე მკლავებით  
 «ნასეულსა წყვიდე კიდის კიდემდე!»

მ. ფაშელი.





ქართული  
ზიზლიროთიკა

დ ა კ ა

ანუ

ტორიკა და ზსტეტიის

კომედიის სუთ შოქმედიბად

თ. გიორგი ენიხთ გიხა.

---



ეს კომედია თ. გ. ერისთავის თხზულებებში ა  
იყო დაბეჭდილი, სხვა და სხვა მიზეზისა გამო, და  
აქ პირველად იბეჭდება. საუბედუროდ, ჩვენ კერ ჩაკვირ-  
დეთ სელში თვითონ დედანი ამ კომედიისა, თვითონ  
ერისთავის სელთნაწერი რეკულები და ამიტომ, ვინ  
იცის, იქნება ჩვენ რეკულში შეცდომებიც იყოს. მაგ-  
რამ, თუ რაიმე შეცდომა ამოჩნდა, კვლეებით ცალკე  
გამოცემის დროს შევასწოროთ. რაიცა შეეხება ამ  
კომედიის ღირსებას, თვითონ ავტორს უთქვამს, ეკუ-  
ლა ჩემ კომედიებს «დავა» მირჩევენიაო. მართლაც,  
«დავა» თუ თ. გ. ერისთავის ეკულა კომედიებს არ  
ხვობია, არცერთ იმის საუკეთესო დრამულ თხზუ-  
ლებებს უკან არ ჩამოუდგება.

მკითხველი მისვდება, რომ ეს კომედია წარსულ  
დროებას ეკუთვნის.



## მოქმედი პირნი:

- 1), ამირინდო, თ. ღასნელი.
- 2), ბეგლარ, იმისი შვილი, პოეტი, პეტერბურღში  
გაზდელი.
- 3), იაია, თ. ჭიორელი, მეგობარი ამირინდოსი.
- 4), ლომონ, თ. გოდობრელიძე, იმერელი.
- 5), ონოფრე, თ. სარაძე.
- 6), მიხეილ, იმისი შვილი, პეტერბურღში გაზდელი.
- 7), სიდონია, ცოლი ონოფრესი.
- 8), ნინო, მათი ქალი.
- 9), აბუა, გაზდელი ამირინდოსი.
- 10), ათანგერდი, გაზდელი ონოფრესი.
- 11), მარქრიტა, გიგორის ცოლი, შემლოცველი.
- 12), რაფაელ, არსიძანოვი, არსის მწერალი.
- 13), სარქის ბუღდანის, კუმუსელოვი, პერეკოდ-  
ჩიკი სუდისა.
- 14), სარიტონ ჭილიშის, ვსიატკინი, სტრახჩი.



15). ფილიპე, სასკდატელი.

16), სოროზან, მოურავი ამირინდოსი.

17), აბრამ, ბიჭი ბეკლარისა.

18), ბერუა, ბიჭი ამირინდოსი.

19). ნენე, გოგო ნინოსი.

20), ივანე, ბიჭი სტრიაფჩისა,

მსახურები და მოასლეები.





## ზირკელი მოქმედება

ათასში უის ამირინდო, დაფიქრებული; მოშო-  
რებით დგას სოროზან მოუჩავი. წინა, სტენისაკენ,  
ქენასედ უის აბუა გამდელი, რომელიც უაჭს აბ-  
თავს და შატრა სათვალეები აცვია ცხვირზე.

### გ ა მ ო ს ვ ლ ა 1

ამირინდო, სოროზან და აბუა:

ამირინდო. მოდი, სოროზან, დაჯექ!

სოროზან. კარგათ გახლავართ, შენი ჭი-  
რიმე.

ამირინდო. კარგი, დაჯექ, თუ ღმერთი გწამს.  
(სოროზან დაჟდება). საკვირველია, რაფიელ უნ-  
და მოსულიყო, ერთი ეს არზა მეჩვენებინა; არ  
ვიცი, რათ დაიგვიანა.





**სოროზან.** რალა არზა არის, სუდშინუკი მოერჩით? ჩალიანი თქვენ დაგრჩათ.

**ამირინდო.** აბა რას ამბობ, მამა გიცხონდა, ათას კუდს გამოაბამენ! ამბობენ, ტრაპჩს დაუყენებინებია, იმის ნაცოდლილარი არისო.

**სოროზან.** პატარა იმასაც ჩაეყლაპოთ ოქროს აბები.

**ამირინდო.** ეჰ! რას ამბობ, ჩემი ოჯახი ამათზე მიდის,—მაგრამ არა მეშველარა; სწორეთ აუესებელი საროა.

**სოროზან.** ღმერთი გადღეგძელებთ, ნუ გამიწყრებით ამ მოხსენებაზე, მაგრამ მორიგებას კი გირჩევთ.

**ამირინდო.** განა არ მინდოდა, აკი ვაძლიევე ასი თუმანი?

**სოროზან.** შე დალოცვილო, ას თუმნათ?

**ამირინდო.** არა იქს, ას თუმანსაც დაეხარჯავ და მაშინ დარჩება ისევე ცარიელი! (გაჟავრებით). მამა ჩემი არ წაწყდება, მეც დავილუპები და იმასაც დავლუპავ! ონოფრემ უნდა მაჯობოს? :- მაშ, მე ამირინდო არ ვყოფილვარ!

სოლოზან. ჩემ სულელურ მოხსენებას რომ დაიჯერებდეთ, მე კი მოყვრობას ევარჩევდითქვენში.

ამირანდო. როგორ მოყვარობას? ჩემი მოსისხლის ქალი შეერთო ჩემ ბეგლარსა! კაცო, რას გადაირიე. კიდევ რომ დაემოყვრდეთ, მტერი იქნება. არ გაგიგონია, ნათქვამია:

მოყვარე, მტერი მოყვრისა,

მტერზედან უფრო მტერია!

ერთი გადმოვიდეს ჩემი ბეგლარ; სასამართლოები იმას მოვახვიოთ, ჩვენ დავსხდეთ და შევექცეთ, ჩემო სოლოზან.... მერე შენი ონოფრე დამიდგეს წინა: მართალია არზის წერაშილა გამივა ფული! კრუსი დაუსრულებიაო უნივერსში, ჩინი მიუციათ. (გამდელს) პეტრებრუხიდგან რომ წიგნი მოგივიდა ბეგლარზე, ის წამიკითხე.

აბუა. ააჰ, ააჰ! არ მესმის.

ამირანდო. (მადლს) პეტრებრუხის წიგნი.

აბუა. წიგნი?! აი (იღებს უბიდგან სათვალეს და სწმენდს.) გმირისეული მწერს (კითხულობს):

«შენი ბეგლარის ქება, რაღა მოგახსენო, ქვეყანა იმას აქებს, ასე ნასწაველია თურმე უფელანი თითით უჩვენებენ, აი პოეტად, მითომ ყველაზედ მეტით!» შენ კი გენაცვალოს შენი აბუა, ერთი ამ ბრმა თვალეზმა გნახონ, ერთი შენის ნახვით გამახარე, და მერე შენის ხელით მელირსოს დამარხვა.

ამირანდო. პოეტი ჩინი იქნება, ჰა! თუ ტატისა არის, ზაკონები ეცოდინება...

სოროზან. რა მოგახსენო, შენი ჭირიმე, მე იმათი არა ვიცი რა.


## გამოსვლა 2.

### იგინიკე და ბურუა

ბურუა. რაფიელმა და სარქისამ მოკითხვა მოგახსენეს.

ამირანდო. სოროზან, გადი ერთი გახედესთხოვე მობრძანდით თქო (სოროზან და გამდელი გავლენ).

## გამოსვლა 3


 ერეკლე  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

ამირანდო, წაფაელ და სარქისა

ამირანდო. აა, ბატონს რაფაელს გაუმარჯოს! ექვო გელით, გელით, მე ჩემი დამემართა.....

წაფაელ. ქეშმარიტად უკაცრავათ გახლავართ, რომ ასე დავიგვიანეთ.....

ამირანდო. დაბძანდით! (დასსდებთან). ახალი რა არის ჩვენ პატარა ქალაქში?

სარქისა. ახალ-ახალი ზეთისხილი მოსულა ახალციხიდან და ნალები.

ამირანდო. (გაიღიპებს) შე შეჩვენებულო, სულ უნდა იმასხარაო? ახალ ამბავს გკითხამ.

სარქისა. ამბავი ეს არის, რომ თქვენ თუთულოვისთვის არზი პისატი გიქნენებიათ. ვნიაზ, მე თქვენგან დავალებული ვარ, შენი პურ-მარილი აქამდის არის (ეელზე უჩვენებს); რო არ გითხრა, შენთან ყაღბი გამოვალ, ად რაფიელიც იცის, თქვენი მწერალმა ონოფრეს უწერამს ჩალიანის თავობაზე.

ამირანდო. იქნება მართლა?... ბიჭო, ბერუაე! (ბერუა შემოვა). ერთი ჩემი ყუთი მომიტანე. (ბიჭი გავა). კარგი, რო. მითხარ... (ბიჭი შემოუტანს წითელ თაღათინის ყუთს, გაედებს, ამოიღებს ერთ ღერბის ქალღმრე დაწერილს ანწასა და აძლევს რაფაელს) აბა ერთი წაიკითხე? (რაფაელ გამოართმევს ანწას და კითხულობს. სარქისს უყურებს გაკვირვებულის ხასით.)

სარქისა. ვაა! ხედავ, რა დაუკლია და!

რაფაელ. ოჰ! შეჩვენებული, სულ დაგლუპავდა.....

ამირანდო. აჰ! რას ამბობ, როგორ დამლუპავდა?!

სარქისა. ვა, რა დაუკლია და! მამაშენის საფლავეის მზემ, არზის მიცემა და ჩალიანის ონოფრეს მიცემა ერთი იქნება.

ამირანდო. როგორ? არ მეტყვეით, რა დაუკლია? თხუთმეტი თუმანი მიფეცი იმ, იმ, იმ ურიასა!

სარქისა. კიდევ მიტომა, შე დალოცვილო, პელაციის არზა თხუთმეტი თუმანი!..

ამირინდო. ბიჭო, რა აკლია, აჰ, არ მეტყ-  
ვით?

ეროვნული

ბიბლიოთეკა

სარქისა. (რაფაელს) თქვენ უთხარ და.

რაფაელ. (განტვიფრებული). რა აკლია! მა-  
მითქვენის საფლავის მზემ, ვერ გაგიბედამთ, მა-  
გრამ უნდა გითხრა: ერთი ტოჩკა არა ზის.

სარქისა. ეა! კარგა ჩახედე, არც ზაპეტაია  
ზის!

ამირინდო. (წამოხტება). ხელამთ იმ, იმ, მამა  
მახინჯსა, ზაპეტაია რა არის? ზაკონებია განა?

რაფაელ. ზაპეტაია არს ნიშანი არზის ჰაზრს  
თუ ჰანგები თუ ვითარ წარმოდიან კანონი და  
სულში სამჯაეროსა შინა წარმოება საქმისა.

ამირინდო. მაშ დამლუპამდა; მამა ჩემი ნუ  
წამიწყდება, თუ ხელში ჩამივარდა, ტყირპი ვერ  
დავაგდებინო, შენა ამირინდო აღარ ვიქნები.  
ერთი მითხარით, ახლა რა მეშველება, ჰაჰ?

სარქისა. რაფაელ, ახარ ჩვენ უნდა მოვა-  
ხერხოთ.

რაფაელ. თუ სუდიამაც არ ჩააელო თვალი,  
არ იქნება.

სარქისა. ეა! მეტათ ხარბი არის, ბევრი გვ-  
თხოვს.

წაფაქელ. მართლა! მაგრამ გადაჭრილია მა-  
გაზე, თითო ტოჩკა და ზაპეტაია ოქრო არის.

ამირანდო. ჯანი გაეარდეს, რასაც ითხოვს,  
მიეცემ, ოღონ მტრის გულისად ნუ გამხდით!

წაფაქელ. მერე კიდევ გამოგადგებათ საქმეში,  
რაკი ერთი დაახლოება გექნებათ.

ამირანდო. აბა, რა უნდა მიეცე, მითხა-  
რით?

წაფაქელ. სარქას ბულდანიჩი, აბა დათვალეთ!

სარქისა. (სთვლის) აღინ, 10, 20, 30, 40,  
50, 60... სამოცი მეტია, მაგრამ ღმერთი არ  
არის...

წაფაქელ. კარგი, სხვა არა უნდა რა.

ამირანდო. შემოდით ჩემ საწოლში, ფულს  
საც მოგცემთ, და ერთი რჩევაც მინდა გკით-  
ხოთ გავლენ)

სოლოზან (მარტო)

სოლოზან. ღმერთო, შენ შემიწყალე, რაზე  
იჭირებს საქმეს: ან თითონ რაზედ იღუპება, ან

იმ უბედურს რაზე ლუპავს? ეი, ბევრი არ შესძლებია ფულსა! ეი, ფულო, ფულთა, სოფლის ბატონო, ნათქვამია:

ეს სოფელი სულ ასეა,  
 უფულოდ სად არს წესია?  
 თუ ფული გაქვს, დამიჯერე,  
 მომკი, რაც არ გითესია.

გისაც ბედმან მისცა ფული;  
 გინდა იუოს ბოროტ სული  
 კვირდებიან და იტყვიან:  
 აქვსო უცხო, კარგი გული

ნიჭი, სასული, დიდება  
 ფულთან სუეკელაა ფუჭი:  
 უგუნურიც გამდიდრდება,  
 თუ რაქროთ აქვს საესე მუჭი!

(გაკა თავის ქსევით. შემოვა სარქისა).

სარქისა. აუსვით.....

დმერთი უშეკლის ქართველებს!



ცარული აქვს თავია.  
თითონ და იმათ შვილებსა  
აკლიათ ზაპეტაია!



ქართული  
ლიბრარი

უნდა ნახოთ, თუ აქვს თუ  
ეკელასა აქვს დიდი გული,  
მაგრამ თუ გამოკლიათ...  
ტოჩკა და ზაპეტაია!

როცა გვთხოვენ ჩვენგან თულებს,  
ეკელა ჩესტნი ქართველია!  
თუ კი მოვთხოვთ ნასესხულებს,  
ტოჩკა და ზაპეტაია!

შემოვლენ ამირანდო და რაფაელ  
ამირანდო. სადილათ ბარემ აქ იქნებოდით,  
საღლა უნდა წახვიდეთ.

რაფაელ. კელავ გიახლებით, ეს საშური სა-  
ქმე არის: ვადა არ გაგივიდეთ. (მიდიან)

ამირანდო. კიდევ კარგათ გადავრჩი ამ  
სულის. წერბედებას.. ჰაი, თუ თუთულოვი ჩა  
მივარდა ხელში, სიცოცხლე გაქვს, ჩაეჩქო

მამა არ წამიწყდება, ფულით ვცემ! საკურფე-  
ლი რამ ყოფილა ფულით ცემა: ერთმა, ყმაწფე-  
ლო, ქრთამი მთხოვა; გაჯავრებული ვიყავი,  
ჩაეყარე ათი თუმანი გძელ პარკში, მივდექ  
ზურგში, ასე ვცემე, მამა ჩემი არ წამიწყდება,  
რომ გული შემოეყარა; ავდექ და პარკი მიუ-  
გდე, მერე აღვა, ყმაწვილო, მადლობა მითხრა  
და საქმეც გამიკეთა! (შემოვა ბერუა).

#### გამოსვლა 4

#### ისკე და ბერუა

ბერუა. ბატონო, ღროგით ვილაც მოდის,  
ხარები უბია, მგონია, პრაენიკი არის.

ამირანდო. არიქა, ბიჭო, კაბა, წალღები, სარ-  
ტყელი სოროზან! (შემოვა სოროზან, ამირანდო  
თან იცვამს და თან ელაპარაკება). აბა პრაენიკი  
მოდის, სადილათ რა გვაქვს?

სოროზან. ბოზბაში, ჩიხირთმა და მწვადები.

ამირანდო. აბა, კიდევ მოუმატოთ რამე,  
შემწვარი ჩახობილი ქათმები, ფლავი ბატკნის,



ლოლა-ქაბაბი, აფხაზური. შენ კი, ბერეუვა, მემარნეს უთხარი — სამოციანი მოხალოს, წმინდათ ამოილოს, შენ იასაულებს და ყაზახებს კარგა დახედი, ვინძლო დაათრო.

ბერეუა. მოგეცა დღე გრძელობა, კარგა მე ისინი დაენაყრო! (კარებიდან ისმის ზარის ხმა).

### გამოსვლა 5.

ამირინდო სოროზან და გაბრიელ — მკვარულათ ჩანმული. ამირინდო თავს დაუკრავს.

ამირინდო. დრასტი! დრასტი! ლოსპოდინ სულრი, დრასტი, იზბოლით, იზბოლი, იზბოლით (სელს უშვერს სკამზე).

ბეგლარ. ვერ მიცანით, მამაე, თქვენი შეილი, ბეგლარ!

ამირინდო. (დაიუვირებს) აჰ! შეილო, ბეგლარ! (მოესკევა ტირილით). მამა ჩემი არ წამიწყდება, ოჰ, შეილო, რა ბედნიერი ვარ! რა რიგათ დაკეთებულხარ, ბიჭო, მამა არ წამიწყდება,

სულიასა გევხარ (ბეგლარ მოესკევა სოროზანს, სო-  
როზან უელსე ცდილობს კონანს.)

ბეგლარ. სოროზან, ჩემო სოროზან, ხომ  
კარგათა ხარ, ჯერ ყოჩალათა ხარ, არ დაბერე-  
ბულხარ.

სოროზან. ვმადლობ ღმერთსა, თქვენ შშივი-  
ლობით გნახეთ, ახლა რალა დამაბერებს.

გამოსვლა 6.

იგინივე და აბუა (სელეზ-გაშლილი შემოვა)

აბუა. შეილო ბეგლარ, შეილო ბეგლარ,  
ჩემა მოხუცებულმა თვალებმა კიდევ გნახეს,  
შეილო, კიდევ ცოცხალს შენი ნახვა მელირსა...  
(ეხვევა) ჩემო სიცოცხლე, ჩემო შევნიერო,  
ჩემო, ჩემო სამოთხის კარებო (დადგება უკან, სა-  
თვალეებს გაიკეთებს). შეილო, შემომხედე აგრემც  
შენი აბუა გენაცვალოს, რა რიგათ დაკაცე-  
ბულხარ, იი! შენი ჭირიმე, რა რიგათ უხდება  
დარბაისლობა, შენ კი გენაცვალე, ჩემო ფრან-  
გის სურათო.

ბეგლარ. აბუა, აბუა! (შემოვლენ ბიჭები, სოფი

სელზე, სოგი კალთაზე ჰკოცნიან, ბეგლარ ტაკზე  
 ჰკოცნიან).

ამირინდო. დაღალული იქნები, შეილო,  
 დაისვენე, აი ეს ოთახები შენი იყოს საკუთა  
 რათ. აბუავე, დაასვენე ახლა ნულარ წუწუნებ,  
 ეგეც შენი ბეგლარი.

ახუა. გენაცვალე... (ბეგლარს გარდა ეველანი  
 მიდიან).

### გამოსვლა 7.

ბეგლარ. (მოისხნის შარფს, დაჯდება ტახტზე,  
 ბრძამს შემოაქვს ჩამადანი და ქართული მაფრანა).

დღეს ვგეგარ აწ მე ასალ შობილსა,  
 ვსედავ რა სასლსა ჩემის შობილსა.  
 დღეს ვიწყებ ახლა სოფლის ცხოვრებას,  
 და მისთა ვნებათ ზღვის მღელვარებას.  
 უნდა ვიბრძოლო ღელვაში ნავით,  
 უსკა ნინაბი მე სუსტის მკლავით!

(დაფიქრდება. ამ დროს ჩემათ შემოვა მისეილ და  
 უურს უგდებს)



იქნება ბედმა,  
 თვალთ ვერ სეღმა,  
 უდროთ მოსთვლას ჩემი ცხოვრება?

იქნება ერთა,  
 გონების მტერთა,  
 მოსწამლან ჩემი ნიჭიერება?

(ღრმად დაფიქრებული წარმოდგება და შეკა  
 თასში).

### გამოსვლა 8.

მიხეილ. (მარტო) მიყვარს ყურება, როცა  
 ჩემი პროექტი დაფიქრებული არის..... საბრალო  
 პროექტო! *Тебя здох не поймуют!* შენს გრძნო  
 ბიერს, თბილს გულს გააცივებენ. *Да*, ძნელია  
 ებრძოდეს მალალი გონება გაუნათლებლობას...  
 საკურველი არის ეს ვოენის სამსახური: ყველას  
 ბედნიერი ხასიათი გვაქვს, გინდა ქვეყანა უკან  
 გადატრიალდეს, ჩვენთვის ბურტყლი, ბუნბული  
 არის! ჩვენი ქარიანი ხასიათი სჯობს პროეტობას.  
 საკურველია, უნდათ რომ ყველა კაცი ანგელო-  
 ზათ გახდონ! აბა, ეს ჩემი პროექტი ეცადოს თა-

ვის მამა გახადოს ანგელოზათ? ტყუილათ კი/  
 არ ამბობდა ჟან-ჟაკ რუსო, უსწავლოებდითა  
 სჯობსო. ამ კლიაუზნიკს რო ესწავლა, მთელ  
 უეზღს აჰყრიდა. მაგრამ მე ჩემის პოეტისათვის  
 ვარ... თითონ ვერ გამოიცნო თავის ბედი.

ჩემო პოეტო,

რა შეიმატო

მაგ ძალა ნიჭით?

ვის აგრძნობინებ,

შესტეობინებ

ტკბილ ჩანჯის ქღერით

შენს ნიჭსა და გულს?

ძალაღი სულის

სად უშობე ჰასუსს?

რომ წავიკითხოთ,

გარდავიკითხოთ

პოეტო ვარსკვლავი?

ბედნიერებით

და ბუდროებით

არვის შობილს.

პოეტის ბედი—



სოფლის იმედი  
 არ ბადებულა.  
 მათი ცხოვრება  
 ვაჭო ეკვირვება,  
 რა განქსნსრეკს სრულად!  
 ხან სოფელს სტირის,  
 ხან ძალდა უვირის,  
 არ არს კმაყოფიით;  
 ხან ვითა ჩხვილი  
 გულით უბრუვილი  
 ხარობს სოფელსა!.....

გამოსვლა 9.

მისიელ და ბეგლარ.

მისიელ. ბეგლარ!... (ესკევიან ერთმანეთს)

ბეგლარ. მიშელო, მიშელო!...

მისიელ ეს არის ეხლა შევითყე შენი მოსვ-  
 ლა და გამოვაჭენე ცხენი. *Какъ! я радъ,* მე  
 ოტპუსკში ვარ აქა, კარგა გავატარებთ დროს,  
*несмотря на то,* რომ მამა ჩვენები ჩხუ-  
 ბობენ და ერთმანეთს მტერს ეძახიან.

ბეგლარ. (უხიამოვნებით) როგორ თუ ჩხუ-



ბოზენ, რა აქვსთ საჩხუბარი?

მახეილ. *Ах, братец,* მასტყან გიანაშვილი  
ბოზ. მე შენი ნახვა მიამა, შენ ჩვენთან ხომ  
მოხვალ?

ბეგლარ. მაგას რა კითხვა უნდა. *Но,* და-  
ჯექ, მიაშბე, პირველათ მითხარ, ხომ სუყველანი  
კარგათ არიან: ნინუცა გაზღალა, *я думаю*  
*теперь она невеста.*

მახეილ. *Ах братец, куда дьяка!* ის მტი-  
რალა ნინუცა ხომ აღარ არის. გახსოვს... უნ-  
და ეხლა ნახო ქალაქის ინსტრუქტურში გაზღილი!  
*Такая умница, прелесть!* ერთი მოდი, ნახე.  
*Прошу не влюбляться: мы теперь Монтеки и*  
*Капулеты.* მაგრამ შენ რა ეშმაკი შეგაყვარებს:  
*вотъ у вас какіе-то идеалы: Шиллеровскія дѣвы!*  
აი ჩვენი საქმე სხვა არის: საწყალი პროზაიკები  
რაკი პატარა ფერ გათხულ ქლსა ვნახავთ,  
*прощай* გულგო! *Ах, братец, какъ меня чер-*  
*ные глаза истерзали!* ცეცხლს მიკიდებენ...

ბეგლარ. *Счастливецъ,* შენ კიდევ ჩემი ქა-  
რიანი მაშელო ხარ; მგონია, შენ დააბერებ  
ღროს, შენ ღრო ვერ დააბერებს?

მიხეილ. რა ეშმაკისათვის მინდა სიბერე? შენ მებრალები, რომ დაგაბერებენ. იცი რას გეუბნები: ღმერთს გეფიცები, შენ ხომ სულ ქარიანს მეძახი, არ მიჯერებ, მაგრამ კარგს რასმე გირჩევ: მოდი ჩვენ პოლკში შემოდი, *меня там поймут, понимают*, თორემ მასხარათ აგიგდებენ.

ბეგლარ. სამასხარაოს რო არასა ვიქ.

მიხეილ. შენ ხომ შენ პოეზიაზე ხელს არ აიღებ. ჯერ დიდ ქვეყანაში სულელს გეძახდნენ, აქ დაღუპული კაცი ხარ. *Но прощай, приходишь завтра к нам?*

ბეგლარ. *Непреломно буду* (მიხეილ გავს).

### გამოსვლა 10

ბეგლარ, აბუა (შეძრვას)

აბუა. ის მატრაბაზი იყო აქა, ონოფრეს შეილი? როგორ შენოუშვი, მოხუცებულს მამა შენს ეწყინება

ბეგლარ. რათა, აბუაე, უცხო ყმაწვილი კაცია, ნეტავი იმისთანა საქართველოს ყმარწვილი კაცები ბევრი გამოუვიდნენ.



ახუა. უი, დამიდგეს თვალები, რას ამბობს მამიშენის მზეს! მაგისტანა გარყენილი ყმარწილი კაცი თურმე არსად არის, მერე თურმე ასეთი ბრიყვია, შენმა დაბერებამ, უნდა თურმე ნახო სტუმრებში, ქალებთან ფეხებზე ფეხს შემოიდებს, თითქო სარდალი იყოს, მერე საშინელი ურჯულოც თურმე არის (პიანკა დაიწეს): ღმერთო, შეგცოდე. დიდმარხვაში ხორცი და კიბოთი თურმე სკდება.... აი შეარცხვინოს ღმერთმა. მამი შენის მზეს, იმათსა არ მიხვიდე, თორე მოგწამლვენ, გამდელი ჰყავთ ერთი კუდიანი ჯადოებრით საესე არის..

ბეგლარ. რას მიზამს?

ახუა. შეგილოცავს და სიყვარულის წამალს დაგაღვივებს.

ბეგლარ. ოთხმოცი წლის დედაკაცს რათ უნდა, რომ შემიყვაროს?

ახუა. რას ამბობ, ყმარწილო, გენაცვა, განა თითონ, ონოფრეს ერთი გონბიო ჰყავსო, ნინო ჰქვიანო, იმას შეგაყვარებს.

ბეგლარ. რამენაღვლება, ამბობენ, ლამაზიაო.

ახუა. ლამაზი? არა, შენმა გარდამა; თვალის უკან კილოები დაწეული აქვს, ზეითონის მოკლე აქვს, რომ ლაპარაკობს, თითქო ძალათ იკრიჭებო (საიდუმლოს სმით), მერე ისეთი ურცხვი თურმეა, რომ, ვინც უნდა მივიდეს, ნათესავისავეთ ელაპარაკება; ინტიტუტში გაზარდეს, რას ისწავლიდა, გენაცვა, იმათში!

ბეგლარ. *Ах, как я рад! видно она хорошо образована!* (იქით) ხვალ უთუოთ ენახავ. (გავა).

ახუა. ღმერთო, დაგვიხსენ მტრის დაცინებისაგან! რა ვქნა, აქ აღარავინ არის? რაზე მატირეს ცხრა წელიწადი ამ ყმაწვილის მოშორებაზედ! რა ასწავლეს? დაუბერებიათ, მე რაღასაც მოველოდი, ისევ ის ბეგლარ არის...  
(ფარდა ჩამოეშუება)

## მეექვმედი 2

ათასი ნინოსი, ერთს მხარეს ქორტოფიანი დგას, კარგის მუბილითა. ნინო ზის ქორტოფიანსგადა და უკრავს.

გამოსვლა 1.

ნინო. (იმღერის)



ნეტარ, გულთ, რისთვის შექმენ შენ უნდა  
მღვდელისა, მღვდელისა,

იქნებ შენცა მოგეფინა ტრფობის შექმის ელკა-  
რება?

ნახე, სცადე, თუ ეგ იუოს ბედისგან დანაწესი,  
თუ ეგ იუოს განგებისგან შენსა გულსა დანა-  
თესი,

მიჰყე ტრფობას!  
ტკბილსა გრძნობას,  
მიეც თავი!  
არ არს ავი.

ტრფობა არს ქალთა ნუგეში, სსვა რა გვაქვს  
სოფლისა ღვინი,  
ტრფობა არს ჩვენი დიდება, ჩვენი სკიპტრა და  
გვირგვინი.

## გამოსკლას 2

### შემოვა ბეგლარ

ბეგლარ. თქვენ ესლა ამბობდით, რომ ტრ-  
ფობა არის ჩვენი სკიპტრა და გვირგვინი, მაგ-  
რამ თქვენა ხართ ღირსი, მიწიერი გვირგვინი-  
სა კი არა, ზეციერისა.

ნინო. არა, მე ისე ბედნიერი არა ვარ, როგორც მოვისურვო ზეცის გვირგვინი.

ბეგლად. მაშ რომელი გვირგვინი გსურთ?

ნინო. თქვენ რათ გინდათ, რომ იცოდეთ? ხომ არა გჯერათ, რომ ქართველ ქალს შეუძლიან სიყვარული-გრძნობა? თუ მე მკითხამ, კაცები უფრო გულ-გრილები არიან, მაგრამ ეს არაფერი, ხან და ხან ისინი მტრულათ გვიყურებენ.....

ბეგლად. ა! მე მივხვდი, კნიაჟნავ, რომ ჩემ-ზედ ლაპარაკობთ! მართლათაც, რა გვაქვს ჩვენ საჩხუბარი? მაგრამ მამა ჩვენები არ არიან გასამტყუნარნი, ეს სუყველა უნდა მიეწეროს გაუნათლებლობას, რომლებიც ასე იყვნენ. მინამ განათლდებოდნენ და ეხლა იმედი მაქვს ჩვენი ახალი ყმაწვილი კაცები არ იქნებიან ასე.

ნინო. მე კიდევ იმაზედა ვარ, რომ თქვენ არა ხართ კმაყოფილი ქართველის ქალებისა; არა, ახლა თქვენ თავსა ჰკითხეთ: გიყვარდათ ვინმე როდისმე?



ბეგლარ. დიას! მიყვარდა, მიყვარს და მიყვარება ყოველთვის; ყოველ დროს ყმაწვილობიდან სიბერემდე; ეს არის ჩემი ნუგეში, იმას შეუძლიან გამამიყვანოს კაცათ.

ნინო. ვინ არის ეგრეთი ბედნიერი ადამიანი, თქვენის ლექსებიდანა ჩანს, რომ უნდა იყოს ვინმე და ვინ არის?

ბეგლარ. გინდა იცოდეთ?

ნინო ძალიან.

ბეგლარ. (გამოაჩთმევს სულს) ნინა, თქვენ ხართ.

### გამოსვლა 3.

ივინიკე და მისეილ.

ბეგლარ. (მივა მისეილთან) *Мишел!* მე მიყვარს ნინო, *прошу ея руку.*

მისეილ. *А ты, ნინო, გიყვარს თუ არა? Но თქვი, მეჯავრება დაპრანჭვა.*

ნინო. (უფრში უსურსულებს):

მისეილ. *Но и прекрасно!* ბეგლარ, მოიტახელი, *я согласен,* ღმერთმა გაგაბედნიეროთ



(ბეგლარ კოტნის ხელზედ ნინუცას). ახლა ვინააქმე  
ის არის, მამა ჩვენები რას იტყვიან?

ბეგლარ. მართლა, *что мы будем делать?*

მიხეილ. *Знаешь что!* ჩალიანი, ჩვენ უნდა  
დაგვრჩეს და ამირინდო მაშინ იქნება თანახმა,  
როცა ჩალიანს ნინუცას მზითევში გავატანთ.

ნინო. მართლა, ეგ კარგა მოიგონე.

ბეგლარ. ჩალიანზე მამაგონდა! წარმოიდგინ  
ნეთ გუშინ მამა ჩემმა მითხრა არზა დამიწერეო  
*и осушул мнѣ чужое добро.* ეშალე, ეშალე, ეშალე;  
*никакого толку не добился!* მიშეღ, თუ ღმერთი  
გწამს, ერთი შენ დამიწერე.

მიხეილ. კლიაუზების წერა არა რა ჩემი  
საქმეა?

ბეგლარ. ღმერთმან იცის, არ ვიცი რა უყო?  
ახლა დრო არის უნდა წავიდე, ნახვამდისინ, ნი-  
ნავ! ეხლა გამოგიგზავნით ლექსა, რომელიც  
დამავეიწყდა. (უკუღახი გავლენ)

გამოსვლა 4

ნენე

ნენე. ნეტავი ერთი მეღირსოს ჩემი ნი-





ნუცა შეირთოს ბეგლარმა. ოხ, რა ძალიან მიყვარან რუსები, რომ მოახლების სკოლნიათ, იქნება მეც მელირსოს ჩემი ბლუ აბრამა..... ბლუ რომ არ იყოს, უცხო რამ არის.... მაგრამ რა უშავს, სხვა ხომ არა აქვს დამახინჯებული არც თვალი, არც პირი, არც ცხვირი (იუუუუუა ფანჯარაში) ქაა! ატერა აბრამა მოდის, უთუოთ ნინოსთან საკითხავი წიგნები ექნება.

### გამოსვლა 5

იგივე და აბრამა.

ნენე. ოჰ ყმაწვილო, შეიდობით ბრძანდებით!

აბრამა. მე, მე, მე, ჩე, ჩე, ჩე,

ნენე. რა დაჩეჩე?

აბრამა. ში! ში! ყვა! ყვა! ყვა!

ნენე. (დასტინის) ყვა! ყვა! ყვა!

აბრამა. ყვეარხარ.

ნენე. — ძალიან?

აბრამა. და! და! და! იიი! ააა! ან!

ნენე. ბეგლარს უყვარს ჩემი წინუცა?

აბრამ. ჰა ჰ! ჰ! ჰო!

ნენე. მაშ რატომ არ ირთაე?

აბრამ. მა! მა! მა!

ნენე. მამა არა შეჩება? გაუწყრეს მამა ღვ-  
თასა.

აბრამ. ნუ! ნუ! იიი! წყე! ყე! ელები!

### გამოსვლა 6

ივინიკე და ნინო.

ნინო. *Ах, здравствуй Абрам!*

აბრამ. (თავს დაუკრავს და მთარბთმკვს კარდის  
კონას და წაგნებს)

ნინო. სალამოზედ ხომ არ მოპრძანდება?

აბრამ. რა! რა! რრა! ააა! მომიო!

ნინო. (გასხნის წიგნებს.) *Ах, стуху.*

აბრამ. (აქამდის სულ ენა ებმოდან და დაიძახებს  
უეცრათ) მოგახსენო. (ნინოს და ნენეს გაეცინებათ)

ნინო. (მაკა მდივანსე დაკვდება და გოგო მიწს  
ხაკვდება)

ნენე. გენაცვალო! ნენე, მეც გამაგონე, რუ-  
სული ხომ არ არი?



ნინო. არა ქართული ლექსებია:

(კითხულობს).

ნინო. აგერ წაში მზე ბრწყინვალეს

და განჭვანტა ღამე ბნელი.

შუქი მისი შენსა ფანჯრებს

ჭკონის ვითა საყვარელი.

### *Arz nreacetis!*

აღზდექ, აღზექ, კმარა ძილი,  
 კმარა ტკბილ სიზმართ ზმანება,  
 ისმინე ფრინველთ ყლივილი,  
 ისმინე დღისა მშვენება.

აღზდექ, ატებე შენი ყური,  
 ვარდს ტკბილათ დამღერს ბუღბუღი,  
 უცოდ უშტკენს მოლადური,  
 შორის ტუის ისმის გუგული.

მზისა სხივსა ოქროს ფერად  
 დაუფერავს შენი არე,  
 მე მოვსულვარ შენად მზერად,  
 აღზდექ, სიღვით გამასარე!

აღზდეგ, მნახე თავს დაგიკრავ,

მე მოგიძღვნი ვარდის გონებს,

შენსა სელებს გულში ვიკრავ,

გარდგიკოცნი ლამაზ თვალებს.

(უკანასკნელ გუბლეტს რომ კითხულობს, გამძღ-  
ლი შემოვა, ნელა მიუხარება და წიგნს გამოსტატებს).

ნინო. ათანაე! არ დახიო.

ათანგვერდი. ვისგან არის, რა არის ესა? (დაინახავს  
ახრამას) ჰო, ახლა ვიცი ვისგანაც არის, (კით-  
ხულობს) ჰკოცნი ვითა საყვარელი, გარდგიკოცნი  
ლამაზ თვალებს. ბეგლარ (მივა სიანჩსლით) ეს  
რა არის? იჰ, კარგათ გაზდილო ქალო! არა გრ-  
ცხენიან? უი! უი! უი! რას დროს დავესწარ.

ნინო. ათანაე! რა არის, მანდა ცუდი არა  
არისრა, რაზე გიქდები?

ათანგვერდი. რაო! ხედავთ ამ ურცხესა; უი!  
უი! უი! ამ დ—ღე—ს მომ—სწრ—ებს!

### გამოსვლა 7.

ივინიუ და სიდონია (შემოვა).

სიდონია. რა არის ათანაე, რა ამბავია?

ათანვერდი. (დაჯდება ტასტზედ და იტყვს მუ-  
სღებში) რაღა რა ამბავია, ჩვენი ლაფის დასხმა,  
ჩვენი სირცხვალი, ჩვენი ჩაქოლვა, ჩვენი სა-  
საცილობა, ჩვენი თავის მოჭრა.

სიდონია. (შეშანებული) რა არის ვეფო, არ  
იტყვი?

ათანვერდი. შენი კარგი ქალის გამოაშკარება,

სიდონია. უ—ი, როგორ თუ ქალისა?

ათანვერდი. მიეც ინტიტუტში, შენ თუ არ-  
სად ებარე, ცუდი ქალი გამოგიყვანე, ეხლა ას-  
წავლე მიჯნურობა, ნესტან ტარიელობა, საარ-  
შიყო უსტრები.

სიდონია. როგორ უსტრები? აბა მაჩვენე.

ათანვერდი. (უკითხავს) «გკოცნი ვითა საყვა-  
რელსა, გარდგიკოცნი ლამაზ თვალებს »

სიდონია. (დაეცემა ტასტზედ) უი! უი! უი!  
მე ჩაქოლილმა.

ნინო. (შეკარდება) გენაცვა, დედაე, სამაგისო  
არ არის რა, ღმერთს გეფიცები.

სიდონია. რაოო! ხედავთ ამ შეჩვენებულს?  
შე წყეულო!

ათანგერდი. ჩუმათ, არაეის გააგებინოთ რაზე /  
დაგეანსა ლაფი. (გამდელი მივარდება და დაუქუქებს  
კვაკრობას).

სიდონია. ათანაე ნუ უყვირი, გენაცვალე,  
(ასლა სიდონია მივარდება) შე წყეულო! (ამდროს  
შემოვა აბრამ, მოისუდავს სიდონია, დადაინსავს) ეს  
ვინ არის.

ათანგერდი. შენც აქა ბრძანდები!? ბიჭო,  
გლახა! ფილიპე! პაპუნა! (შემოცვინდება ბიჭები)  
ბიჭო, გაათრიეთ ეს ვილაც არის (ბიჭები საუკლავს  
დააუქურენ და ცემით გაათრევენ)

აბრამ. ჩე! ჩე! ჩე! მი! რრა! ბ—ბბ — რალია!  
(გათრევენ)

სიდონია. (უქასის ნინოს) აქ მობრძანდი  
ქალბატონო და. (შეაგდებს ოთახში და დაუკეტავს  
კარებს) აქა ბძანდებოდე მზის სხივს არ დაგანახ-  
ვებ. შე! შე! შე! გასაქრობო. (ათანგერდი ძირს  
საღიხაზე თავდება, მივა სიდონიაც, ტირიან, მეს-  
ლებზე იცემენ ხელებს) უი! უი! უი!

ათანგერდი. ახლა ტირი როსაც ხახლ-  
ში მიიღე დიუძინებელის მტრის შვილი,  
V 7



ყმაწვილი კაცი ერთათ აკურკურე, არ იცოდო  
რომ ეს მოხდებოდა; თითონ ის საზანდარიდან  
წერს ლექსებს, გადმააბრუნებს ჩვენს ოჯახს.  
კარგი საქრმო უბოვნე!

სიდონია. — ერთი შესედე, შენ არ მიქებდა,

შენ არ იყავი ილაჟ ბიუკეტდი:

კარგი შეილა, მეუბნებოდი,

უცხო საქრმოა ყველგან ყვიროდი!

ათანვერდი. რა, არ მესმის, ერთი მიბრალე,

რა მამაგონე, შენ გენატვალე,

ამას არ ვუიტავ, დიდათ მიყვარდა,

თითქმის ჩემ თვალ წინ აქ გაიზარდა.

ვის რა უთხარი, რა დავიყვირე,

მე რა ვიტოდი იყო მეშტვირე.

(წაიშენს მუხლებში) უი! უი! უი! უი!

გამოსვლა 8.

ივინივე და მისკელ (შემოვა და შეეშინდება)

მისკელ. — რა ამბავია, დედავ, რა ამბავია! მამა  
ჩემისა ხომ .....

სიდონია და გამდელი. შენი მატრაბახობა, შენი  
სიბლუტე.



მიხეილ. *Что за комедия!*

სიდონია. წადი და ახლა მიეცე პასუხას, მანა უნდა შენ დაახუმე, რათ მოსკერ მოხუცებულ მამა შენს თავი, მე ყელი რათ გამომკერ.

მიხეილ. *Что за шортъ!* არ მეტყვიოთ რამ დაგაგიჟათ, არ შემატყუოხინებთ?

ისმის ოთახიდან ნინოს სმა: *Мишель, Мишель, меня заперли, ради бога отвори, я все расскажу!*

სიდონია და გამძელი. ხმა გაიწყვიტე!

მიხეილ. (დაინახავს დივანზე გასაღებს, მიუვა, გასაღებს კარებს და გამოიყვანს ნინოს სამტირალას).

მიხეილ. *Что такое?*

ნინო. *Я получила букетъ и стихи Бел-лара, твоего друга.*

მიხეილ. მაჩვენე ამ წიგნი წაფიკითხო?

გამძელი. (გადაუგდებს) აი შეეჩქეცი.

მიხეილ. (იჭინის) ეს არის ამაზედა ჰკლამ-ლით ამ ქალს? მე ერთი რალაც მეგონა. ამაზედ მეორედ-მოსვლა გაქვსო, წადით თქვენ ოთახში, ღრიალებოთ, ერთ ისტორიას აკეთებოთ.



სიდონია. (მივა მისკილთან), გენაცვა მიხო,  
 მართლა არაფერი არა არის რა? უჩინებელი  
 ბიზლიმთქვა

მისკილ. არა, დედა შეილოზამა (წაკლენ სი-  
 დონია და გამდეღი) (მისკილ უუერებს გამდეღს)  
*Вотъ Кетинисхевская оубьма!* (ჭკოცნის ნინოს  
 სელზედ) *Но Перестань хныкоть* აქ წამოღი.  
 (ფარდა ჩამოეშვება).

(დასასრული უმდეგ წიგნში).





# დალოცვილი ძუკელი დროება

მოთხრობა

(ერკმან-შატრიანისა).

ლოზენგეიმში, რომელიც მდებარეობს ელ-  
ზასის სამზღვარზე, ეოგეზის მთებში, 1750-წელს  
ცხოვრობდნენ შეშის მკრელები, მენახშირეები  
და მეტივეები.

მომეტებული ნაწილი ამ ხალხისა ადგილობა  
რივი დიდ-კაცების ყმები იყვნენ და მათთვის  
მუშაობდნენ. ისინი სჭრიდნენ შეშას, ხერხავდნენ  
ფიცრებს და რეინის მდინარით მიჰქონდათ ღოა-  
ლანდიაში, საცა ჰყიდდნენ. ამ ხალხის ბა-  
ტონები, რომელთაც «საფრანგეთის კოროლის  
ნემცებს» ეძახდნენ, იღებდნენ დიდ-ძალ ფულის  
და ნებიერობით და სიმხიარულით ატარებდნენ

დროებას ვერსალში; და თუ ხანდისხან შემოაკლდებოდათ ფული, ისინი ყბებს გაჰყვდნენ ხოლმე რომელსამე კოლონიაში.

ამ დროსვე გოგეზის მთებში სამი მონასტერი იყო: ნევილლერის, ღრაუტტალისა და ჭჭალცხურლისა. მთელი სოფელი დომინიკანეებით, ჭრანცისკანეებით და კაპუცინებით არის მოფენილი. ყოველგან და ყოველთვის დაინახავდით მათ წითელ გრძელ წვერსა, მათ ჭუჭყიან და დაგლეჯილ ტანისამოსს. ისინი ერთ სოფლიდან მეორე სოფელში მოგზაურობდნენ, ეჭირათ ხელში ლოცვის კრიალოსნები, აკურთხებდნენ ქალებს, პატარა ყმაწვილებს, გამოსტყუებდნენ ზოგს ფულს, ზოგს პურს, ზოგს ყველს, ერბოს, კვერცხებს, ისე რომ საცოდავი სახედრები, რომელსაც აჰკიდებდნენ ამ ნაირად ნაშოვნ სარჩოს, ვერ ზიდავდნენ და რამდენმეჯერ გზაზე წაიჩოქებდნენ.


სულ მთელი ამ სოფლის მცხოვრებლები გლაზაკნი იყვნენ. თავის სიცოცხლეს ისინი მუდამ სხვისთვის მუშაობაში, მუდამ გარეთ, თოვლ-

ში და ტალახში ატარებდენ; ამ ნაირად იყვნენ შეწუხებულნი უზომო საბატონო გადასახადით! დიდი ჭილობის ქუდები, სქელი ტილოს ჩასაცმელები იყო მათი ტანისამოსი, ფეხს კი მარტო კვირაობით ჩაიცვამდნენ, როცა წირვის მოსასმენლათ წავიდოდნენ ნეივილერის მონასტირში.

წირვის-დროს მოძღვარი, ბარტოლდი, უქადაქებდა სიმშვიდეს? ზომიერ სიცოცხლეს, აფრთხილებდა სიზარმაცისაგან, სიხარბისაგან და შურისაგან. თუ რომელსამე ქალზე დაინახავდა ან ახალ კაბას, ან ჭრელს თავსახურავს, ან სუფთა ხელსახოცს, ის დაიწყებდა იმწამსვე მორთულობაზედა ნებიერობაზე ქადაგობას. სოფლებლები დიდის სინანულით დაბრუნდებოდნენ სახლში და ცდილობდნენ გასწორებას.

ისინი იდგნენ გაურანდველ როკის სახლებში. ერთ ნახევარში ჰყვანდათ პირუტყვები, მეორეში კი თვითონ თავის ცოლშვილით ცხოვრობდნენ.

ამ ბედნიერ ხალხში ცხოვრობდა ერთი შე-



შის მკრელი, სიმონ ბრუატი. მისი სახლი ერთი უკეთესთაგანი იყო მთელს დონეცკში, ის იყო ერთ-ერთადანი, რომლის ბანი ყავარით იყო დაფენილი. სიმონის სახლობა შესდგებოდა: მოხუცი დედისგან და მამისგან, რომელთაც დიდი ხანია დაეკარგათ მუშაობის დონე, სამი ვაჟისგან და ორი ქალისგან. ყველანი, მოხუცებულებს გარდა, რაც შეეძლოთ, მუშაობდნენ. ამ დროს სიმონი ორმოცი წლისა იყო, ის იყო განიერ მხარ-ბეკიანი, მაღალ შუბლიანი, დიდი ცხვირიანი, წვრილი, ცოცხალი თვალებიანი და წითელ წვერიანი ვაჟ-კაცი. ერთ შეხედვითვე შეატყობდით, რომ ეს ნამდვილი შეშის-მკრელი იყო, რომელიც დაუსვენებლივ მუშაობდა და რომელსაც უშველებელი ტივის გაკეთება და წყალში ჩაგდება არაფრათ არ მიაჩნდა.

მართლაც, სიმონის დონე, მოთმინება და ვნერგია განთქმული იყო მთელს იმ მხარეში. მუშაობაში ვისმესგან დამოკიდებლობა იმას არ მოსწონდა: ყველაფერს თავისნებურათ აკეთებ-

და, ყველაზე მომეტებულს მუშაობდა. სიმონ მარტო სასლში ემორჩილებოდა თავის მოხუც დედ-მამას, ისე როგორც მთელი სახლობაც.

ამ მოხუცებსაც თავიანთ სიცოცხლეში ცოტა არ უმუშაენიათ; იმათ დიდი ღონის-ძიება იხმარეს, სანამ შეილებს და თავიანთ თავს გამოიხსნიდნენ ბატონის ხელქვეითობიდან. იმათ მოიპოვეს მარჯვე დრო, როდესაც მათი ახალგაზდა ბატონი გაება ვალში და როდესაც სულ მთელი ღალა მოკრეფილი იყო; სიმონის დედ-მამამ მაშინ გაყიდა თავის სახლი, შინაური პირუტყვი და სხვა, რაც გააჩნდათ და მისცეს მეებატონეს. ამის შემდგომ ბრუატის სახლობა სცხოვრობდა თავისუფლათ და შრომით შეიძინეს კიდევ სახლიც და სახნაფ-სათესი მიწაცა.

ეს ამბავი ძილიან კარგა იცოდა სიმონმა. დიდის სიყვარულით და სიამოვნებით უცქეროდა მათ და ამიტომაც ემორჩილებოდა. ყოველ ორშაბათ დილას ის საგძლით აკიდებული წავიდოდა სამუშაოთ ტყეში და მთელ კვირას ერთ ქობში ატარებდა. ტყეში ყველაზე ადრე სიმონ



ნის ცულის ხმა მოისმოდა. ყველაზე ადრე და  
 იწყობდა მუშაობას და ყველაზე გვიან  
 ვებდა: ამიტომაც ის დღეში ხუთმეტ სუს  
 იღებდა

შაბათობით, როცა მოზრუნდებოდა სახლში  
 და შორიდგან დაინახავდა ფანჯრეაში სინათლეს,  
 იმ წამსვე ის წარმოადგენდა შინაურების სუ-  
 რათს: მოხუცები და ყმაწვილები შემოსხდომიან  
 ბუხარის გარშემო, მისი ცოლი, კატერინა, ამ-  
 ზადებს სუფრას და უუროსი ქალი რეცხავს  
 ჯამს საქმლის ჩასასხმელათ. ამ დროს ტერეზა —  
 (უუროსი ქალი) — იტყვას: «როდის უნდა მოვი-  
 დეს?» მოხუცი მამა ჩაფიქრებული ურევს გაჩა-  
 ლებულ ცეცხლს და მოხუცებული დედა კი  
 საჩქაროთ მრდის ფანჯარასთან და უცქერის  
 ქუჩაში. მას შემდეგ დიდი ძალლი, მანსჭელდი,  
 რომელიც აქნობამდინ მოაქვნიებით იწვა სტოლ  
 ქვეშ, დგება თავის ალაგიდამ, იზმორება და  
 დგას გაშტერებული.

— ამ გვარი სურათი ყოველთვის გამოესახებოდა  
 სამონს, როცა მოდიოდა ხოლმე სახლში. შვა-

ღებდა კარებს თუ არა, იმ წამსვე ეცემოდა საჭმლის სუნი.

— დღეს შენ როგორღაც დაიგვიანე, ეტყოდა ხოლმე მამა, გახარებული შეილის დანახვით. სიმონი დაღალვისაგან ვერაფერს ვერ უპასუხებს და ცდილობს განთავისუფლდეს იმ შეკვერა შეშისაგან, რომელიც მოიტანა ტყიღამ. ცოლი მიესალმა, ყმაწვილები ზოგი ფეხზე ხელს უჭერს, ზოგი ყელს ეხვევა; მოხუცი დედა კი დიდის სიამოვნებით უცქერის თავის შეილი-შვილებს და თან უჯავრდება მათ:

— ნელა, ნელა, ყმაწვილებო! მოუსხედით სტოლს, ვახშმის დრო არის!

ზოგჯერ ამ სახლობას სხვანიც მოემატებოდნენ. სიმონის ბიძა-შვილი, ბატისტ ტიბო, თავის მეუღლე, ანეტათი, ხანდისხან მოდიოდნენ აქ სამასლაათოთ. ტიბო ცხოვრობს მათ მეზობლათ, იმას აქვს სახლი, სახნავე-სათესი მიწა, თავლა და ორი უღელი ხარი ყავს. ის ხან მინდორში მუშაობს და ხან ერთ ადგილიდან მეორე ადგილამდინ გადააქვს საქონელი.





ტიზო მალაღა და გამზღარი ტანასაა, იმას აქეს სწორე ცხერი და შავი თვალეზე. თვის გაჯაფრებულ გულზეა. ისიც, ყმობისაგან დახსნილია, თორემ ჟანი (სიმამრია) არადროს არ მისცემდა თავის ქალის შერთვის ნებას იმ კაცს, რომელიც დამოკიდებულა ბატონისაგან. ბატისტ ტიზოს საქმე ძალიან კარგა იქნებოდა, მძიმე და უზომო გადასახადი რომ არ წოლოდა კისერზე.

შემოვიდოდა თუ არა სახლში, ის მოიკუნტებოდა ბუხრის წინ და ხან ერთს უცქეროდა, ხან მეორეს და დაიწყობდა ჩივილს:

-- კიდევ წვიმა, დაიწყობდა ის: — საძაგელი და მძიმე წელიწადია. ანუ: — მართლა, ეს გვალვა და უწვიმოება სრულებით დაგვლუბავს: ბზა ფუჭდება, ქერი ცვივა.... სამი კვირაა, ერთი ცვარი წვიმა არ ჩამოვარდნილა. უფრო თან და თან მძიმდება ჩვენი ცხოვრება!. ღალა სულ გვემატება.... მოაურავი წუხელის მობრძანდა... გაივსებს ჯიბეებს.

ამას იტყოდა ხოლმე გულ დაკოდილი, გაგრძე-

ლებით. მოხუცი ქანი ყურს უგდებდა იმის ამგვარ ჩივილს, უფრო ჩაფიქრდებოდა და მოეგონებოდა ძველინდელ დროს, როდესაც ორმოცი წლის წინათ ყმებიც ამდენს არ იხდიდნენ, რასაც ეხლა თავასუფლები იხდიან.

ყმაწვილებიც დიდის ყურადღებით უკვდებდნენ ყურს ამგვარ ლაპარაკებს, ქალები ან ართავდნენ, ან ქსოვდნენ, მოხუცი ანნა ხანდისხან მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას ლაპარაკში და იტყოდა:—დიახ, ეს სწორეთ იმ წყლის გადმოვარდნის დრო იყო, როცა თივა და ბზე ისე ძვირი იყო, რომ ვერ ვაძღობდით შინაურ პირუტყვებს და როდესაც ძალა-უნებურათ უნდა გაგვეყიდნა ძროხები დასაკლავათ.

ანუ:

— მე მახსოვს, რომ იმ წელიწადს ძალიან ცივი ზამთარი იყო. ტყეში შეშის ჭრა დაყენებული იყო, ხალხს ვერ აეტანა ამგვარი ყინვა. ტყის ბეგარა მაშინ დროებით იყო დაწესებული და აი ეხლა კი აქნობამდინ დარჩა!

სიმონი დაჩუმებული უგდებდა ყურს და თან

კალათას წნაედა, ანუ ქალამანს ჰკერაედა გასას-  
ყიდათ.

სალამოს ათ საათამდი ყველანი გაძლებოდნენ ლაპარაკით, ყველანი თავიანთ დარდს შესჩივლებდნენ ერთმანერთს; მაშინ სიძე ადგებოდა და ეტყოდა თავის ცოლს:

— ანნეტა, სახლში წასვლის დრო არის. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ღამე მშვიდობისა! კიდევ ბევრი გვაქვს სადარდელი; სუყველას როგორ გამოვსთქვამთ? არა ვარ ღეთის უმადური, მაგრამ უნდა მართალი ვსთქვა, რომ ღმერთი ძალიან არ ცდილობს ღარიბი ხალხისთვის! ამ სიტყვების შემდგომ ტიბო და მისი ცოლი გაემგზავრებოდნენ სახლისკენ. მოხუცი ქანი გააცილებდა მათ ქუჩის კარებამდინ და როცა ისინი წავიდოდნენ, აიხედაედა მალლა ზეცისაკენ და იტყოდა:

— რაც იქნება, იქნება! მალლა უფალი ხომ ხედავს ჩვენ მდგომარეობას!

ქალები და ყმაწვილები ავიდოდნენ ზევით ძველ დამპალ კიბიდან; მათ უკან მიდიოდა ქანი და ეუბნებოდა:



— ყოჩაღათ, ყოჩაღათ, ყმაწვილებო, აი, ეხ-  
 ლავ დაეწვებით ლოკინში და დაეძინებთ ხელფეხ-  
 სიმონ, სიარულის დროსაც კი სძინავთ. შეი-  
 დობით! — შეიდობით, მამავ, უპასუხებდა სიმონ,  
 გააქრობდა ცეცხლს, დაჰკეტდა შესავალ კარებს  
 და თითონაც ავადოღა ზევით დასაძინებლათ.

II

1750 წ. სიმონის უფროსი ქალი, მარიანა, იყო  
 თოთხმეტი წლისა უფროსი ვაჟი, თორმეტისა,  
 სულ პატარა ქალი კი ახალი დაბადებული  
 იყო და მისი ცოლი, კატერინა, ჯერ კიდევ ძუ-  
 ძუს აწოვებდა.

ამ ოჯახმა ბევრი მძიმე წელიწადები გაატარა,  
 ბევრი და ვაივაგლახი გასწია ამან. თუმცა  
 სიმონი დაუღლელათ მუშაობდა თავის სახლო-  
 ბის გულისთვის, მაგრამ როცა შინ დაბრუნდებო-  
 და მუშაობილამ, ხედავდა, რომ შინაურები თან  
 და თან ჩათეთქილები, ყვითლები და ნალელია-  
 ნები არიან. ჟანი და მისი ცოლი თითქო უფ-  
 რო მოხუცდნენ. კატერინას კი იშვიათად ხედავ-

და მოცინარეს. ტიბო თან და თან ჯაფრიანი  
და დარდიანი ხდებოდა; ის ეხლა ამ გვერდით  
ლაპარაკობდა:

— მარლა რომ ეს კაპუცინები, ჭიანჭისკან-  
ცები და მოურაფები, რომელნიც დაეთრევიან  
აქ თავიანთ ჯოჯობით, სულ ურცხვი ხალხია.  
როგორც დამშეული ხროვა თხისა, რომ შეუ-  
შვა ახალ მოშენებულ ტყეში, ისე ძირიანათ  
აფუჭებენ ისინი ყველაფერს, ასე რომ თითქმის  
მთელი ქვეყანა ააოხრეს. მე მგონიაა იმ ნაირი  
დრო მოვიდეს, რომ სულ მთელ მიწებს გავყიდით  
ლალას მისაცემათ. არა, ძალიან ძნელი მდგო-  
მარეობაა ეს ჩვენი მდგომარეობა!

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს მამა და  
შვილი შეხედდნენ ერთმანეთს და ფიქრობდნენ:  
«დიახ! ამ გვარი მდგომარეობა დიდ ხანს არ  
გასძლებს... ჩვენ ვიღუპებით... არც მუშაობა,  
არც ყაირათი არაფერს გვშეველის. ჩვენი გშვილები  
უსწავლოლათ რჩებიან, არა გვაბადიარა, რომ  
უასწავლოთ მაინც კითხვა და წერა. ისინი  
უნდა ვამუშაოთ ტყეში, რომ ერთი ლუკმა პუ-

ჩი თაყიანთ შრომით მოიპოვონ. მაგრამ, რა უნდა ექნათ? რით უშველოთ დარდსა?

ვერცერთს, ვერც მეორეს ვერ მიეცათ დასამშვიდებელი პასუხი. რასაკვირველია, ისინი სხვაგან გადასახლებას არასდროს არ იფიქრებდნენ. ამ გვარი ფიქრები არადროს არ მოაუვა იმ სახლობას, რომელსაც ორას წელიწადზე მეტი ერთ ადგილას გაუტარებია და რომლის მამაპაპებიც აქ დაბადებულან და აქვე დახოცილან. სიმონი ისევე თავისებურათ მუშაობდა და მისი მდგომარეობის გაუკეთესობა კი არსად ჩანდა. ამას შაგივრათ იმას მოემატა უფრო ნძელი და მოუთმენარი საქმე.

ერთ დღეს, ცხელ კათათვის თვეში, მთელი სიმონის სახლობა მუშაობდა მინდორზე; მარტო ქანი ბრუატი დარჩენილიყო სახლში. ცა მოუენილი იყო ღრუბლით და წვიმას აპირებდა. ქანი იჯდა ქვედა ოთახში ჩაფიქრებული და ყურს უგდებდა საათის მაიატნიკის რაზა რუხს, კრიჭინის მღერას და წყლის შხუილს. ერთბაშათ იმას მოესმა მოურაეის ხმა:

— ეი, მეგობრებო! არ დაგავიწყდესთ ლას მომზადება, ესლავე დავიწყებთ შეკრებას. «ჰა,» იფიქრა მოხუცმა, ესლა ესენი გაგვაცუავებენ და გამოგვაცლიან, რაც გვაბადია!

ქანი მოვიდა ფანჯარასთან და გამოჰყო თაფი. მწარე ღიმილით უყურებდა მოურავის ლალის მოკრებას. ბევრმა სხვა და სხვა ფიქრებმა გაუარა გულში მოხუცს და დაღამებამდის დარჩა ამ ფიქრში ფანჯარასთან.

სრულებით დაღამდა. ქუჩაში გამოჩნდნენ ყმაწვილები, რომლებიც მუშაობიდან მოდიოდნენ, მოისმოდა ურმების ჰრიალი, მაგრამ ქანის სახლობა კი არსად მოჩანდა. მოლოდინობისაგან დაღალულს ქანს ბუხრის წინ მიეძინა; ამ დროს ერთბაშათ მოესმა ვილასიც ფეხის ხმა. ის შეკრთა და მობრუნდა. ეს იყო სიმონი, რომელსაც გაეხადნა ზევით ჩასაცმელი და დაღონებული დადიოდა ოთახში.

— შენა ხარ, სიმონ? ჰკითხა მოხუცმა.

— მე ვარ, მამა.

— რათ მოსულხარ მარტო და ყველაზე აღრეც?

— მე თქვენ ნახვას დავეჩქარე.

ამ სიტყვების დროს მოხუცმა შეატყუა, რომ მისი შვილი რალაზედაც ამღვრეულია.

— რა დაგმართვია? ჰკითხა შეშინებით მამამ.— ხომ არაფერი უბედურება არ მომხდარა?

— დიახ, რო მართალი უბედურებაა, სთქვა დალოცვებით სიმონმა.— ჩვენ დღიური მუშაობის ფასი დაგვიკლეს. ტყისა და წყლის ახალი პატრონები ამბობენ, რომ თხუთმეტი სუ ძალიან ბევრი ფასიაო. ეხლა თორმეტზე მეტს აღარ იძლევიან; ვისაც უნდათ, იმუშაონ და ვისაც არა, დაანებონ თავიო .. ამას გარდა, მებატონეები ამბობენ, თუ თქვენ თავს დაანებებთ, ძალიან დიდი სამწუხარი არ იქნებაო, რადგან ჩვენ საკუთარ ყმებსაც შეუძლიათ კარგათ ამ საქმის ასრულებაო.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდგომ დაუმატა:

— ეხლა სუყველა გათავებულია: ხვალინდელ დღიდან თორმეტ სუს მივიღებ მუშაობის ფასს.

მოხუცი აირია. იმას ძალიან ეძნელებოდა ამის დაჯერება.





— სხვები როგორ არიან, რას ფიქრობენ? ჰკითხა ამღვრეულის ხმით მოხუცმა.

— რა უნდა იფიქრონ? არაფერს არ ფიქრობენ.

— არაფერსაც არ ამბობენ?

— რა უნდა თქვან? ამ მიწების მფლობელი ყველასი და ყველაფრის ბატონია. ერთი დრო მოვა, ნახავს, რომ თორმეტი სუ ბევრია და რამდინ დაგვიკლებს.

ამ ლაპარაკის დროს ქუჩიდან მოესმათ მუშაობიდან მომავალი სახლობის ხმაურობა.

მოხუცი წამოდგა, მივიდა სიმონთან და უთხრა:

— არაფერი არ უთხრა ამ საგანზე არც დედას, არც ცოლს და არც ყმაწვილებს. ეს ამბავი მოჰკლავს მათ.. უნდა როგორც არის რამე მოეფრონათ და შეეიმსუბუქათ ჩვენი მდგომარეობა. ამაზედ ხვალ მოვილაპარაკოთ, ეხლა კი გაეჩუმდეთ.

სიმონი ჩამოჯდა ბუხრის წინ.

შინაურების ხმა ისე მოახლოვდა, რომ

კაცი გაიგონებდა—რაზედაც ლაპარაკობდნენ.

—რა უნდა ვქნათ ეხლა? ყვიროდა გამწარებული მოხუცი ანნა, რომელსაც თავ-მოსახვევი გვერდზე მოგრებოდა:—ეხლა მეტი გზა არ არის, შიმშილით უნდა დავიხოცნოთ....

კატერინა, მარიანა და ყმაწვილი ლუიზაც ტიროდნენ. ჟანმა ძალიან კარგათ შეიტყო, რომ ქალებს ყველაფერი გაგებული ჰქონდათ და მთელ სოფელსაც კი შეეცყო ეს ამბავი. ქალები შემოვიდნენ და მიყარ-მოყარეს თავიანთი სამუშაო იარაღები.

— ეს არის რალა ჩენი დასასრული, ყვიროდა ანნა. ეხლა უნდა ცოცხლები დავიმარხოთ საფლავეში და მოვკლეთ.

ამ დროს დაინახა ჟანი და სიმონი, რომელნიც გაუნძრევლივ იხდნენ ბუხრის წინ.—თქვენ რალას დაჩუმებულხართ? მიუბრუნდა იმათ ანნა.—განა ეს შესაძლებელი საქმეა? რით უნდა შევინახოთ ყმაწვილები? განა მებატონეს იმოდენა უფლება აქვს, რომ ცარიელი ლუკმაპურიც გამოგვაცალოს? განა ეს ღეთის წინამდებელი არ არის?



ქანს თავის ღღეში არ ენახა თავის ცოლი ასე გაჯაერებული, როგორც ახლა. იმან არ იცოდა, რა ეპასუხნა. ამ დროს აკოშკაში გამოჩნდა ტიბო, რომელსაც გაანჩხლებისაგან თვალები უელავდა.

— გაიგეთ? გაიგეთ ახალი ამბავი? წამოიძახა მან:— ჩვენი კეთილი ბატონი ვალში ჩავარდა; რასაკვირველია, ჩვენ უნდა გადვიხადოთ მისი ვალები; ჩვენ მუშაობის ფასი დაგვიკლეს. აი რა ხალხი არიან!

მთელ სოფელს შეეტყუა ეს ამბავი; ქალები მოთქმით ტიროდნენ; ყმაწვილები გაშტერებული იყვნენ. სადაც არ გაიხედავდით ყველგან ტირილსა და ყვირილს გაიგონებდით. ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ დაიარებოდა კარდაკარ და ყველა ამ საქმეზე ლაპარაკობდა.

მუშა-ხალხი თავ-დაღუნული დადიოდა. ყანების გაფუჭებას არაფერ არა ფიქრობდა. ეს უბედურება, რაც ეხლა მოუვიდათ მათ, სეტყვაზე და გვალვაზედაც უარესი იყო, რადგან ეს მუშაობის ფასის დაკლება, უეჭველია, სამუდამოთ დარჩებოდა.

მოსუცი ქანი იჯდა თავ-დაღუნული თავის სკამზე, როდესაც დედები ტირილით ეუბნებოდნენ თავიანთ შვილებს:

— თქვენ თავს წაგვართმევენ, შვილებო, შიმშილით ავით გახდებით და მოკვდებით....

იმან აიღო ამ დროს მალლა თავი და უთხრა:

— რას გიმეტებსთ თქვენ ეგ ცრემლი და ქვითინი? რაც შენ გვიამბე, ტიბო, ეგ ახალი ამბავი არ არის. ვინ არ იცის, რომ როცა ბატონი ჩავარდება ვალში, ჩვენ უნდა ჩვენი შრომით გადავიხადოთ იმის ვალები; ჩვენ უნდა მივსცეთ შეძლება, როდესაც ჩვენ ბატონს მოუვა ფიქრში ხელმწიფის სასახლის მსგავსი სასახლის და ბალების გაკეთება, როდესაც ჩვენი ბატონი დაეთრევა სხვა-და-სხვა გარყვნილებთან. სულ ჩვენ, საწყალმა ხალხმა, უნდა გადავიხადოთ. ეგენი ჩვენ ყველამ ვიცით, მაგრამ რა უყოთ? წყლისა და ტყის მფლობელს მივმართოთ? ეს არაფერს არ გვიშველის! ჩვენ ყველამ ვი-

ცით, რომ არარაი ვართ, რომ არვინ ყურს არ გვათხოვებს, რომ არ ვართ ღირსი მათი რადღებისა. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ გავბედეთ ჩივილი ჩვენ ბატონზე, ის სამუშაოს ხელიდამ ჩამოგვაცლის და გაგყურის თავის მიწიდან.

ტიბომ ხმა არ ამოიღო; ის აჩქარებულათ დადიოდა ოთახში.

— იქნება სჯობდეს, რომ სხვაგან წავიდეთ სამუშაოთ? გააგრძელა დარდიანათ მოხუცმა, — მაგრამ სად წავიდეთ? განა, საცა წავალთ, ყველგან ვიშოვნით მუშაობას? ესთქვათ ათ ან თხუთმეტ ევრსზე წავედით აქედამ, სხვა ადგილას და სხვა ბატონთან, განა იქაც ეს უბედურება არ მოგველის? განა ეს ამბავი, რომ დოზენგეიმში მუშაობის ფასი დაკლებულია, არ გავარდებოდა სხვა მიწებში და იქაც არ დააკლებენ ფასს?

ის მოელოდა პასუხს, მაგრამ არა ვინ ხმა არ ამოიღო.

— როცა კაცი უსახლ-კარო რჩება და იმდენი ღონის-ძიება არა აქვს, რომ რომელიმე

თავის სურვილი აასრულოს, მაშინ ერთილა-  
 დარჩენია იმას: თავის ბედს დაემორჩილოს ჩვენ-  
 უნდა შევამციროთ ჩვენი ხარჯი.

— აბა, რაში შევამციროთ? წამოიძახა ანნამ.

— მე კი არ მინდა დაუკლო, სთქვა მოხუც-  
 მა, მაგრამ კარგი იქნება რომ შემსუბუქდეს,  
 იმიტომ რომ არაფერი მეტი საშუალება არა  
 გვაქვს.

მოხუცი მიუბრუნდა ტიბოს, მაგრამ ის ჩა-  
 ფიქრებული იჯდა თავის სკამზე.

ბებერმა ტერეზამ დასდგა სუფრაზე ერთი ქო-  
 თანი საქმელი. მეზობლის სახლიდან გამოდი-  
 ოდა ხმა-მალალი ტირილი.

— დავსხდეთ, ვივანშმოთ, სთქვა მოხუცმა.  
 უნდა ვნახოთ, მოვიფიქროთ, მაგრამ ყველაზე  
 უფრო უნდა მოვითმინოთ. იქნება ჯერ არ  
 დავეიწყებოდეთ ღმერთსა და ბოლო დროს გად-  
 მოგვხედოს.

ის დაჯდა პირველი და მერე ყველანი გარ-  
 შემოუსხდნენ, მაგრამ ყელში ლუკმა არვის  
 მიუდიოდა. ქალები ხანდისხან მიბრუნდებოდ-



ნენ ხოლმე ცრემლებს მოსახოცათ. ცოცხალი  
 ყმაწვილები კი გამხიარულდნენ. მარტო ტიბო  
 და მისი ცოლი არ მისდგომიან სუფრას. ის  
 ცეცხლთან იჯდა გაჩუმებული.

აი, ასე ყოფილა «დალოცვილ ძველ დროს.»  
 მღვდლები და ბატონები ყოველად კმაყოფილი  
 ცხოვრებით სტკებოდნენ და ხალხს კი, ღეთის  
 იმედის მეტი, არაფერი არ დარჩენოდა.

დიდმა რევოლიუციამ სრულიად შესცვალა  
 იმნაირი განწყობილობა; იმან მოსპო ბა-  
 ტონ-ყმობი, დააფუძნა თანასწორობა და და-  
 უსაკუთრა გლეხ-კაცებს ის მიწა, რომელ-  
 საც ისინი თორმეტი საუკუნის განმავლობაში  
 ბატონებისთვის ამუშავებდნენ. რატომ ეხლა  
 ჩვენ დროშიაც გლეხ-კაცობა და მოქალაქეები არა-  
 ფერს ამბობენ ადამიანის უფლებისა და რეს-  
 პუბლიკის სასარგებლოთ? განა მათ მოსწონთ,  
 აღრინდელი თავიანთი მდგომარეობა, რომელიც  
 რევოლიუციამდი, 189 წლამდი, იყო, როდეს-  
 საც მათ მამა-პაპას ახრჩობდნენ ათასგვარი მძიმე  
 გადასახადით და მუშაობით? არა! მაგრამ უბედუ-

რება ისაა, რომ ხალხმა არ იცის საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორია. იმას მხოლოდ კატეხიზმოს და სამღვთო წერილს ასწავლიან. აი, რაში მდგომარეობს ხალხის ცოდნა!

საფრანგეთს კი მხოლოდ მაშინ ეღიროება ბედნიერება, როდესაც იმის მდაბიო ხალხი განათლდება, როდესაც ეს ხალხი გაიცნობს თავის წინაპრების ცხოვრებას და დააფუძნებს დემოკრატიულ მმართველობას.

მაშ, მოჰკიდონ ამ საქმეს ხელი იმ კაცთა, რომელთაც ხალხისათვის სიკეთე ჰსურთ. ვილაპარაკოთ და ვსწეროთ სოფლის ხალხისათვის, ვილაპარაკოთ და ვსწეროთ ისეთი ენით, რომ ამ უბრალო ხალხს ეყურებოდეს ჩვენი სიტყვა. ამ ჟამად, მგონი, ერთი წიგნი არ იბეჭდება ისეთი, რომ ხალხს ესმოდეს რა სწერია შიგ. ჰბეჭდენ ღრმად დაწერილ წიგნებს, ამდიდრებენ მეცნიერებას სხვა-და-სხვა გამოკვლევითა, აკადემიკოსები მჭევრ-მეტყველობით აკვირებენ ქვეყანას! მაგრამ ყველა ეს წიგნები და გამოკვლევები მხოლოდ ხალხის შემავიწროებლებს;





თვის და დამლუპველებისთვის არიან გამოსა-  
 დგენი. ხალხი კი რჩება უმეცრებაში და უცნობაში.  
 კის ყრის დროს, თავის წარმომადგენლებათ-  
 ისეთ პირებს ირჩევს, რომელნიც იმასვე ლუპავს  
 და სულს ახდენს. აი, ნამდვილი მიზეზი ჩვენი  
 უბედურებისა !...





ქართული  
ბიბლიოთეკა

## ჩუენი ისტორიის მსახლები.

მკვლი სამართლას ნამუში.

ქ. გიორგიტა. ჩიქოვანი და მისი შმა. სიმონ.  
შღვდელი გაეაბჟვეთ. ქ. მოღვა გიორგი და სი-  
მონს. უჩიელა კაციელა. გელენიძის. შვილი  
საერთო იყო ფასი. აილო. და მე. არაფერი. მაქეს.  
ქ. მოღვა სიმონ. და მაგიერი. უპასუხა. მართა-  
ლი. არის. გამორთმევა გეინლოდა. მაგრამ. ჭყონ-  
დიდელს შეეხეწა. აღარ. დაგვანება. გამოსარ-  
თმევად. და ოცი. მარჩილი გამოვართვი. და  
სასახლოდ. დაეხარჯე. ქ. მისი. ასე. გავაჩინეთ.  
სიმონმა. ორი. კაცის. აჯით შეატყობინოს. გი-  
ორგის. რომ. ამ. გოგოში ამის მეტა არაფერი. ამე-  
ლოს თქვა დარაც აჯით. იტეხოს. სიმონმა ნახევა-  
რი მისცეს. გიორგის. ქ. მოღვა. გიორგი და სიმონ.

ნს. უჩიელა. სიმონიკა. ფირცხელაეას. შვილი  
 ქოჩე. ყიფიანს. მიყიდე სამოცათ მე არა. მა  
 ქესრა. და გელაეები. ქ. მოღვა. სიმონ. და მა-  
 გიერი. უპასუხა. მართალი. არის. მე ეს. გავე-  
 ცი. მაგრამ. მაგიერი შენ. გიორგელა. კირთაძის  
 შვილი. ლაჭავას. მიეცი. და მეც გელაეები. იმ. გო-  
 გოს. მამა. კიდე. სხვაგან. იყო წასრული. ვეცა-  
 დე. ჩემი ცლით. ორმოცდა. რვა მარჩილი. გამო-  
 ვილე. ამოვიყვანე. და გელაეები ამისი გიორგიმ.  
 ვარი. სთქვა. არც. ბოქაულთან რამე. გაგსლო-  
 დეს. ჩემს. ნამეტანი და კიდევ. რომელიც. შე-  
 ნი. გამონალები რამე იყოს. არცერთი ფარის.  
 მე შენი. იმაჩი არა შემჩენოდეს. ქ. ამისი. სი-  
 მონმა. აშორო უთხრა. ამ ორმოცდა. რვა მარ-  
 ჩილში შენგან. მე. არა მომცემოდეს. ქ. აწ. ამი-  
 სი. ესე. გავაჩინეთ. წამოაყენოს. სიმონმა გლე-  
 ხი. კაცი. ესე. შეაფიცოს. გიორგის. ამ. ორ-  
 მოცდა რვა. მარჩილში. არც. მამის. არც დე-  
 დის. არც ოჯახის. ამაში. არაფერი. რეოდეს.  
 რაც. საკუთარი. ჩემის. თეთრით. არ დაეიხსე-  
 ნი. თუ. ესე. უფიცა სიმონმა. მისი. კერძი. სი-

მონმა ჩაიგდიოს. და ოცდა ოთხი. მარჩილ. უზ-  
 ლოს. გიორგიმ სიმონს. თუ. ვერ. უფიცოს. და  
 ორივეს. სწორ. გაუხმარია და გაიაროს. ქ.  
 გოგო. რომ. უჩივლა. გიორგიმ. სიმონს. ქაჩეს.  
 მიეცი. მაგიერი. გიორგის ლაქავასთვის. მიუცემია.  
 და ამაში ერთი. მეორეს. ვერას შეუა. ქ. მოდ-  
 გა. გიორგი და სიმონს. უჩივლა. ერთი. უსახლა  
 კარო. კაცი. გვყავდა. მახარიკა. კირთაძე. და  
 შენი მიზეზით. გაიქცა ოცდა თუთხმეტი მარ-  
 ჩილი. გამივიდა. ამოვიყვანე. და არის. და გე-  
 დავები. ქ. მოდგა სიმონ. და მაგიერი. უპასუ-  
 ხა სამართალი შემიძლია რაც ანტონი ჭყონ-  
 დიდელმა. არ. ამოიყვანა. შენ. ამაში. არცეთი.  
 ფარა არა დაგხარჯოდეს. ქ. აწ. ამისი ესე გა-  
 ვაჩინეთ წამოაყენოს. სიმონმა. სამი. კაცი ესე.  
 შეაფიცოს. რაც ანტონიმ. არ. ამოიყვანა. შენი  
 ამაში არა. გაღებულიყოს. თუ ასე უფიცა. სა-  
 ერთოდ. დაგვიც. თუ ვერ. უფიცა და აჯით.  
 შეატყობინოს. გიორგიმ. და რაც დახარჯოდეს.  
 გიორგის. ნახევარი. უზლოს. სიმონმა. გიორგის.  
 ქ. მოდგა. გიორგი. და სიმონს. უჩივლა. ერთი.

ფირცხელაეას. შვილი. პეტრე. ხუცეს. მივეცი.  
 და მე. არაფერი. მაქვს. ქ. მოდგა. სიმონ. და  
 მაგიერი უპასუხა. მე. პეტრე. ხუცეს. მივეცი  
 და შენ. მეორე. და შენ. იოსელიანს მივეცი. შენ.  
 თუ იმას. მოიყვან. მე. იმას. ამოვიყვან. გიორ-  
 გიმ. კიდე. თუთხმეტი. მარჩილი. საძიძაო. გა-  
 მივიდა ქ. მისი ასე. გავაჩინეთ. ერთი. მას. გა-  
 უყიღია. და მეორე. მეორეს. და ერთმანერთს  
 ვერას. შეუყვა. დასტურ. გიორგიმ. თუთხმე-  
 ტი. მარჩილი. საძიძაო. გამივიდაო. კიდეც. გამო-  
 ზღია, კიდეც. გამიყიღია. იმაში. ვერას. შეუყა.  
 გიორგი. სიმონს. ქ. მოდგა. გიორგი. და სიმონს.  
 უჩივლა. მეოთხე. გოგო. მახარია. კირთაძის.  
 შვალი. გელვანი. დაპატიჯე. და იმ. გოგოს.  
 ფასი. მას. აჩუქეო. ქ. მოდგა. სიმონ. და მაგი-  
 ერი. უპასუხა. მართალი. არის. მოკაეებული.  
 გყავდა. მაგრამ. ვერ. ვაშოვნეთ. მამამ დახიზნა.  
 შერმეთ. სახლთუხუცის. კაცმა. შვირთო და  
 რადგან. ვერ. მოვიყვანეთ. მართალი. არის. ოცი.  
 მარჩილი. ავიღე. და საერთოდ. დაეხარჯე. ქ.  
 აწ. მისი. ესე. გავაჩინე. ოცი. მარჩილი. იტყვა.

სიმონმა. და ნახევარი. უზლოს. სიმონმა. გიორგის.  
და თუ. რამეს. გამოელის. კიდე. იმიდგან. — ისტორიის  
სწორ. გაიყონ. ქ. მოღვა. გიორგი და სიმონს.  
უჩივლა. სალარეის. შვილი. მამაჩემმა. გაყიდა.  
მისი. ნათესით. გოგო. დაიხსნა. იმ გოგოს. შვი-  
ლი ეყოლა. და შენ. სამოცათ. გაყიდე. და დე-  
და. გყავს და მსახურობ. და გედავები. ქ მოღ-  
ვა. სიმონ. მღვდელი. და ბუში რომ. უჩივლა.  
გიორგიმ. სიმონმა. ანტონი. ჭყონდიდლის. წიგ-  
ნი. წამოაჩინა და დედაში ეს. უპასუხა. ჭყონდი-  
დელი. ანტონი შემოპრძანდა. და უჯერო ცოლ-  
ქმარი. გაყარა. შეეხვეწა დედა. ჩემი. და თასი  
მიართვა და დაიხსნა. სამართალი შემიძლია ექ-  
ესი რუბის მეტი მამი ჩემის იმათში. არაფერი.  
რეოდესო. ქ. აწ. ამისი ასე. გაეარჩიეთ. ბუში.  
ბიძი ჩემის. ანტონის წიგნი მოიტანა და ხელი.  
არა აქვს გიორგის სიმონის. არის. და დედის.  
რომ უჩივლა. სიმონმა გიორგის. წამოაყენოს.  
სიმონმა. ოთხი კაცი. ასე. შეათეცოს. გიორ-  
გის. რაც დედაჩემმა. არ დაიხსნა. მამი ჩემის.  
ამაში ექესი. რუბის. მეტი. არაფერი. გაღებუ-



ლიყოს. თუ ესე. უფიცა. არც. სიმონს. აქს.  
 ხელი და არც. გიორგის. ქვრივის. არის და  
 მას. ყავდეს. თუ ვერ უფიცა. და საერთო.  
 ყოფილა და ერთად. გაიყონ: ქ. მოდგა. გი-  
 ორგი. და სიმონს. უჩივლა მანამდი. დიდი სა-  
 ურობა იყო და. დათუნიკა. სვანიძეს. თავისი.  
 შვილი თუთხმეტ მარჩილად. გასაყიდლად. მი-  
 ყავდა. მოაბრუნა. დედაჩემმა. საურის. თეთრი.  
 მან. გაისტუმრა. და დაიხსნა და იმ გოგოს.  
 შენ. მსახუროფ. და გელაფები. ქ მოდგა სიმონ. და  
 ამისი უარი სთქვა. სამართალი. შემძლიან  
 რაც. საერთო არის. დედის. შენის. იმაში არა  
 ფერი. ერიოს. და არც. შენი საკუთარი  
 ეს. იყოს. ქ. აწ ამისი. ასე. გაფაჩინეთ. წამოა-  
 ყენოს. სიმონმა. ერთი კაცი ასე. შეაფიცოს.  
 რაც. საერთო. არ არის. დედი შენის. მაში.  
 არაფერი. ერიოს. საერთოთ. და გულით. თუ  
 ვერ უფიცა. და გიორგის. ყოფილა. ის. ქალი.  
 და რას. ემართლება სიმონ. ქ. მოდგა. გიორ-  
 გი და სიმონს. უჩივლა. მამა ჩემს. მიქელმა.  
 ჭაკი ცხენი. მისცა. ცხენის. ქირათ. და. მთაფნი

ცხენი. და ერთი ჭაკი ცხენი. შენ. გაყიდე და  
 სამი კვაცები. კიდე. შენ გაყავს და მამი ჩემსა  
 დანატოვარი. ორი საფოხლე. ქვაბი. ოთხი ხა-  
 რი. და ძროხა. ესენი. დარჩა ზოგი მოიხმარე.  
 და ზოგი. გაყავს და. გედაეები. მოდგა. სიმონ-  
 და ამისი. ასე. უთხრა. ამ. ცხენის მომცემი და  
 ვათ. და მიქელ. არი. მათ. კითხეთ. და მოგეხ-  
 სენებათ. ხარის. ძროხის. ქვაბის. ყველასი. უარი.  
 სთქვა სამართალი. შემიდლიან. არც ერთი მარ-  
 ჩილის არა ხარათ. არა ძროხათ. არა ქვაბათ.  
 შენს ნამეტანი. არც. მომეხმაროს. და არცარა  
 მქონდეს. ქ ამისი. ასე. გავაჩინეთ. ჭაკი ცხენი.  
 და ვითს. და მიქელს ვკითხეთ. ყიფიანის. ქალს.  
 მივეცი თო. და ქალის. არის. გიორგის ხელი  
 არა აქვს. ხარი და ძროხა. და ქვაბი რომ.  
 უჩიელა. გიორგიმ. წამოაყენოს. სიმონმა სამი  
 კაცი ასე. შეაფიცოს. გიორგის. არა ხა-  
 რათ. არა ძროხათ. არა. ქვაბათ. შენს ნამეტანი  
 მე არაფერი. მომეხმაროს და არცარა. მქონდეს.  
 თუ ასე უფიცა. რას. ემართლება. გიორგი. სი-  
 მონს. თუ ვერ უფიცა. და რაც იტეხოს. სი-





მონმა. ნახევარი. მისცეს. სიმონმა. გიორგისა  
 ქ. მოღვა. გიორგა და სიმონს უჩიელა. მტეხბ  
 ამოგვიწყდა. და ერთი. ბოვში დარჩა. მამა  
 ჩემმა მე. ზოპცა. მე დედა შენს მივაბარე. რო  
 უყავი. არ ვიცი და გედავები. ქ. ამისი. სიმონმა.  
 უარი სთქვა. შორს. დაიკავა. არა ვიცი რა. ქ.  
 აწ ამისი. ესე გავაჩინეთ. წამოაყენოს. სიმონ.  
 მღვდელმა სამი კაცი ესე შეაფიცოს. გიორგის.  
 შენ. რომ. დედა შენს. ბოვში. მივაბარეო. ან-  
 ბობ არც მიგებარებო და არც არაფიცოდე.  
 მისი. თუ. ვერ უფიცა და მისი გოგო უნდა  
 მასცეს. სიმონმა. გიორგის. ქ. მოღვა გიორგი  
 და სიმონს. უჩიელა. მახარობელა სვანიძე სა-  
 უჭის. თეთრში დაწინდებული. იყო. ბორჯზე  
 რომ მივიდა. მოღვა. მოვალე და რო ველარა მოი-  
 ხერხესრა გაგზანა დედა ჩემმა კაცი გალმიდამ.  
 სამოც და ხუთი მარჩილი. მოატანია. და ის.  
 კაცი დაიხსნა. და დღეს საერთოდ არის. და  
 ვდებო. ქ. მოღვა სიმონ. და ამისი. უარი სთქ-  
 ვა. სამართალი შემიძლია. დედიშენის ამაში.  
 არც არა ვაღებულებო. და არც არა. ერიოს.

ქ. აწ ამისი ასე. გავაჩინეთ. წამოაყენოს სი-  
 მონმა ექვსი გლეხი არც და ასე შეფუცილს  
 დედის შენის. ამაში არც ერთი ფარის. არა-  
 ფერი ერიოს. თუ. ესე უფიცა საერთოდ და-  
 გვაც. თუ. ვერ. უფიცა და ან. რაც. დაუხსნია  
 ის. უნდა მიეცეს. გიორგის. და ან. რაც. თეთ-  
 რი გაუღია. ის უნდა მიეცეს. სიმონისაგან. გი-  
 ორგის. ქ. მოდგა. სიმონ. და გიორგის. უჩი-  
 ლა. მახარია კირთაძე. მამა ჩემმა ცოლის. ხარ-  
 ჯათ. მოკცაო. და წიგნიც. წამოაჩინა. და იმ.  
 წიგნში. გიორგიტას. გასტუმრებაც. ეწერა და  
 მაგიერიც მიეცემა მამისაგან. ქ. მოდგა გიორგი  
 და აშორო უთხრა. არც. მაგისი სამა-  
 გიერო. მამა ჩემს ჩემთვის მოეცეს. და არც არა  
 მქონდეს. და არც არა. მყავდეს მაგის. სამაგი-  
 როდ და არც ჩემის. ცოლის. ხარჯი მამა ჩემს  
 ჩემთვის. მოეცეს. ოთხ. მარჩილის. მეტი. აწ. იმისი.  
 ასე გავაჩინეთ. წამოაყენოს. გიორგიმ. შეიდი  
 კაცი. ასე. შეფიცოს სიმონს. არც. მაგის. სამა-  
 გიერო. მამა ჩემს. ჩემთვის. რამე. მოეცეს და  
 არც არა. მქონდეს. და არც. რა. მყავდეს. მაგის.



სამაგიერო. და არც. ჩემის. ცოლის. ხარჯი.  
 მამა ჩემს ჩემთვის. რამე. მოეცეს. მარჩილის.  
 ლის. მეტი. თუ. ასე. უფიცა. სწორ. უნდა.  
 გაიყონ. თუ. ვერ. უფიცა. და. ისიც გასტუმ-  
 რებული. ყოფილა. თავის. ცოლის. ხარჯში.  
 და ვერცარას შეუა. გიორგი სიმონს. ქ. მოდ-  
 გა სიმონ. და გიორგის. უჩივლა. მამა ჩვენი.  
 გარდაიცვალა. და სულის საქმე. ჭყონდიდელმა.  
 სეთხოვა ას ოცი. მარჩილი. ვეცადე გელვანით  
 და გელვანმა. ჭყონდიდლის. გან. პატივი. დაი-  
 ღვა. და მე ოცდა. ხუთი მარჩილის. ცხენი.  
 გარდამახდევინა. გელვანმა და გელავები. ქ. მო-  
 დგა. გიორგი და უპასუხა. ნება შენი არის  
 ქვეშ. უღვიხარ. ამ საქმესო. აწ. ამისი. ასე. გა-  
 ეაჩინეთ. წამოაყენოს სიმონმა ორი კაცი. ასე.  
 შეაფიცოს. სწორებით. მამის ჩემის ნიშანში.  
 გელვანისათვის. ოცდა. ხუთი. მარჩილის. ცხე-  
 ნი მიმერთმიოს. თუ ასე უფიცა ნახევარი.  
 თითონ. უნდა. ჩაიგდოს. და. ნახევარი. გიორ-  
 გიმ. უზღოს. სიმონს. და თუ. ვერ. უფიცა გა-  
 იაროს. ქ. მოდგა გიორგი და სიმონს. უჩივ-

ლა. ოც მარჩილად. ცენი. ვიყიდე. შენ მაშინ  
 მანუჩარს ახლდი. და თურმე, გლახებს ქრთა-  
 მულობდი და სახლოთუხუცის. მისაცემად. ცე-  
 ნი. გინდოდა. შენ კი გყაუდა. ცენი. მარა.  
 მქლე. იყო. და დაშაფებული. და არ. გაგივი-  
 და. და ჩემი ცენი. გამომართვი. და სახუცესს  
 მიეცი და ეს. მქლე. ცენი. მე. მომეცი. ვეცა-  
 დე. პატივი. მიუმყარი და გაეაკეთე. მოდექი.  
 შენ. სამოც მარჩილს. დამპირდი. გამომართვი.  
 არც ვარ. ცენისაგან. და არც. თეთრისაგან.  
 და გედაფები: ქ. მოდგა. სიმომ. და უპასუსა.  
 მართალი. არის. სიმონიკა. კურაშვილისაგან.  
 ცენი. იყიდე და მმართვეს. ქ. აწ ამისი ესე.  
 გაეაჩინეთ. წამოაყენოს სიმონმა ოთხი კაცი. ასე  
 შეაფიცოს. გიორგის. რაც. საწინდრათ. არ. მო-  
 გეცი. ამ. ოცი. მარჩილის. ცენში. ხელმწი-  
 ყვედ. მე. ეს შენტვის არ მომეცეს. თუ. ესე.  
 უფიცა თავისი ოცი მარჩილი მისცეს. გიორ-  
 გის. თუ. ვერ. უფიცა და სამოცი მარჩილი  
 უნდა უზლოს. სიმონმა. გიორგის: ქ. მოდგა.  
 სიმონ. და გიორგის. უჩივლა გაბრიელის შვი-



ლისაგან. ბიქი დაეხსენი. ორმოცდა ექვს მარ-  
 ჩილად. და მყავს და რას მედავები. ქ მოდ-  
 გა გიორგი. და მაგიერი. უპასუხა ამას გედავები  
 რომ. ასე. სამართალი შემიძლია. რომ. ამ ბიქ-  
 ში. შენი საკუთარი. არაფერი. გაცემულიყოს.  
 რაც საერთოდ არ ვიყიდეთო. ქ მოდგა სიმონ-  
 ნა და აშორო. უთხრა არც მამის ჩემის. არც  
 ოჯახის. და არც შენი ამაში არა. გაღებული-  
 ყოს რა. რაც. ჩემი საკუთარი. თეთრით არ და-  
 ეხსენიო. ქ აწ. ამისი. ასე. გაეაჩინეთ. წამო-  
 აყენოს. სიმონმა. ოთხი კაცი. ესე შეაფიცოს.  
 გიორგის. არც მამის. ჩემის. არც შენი. და  
 არც. ჩვენის ოჯახის. ამაში. არა რეოდეს. რაც.  
 სწორებით. ჩემი. თეთრით არ დაეხსენი. თუ.  
 ესე უფიცა სიმონმა. ორმოც და ხუთი. მარ-  
 ჩილი. გამოუღია. სიმონს. და ოც და  
 ორ. მარჩილ. ნახევარი. გიორგიმ მისცეს.  
 სიმონს და კაცი. სწორ. გაიყონ. ამი-  
 ტომ რომ. ხელფეხი. ძმას არ. დაემადღება.  
 თუ. ვერ უფიცა. და მაშინ საერთო. ყო-  
 ფილა. და სწორ. გაიყონ. ქ მოდგა. სიმონ. და

გიორგის. უჩივლა გოვო მოგაბარე. და გამი  
 ყიდეო: ქ. მოღვა. გიორგი. და მიბარებინს. ცარი.  
 სთქვა. მომყიდეო. თორემ არ. მოვიბარებიაო.  
 ქ. მოღვა სიმონ. და აშოლო. უთხრა. რაც არ.  
 მოგაბარე არ მომეყიდოსო: ქ. აწ. ამისი ასე.  
 გაუაჩინეთ. წამოაყენოს. სიმონმა. სამი. კაცი.  
 ესე შეაფიცოს გიორგის. რაც არ. მოგაბარე.  
 მისი ფასი. არც არა შენ მოგეცეს. და არც. მე.  
 გამოემერთმიოს. თუ. ესე უფიცა. ოცდა ათი.  
 მარჩილი უნდა მიეცა გიორგის. მაგრამ. ათი.  
 მარჩილი. გასამზღელში. ჩაგვიგდია. და ოცი.  
 უნდა. მისცეს. გიორგიმ სიმონს. თუ. ვერ.  
 უფიცა და გიორგის ყოფილა და ვერას შეუა:  
 ქ. მოღვა სიმონ. და უჩივლა. გიორგი. ჩიქოანმა.  
 ცხენი მომცა. ის ცხენი. მამაჩემს შემოაკვდა.  
 მაგიერი. ცხენი მომცა. წამართვი. და გედა-  
 ვები: ქ. მოღვა გიორგი და მისი ვარისთქვა: ქ.  
 ამისი ასე გაუაჩინეთ. წამოაყენოს. გიორგიმ ორი  
 კაცი. ესე შეაფიცოს. რაც ტყელი არ. დამწამე.  
 მე შენთვის. ცხენი არ წამერთმიოს. თუ. ესე.  
 უფიცა ვერას შეუა სიმონ. თუ. ვერ. უფიცა

და როგორც უაჯო. ისე უზლოს გიორგიმ სი-  
მონს.

ბექედს ზეითი. რომ. გოგო. უჩივლა. სი-  
მონმა საკუთარი. სიმონის. ყოფილა. და თუ-  
სიმონმა ექესი. კაცი შეათიცოს რაც. არ. მო-  
გაბარე არ მომეყიდოს. ათი. მარჩილი. გასამ-  
ზრდელათ. ჩაუგდოს და ორმოცდა ათი. მისცეს.  
გიორგიმ. სიმონს.

(ასკია ბექედი კრიგოლ დადიანის)





ქართული  
ლიტერატურის

# საზოგადო საქმეები

ეროზა (Земство)

მისი დანიშნულება და წესდება

I

## სოფელი, მაზრა და სახელმწიფო

ყოველი სახელმწიფო შემდგარია სხვა და სხვა ნაწილებიდან, რომელთაც საზოგადოთ მაზრებს ეძახიან და ეს მაზრები, მათი მხრით სოფლები-დან არიან შემდგარნი. რომელთაც სხვა და სხვა ოჯახების კრება შეადგენს. სოფელში თითოეულ ოჯახს თავისი საკუთარი საჭიროება აქვს, თავისი ადგილ მამული, თავისი საქმე შემოაყვადი და ხარჯი. ამ ხარჯს გარდა, ყველა





ოჯახებს, რომელნიც კი სოფელს შეადგენენ, აწევს კისერზე მთელი სოფლის საქმეები. ოჯახებმა უნდა იზრუნონ სოფლის საერთო საქმეებზე, უნდა მოაგროვონ და დახარჯონ საერთო ხარჯი, ერთათ უნდა მმართველ მთელი სოფლის საქმეები. ხშირათ თვითონ სოფელსაც აქვს თავისი საკუთარი, ესე იგი, ყველა კერძო ოჯახების საზოგადო ადგილ-მამული, ტყე, სათიბი და სხვ. რომლის შემოსავალი და გამგეობა მთელ სოფელს ეკუთვნის. ამის მსგავსათ მაზრას, ესე იგი რამდენიმე სოფლების კრებას, აქვს თავისი საკუთარი საქმეები, მამულები, საქიროება და ხარჯი, რომელიც საზოგადოა ყველა იმ სოფლების, რომელნიც ამ მაზრას შეადგენენ. ამისვე მსგავსათ მთელ სახელმწიფოს, რომელიც შემდგარია რამდენიმე მაზრის კრებიდან, თავისი საკუთარი საქიროება, მამულები და საქმეები აქვს, რომელნიც ეგრეთვე საზოგადო არიან ყველა კერძო მაზრების, რომლებიდანაც შემდგარია მთელი სახელმწიფო.

თანხმად ამ განყოფილებისა ყოველ სახელმწიფოში საზოგადო გამგეობა იყოფება სამ ნაწილათ:

1) სოფლის (და მის შესაკვსათ ქადაქის) გამგეობა, რომლის დანიშნულება მდგომარეობს სოფლის საქმეების მმართვეაში, სოფლის შემოსავლის შეკრებაში და მისი საჭიროების დაკმაყოფილებაში;

2) მაზრის (გუბერნიის და უეზდის) გამგეობა, რომელიც ყურს უგდებს სოფლების გამგეობებს და თან იმ საქმეებს მმართავს, რომელნიც შეეხებიან საზოგადოთ ყველა ამ მაზრის სოფლებს, ან რამოდენიმეს იმათგანს;

3) სახელმწიფო გამგეობა, რომელიც ზედამხედველობს მაზრების გამგეობებზე, და იმას გარდა ყურს უგდებს და მმართავს იმ საქმეებს, რომელნიც შეეხებიან საზოგადოთ ყველა ამ სახელმწიფოს მაზრებს ან რამოდენიმეს იმათგანს.

სხვა და სხვა სახელმწიფოებში ეს გამგეობები სხვა და სხვა ნაირათ არიან გამართული, სხვა

და სხვა გვარ უფროსების ან აღორჩეულ პირების ხელში არიან, მაგრამ ყოველგან კი საზოგადო გამოგეობა მტკიცეთ განსაზღვრული და განყოფილია ამ სამნაწილათ, ესე იგი სოფლის, მაზრის და სახელმწიფო გამოგეობათ.

## II

## მკელი და ახალი წესი გამგეობასა რუსეთში

ამ უკანასკნელ დრომდღი რუსეთში ეს სამივე გამოგეობა ერთ და იმავე კალაპოტზე იყო გამოწყობილი. სახელმწიფო გამოგეობა ეკუთვნოდა, როგორც ეხლაც ეკუთვნის, ხელმწიფე იმპერატორს; მაზრის გამოგეობა ებარა მისგან დაყენებულ გუბერნატორებს, და სოფლის გამოგეობა გუბერნატორისგან დანიშნულ ჩინოვნიკებს. სოფლებში ეს ჩინოვნიკები თავიანთ შეხედულებისამებრ მმართვედნ სოფლის საქმეებს, და პასუხს უგებდნ მხოლოთ გუბერნატორებს;

მაზრებში გუბერნატორები მმართველად აგრეთვე თავიანთი შეხედულებისამებრ, და აგრეთვე ეკითხებოდნენ და პასუხს აძლევდნენ მხოლოდ უმაღლესს მთავრობას... არც სოფლებს, არც მაზრებს არავინ ეკითხებოდა მათი საქმეების მმართვეაში, და იმათ არაფერი უფლება არ ჰქონდათ თავიანთი აზრის, მხედველობის, საჭიროების და სურვილის გამოსათქმელათ. მიღებული იყო, რომ სოფლების, მაზრების და საზოგადოათ მათი მცხოვრებლების მაგიერ ფიქრობდნენ, მოქმედებდნენ და ზრუნავდნენ დაყენებული ჩინოვნიკები, რომელნიც თავიანთ თავს მამებათ რაცხდნენ, და — როგორც მამები — არაფერ რჩევას არ ჰკითხავდნენ და ანგარიშს არ აძლევდნენ თავიანთ მორჩილ შვილებს, ან უფრო სწორედ ესთქვათ, გერებს...

ღვთის მადლით, ამ უკანასკნელ დროს ეს მდგომარეობა საუკეთესოთ შეიცვალა. როგორც ნათქვამია 1 იანვრის 1864ის უკაზში, ხელმწიფე იმპერატორმა ისაჭიროთ სცნო მიეწოდა ადგილობრივი მცხოვრებლები, მათგან აღრჩე-



ული პირების საშუალებით, სამართველოთ. თი-  
 თოეული გუბერნიის და უეზდის საქმეებისა,  
 რომელნიც შეეხებიან ადგილობრივ საქიროებას  
 და სარგებლობას.» და ამ მიზნით სოფლის გამ-  
 გეობა გარდაეცა სოფლის მცხოვრებლებსგან  
 აღმოჩეულ მამასახლისებს, მსაჯულებს და კე-  
 თილ-სინილისიანებს, და მაზრის გამგეობა—  
 მაზრის მცხოვრებლებისგან აღჩეული დეპუ-  
 ტეტების კრებას, რომელსაც ჰქვია კრობის  
 კრება—*Земское собрание*.

ხელმწიფე იმპერატორისგან დამტკიცებულ 1  
 იანვარს 1864 წ. სახელმწიფო რჩევის აზრში  
 იკოვება ერთი მუხლი, მესამე, რომელშიაც ნა-  
 თქვამია, რომ შინაგანი საქმეების მინისტრმა  
 უნდა შეკრიბოს ცნობა, ადგილობრივი მთავ-  
 რობის გამოკითხვით, თუ რა გზით და წესით  
 შეიძლება «ერობის წესდების» გამოყენება იმ  
 მაზრებში, რომელნიც განსაკუთრებითი წესით  
 იმართვიან (ესე იგი პოლშაში, ფინლანდიაში, ციმ-  
 ბირში და ჩუქნში), და წარუდგინოს ხელმწი-  
 ფე იმპერატორს თავისი აზრი ამ საგანზე. —

მაშასადამე ჩვენ შეგვიძლიან იმედი ვეჭვნილოთ, რომ აღრე თუ გვიან ჩვენც გველახება ბედნიერება; ამისგამო, და ზოგი სხვა მიზეზითაც, ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ გავაცნოთ ჩვენი მკითხველიბი «ერობის წესდებას», მის დანიშნულებას, ხასიათს, საჭიროებას და სარგებლობას. რასაკვირველია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ აქ არც იმის გამოკვლევას შევუდგებით, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ ეს წესდება შემოიღეს რუსეთში, არც იმისას, თუ რა მხრით ეთანახმება ეს წესდება სამზღვარ-გარეთელი სახელმწიფოების წყობილებას, და რომლით არა, არც იმისას, თუ რა ნაკლულევაანება შეემჩნევა ამ წესდებას. ეს საგანი «ჩვენი საქმე არ არის» და არც საჭიროა ჯერ-ჯერობით მისი გამოკვლევა. ჩვენთვის ეხლახანს აუცილებლათ საჭიროა და საკმაოდ არის ცოდნა, თუ რაში მდგომარეობის წესდება, რომელიც რუსეთში მოქმედებს აგერ ექვსი წელიწადია, და რომელსაც იქ ეძახიან «ერობის წესდებას 1 იანერის 1864 წლისა.»



1-იო ანვარა 1864 იოდა). ამ წესდების გამოკვეთვას და გამოკრებით თარგმნას შეუდგებით ჩვენ ეხლა.

მაგრამ, მინემ ჩვენ ამ საქმეს ხელს მოვკიდებთ, ცოტათი დაწვრილებით უნდა გაეხსენოთ, რა და რა საქმე ითვლება სახელმწიფო საქმეთ, და რა და რა —სამაზროთ, საჯრობოთ.

### III

#### სახელმწიფო და სამაზრო საჭიროება და შე- მოსავლა

სახელმწიფო არის კაცების კრება, შემდგარი მარტო იმისთვის კი არა, რომ მთაერებს მიუთვისებიათ ზოგიერთი უფლებები და დაუმორჩილებიათ ახლო-მახლო მცხოვრებლები და ხალხები. არა. ამ კრების საფუძველი, სიმაგრე და ნამდვილი, ბუნებითი მიმზიდველი ძალა ის სარგებლობაა, რომელსაც ჰპოებენ ერთათ შე-

ყრილი პირები ერთმანერთის დაცვაში და დახმარებაში და ერთათ ცხოვრებაში. ყოველთვის და ყოველგან სახელმწიფოს მიზნათ ჰქონია ადვილათ დაიცვას და ადვილათ აცხოვროს ის პირები, რომლისგანაც თვითონ შემდგარია. ამისგამო, ის სახელმწიფო, რომელიც უფრო სინდისიანათ და ნამდვილათ, ხეირიანათ ასრულებს ამ თავის დანიშნულებას, ყოფილა უფრო ძლიერათ დამყარებული საზოგადო დახმარებაზე და სიყვარულზე, და ის სახელმწიფო კი, რომელსაც ეს მიზანი დაუეწინია, მიახლოებულა თავის დაღუპვას, გადადგომია თავის მოვალეობას.

მაშასადამე, სახელმწიფოს აქვს მოვალეობა და იცვას თავისი წევრები, ესე იგი კერძო პირები, და გაუადვილოს მათ ცხოვრება, ესე იგი მისცეს თვითოეულს მათგანს ის, რისაც მოხერხება იმას თავისთავათ ვერ შეუძლია. — როგორც წინეთ ნათქვამი იყო, ეს მოვალეობა განყოფილია სამნაწილათ: რისიც მოხერხება არ შეუძლია თითოეულ





კერძო პირს, — მაგალითათ პატარა გზის ან ხიდის გაკეთება ერთ სოფლითგან მეორემდით იმას აკეთებს მთელი სოფელი ერთათ; და ამ ნაირათ რისიც გაკეთება და მოხერხება მთელ სოფელს შეუძლია, ის მის მოვალეობას შეადგენს, როგორც კერძო პირის მოვალეობაა ის, რისიც მოხერხება იმას თვითონ მარტოხელა ან თავის ოჯახის დახმარებით შეუძლია. — ამას გარდა არის ბევრი ისეთი საქიროება, რომლის დაკმაყოფილებას ვერ ახერხებს ვერც მთელი სოფელი: მაგალითათ ავიღოთ ერთი ქალაქიდგან მეორემდი, ვთქვათ ქუთაისიდან თფილისამდი, გზის გაჭრა, ან ხეირიანი საავთმყოფოს ანა და სასწაელებლის გამართვა. ამ ნაირი საქიროების დაკმაყოფილება არის მთელი მაზრის მოვალეობა, თუ ეს მაზრა იმოდენათ შემძლე და მოხერხებულა, რომ თავის თავათ შეუძლია ამ მოვალეობის შესრულება. და რისიც შესრულება და დაკმაყოფილება არ შეუძლია არც კერძო პირს, არც სოფელს, არც მაზრას, — იმ საქიროების დაკმაყოფილება აწევს ვალათ სა-

ხელმწიფოს. ესე იგი ყველა მაზრების კრებას, ანაირია, მაგალითათ, დიდი გზების გაყვანა, შუათანა და უმაღლესი სასწავლებლების გამართვა, სწავლის წინ-წაწევა, მაზრების გამაგრება და დაცვა მტრისაგან, და სხვ. და სხვ. და სხვ.

რასაკერეელია, რომ ამ საქმეების დაკმაყოფილებას სჭირია საშუალება, ფული, შრომა და ძალა. ამისგამო სოფელი თავის მხრით ჰკრება ეს ყველა კერძო პირებიდგან როგორც ფულს, ისე პიროვან შრომასაც, როცა სოფელს რამე საქმეების დაკმაყოფილება სჭირდება. ამ ნაირათვე ჰკრებს ფულს და შრომას მაზრაც, ყველა სოფლებიდან, იმ საქმეების დასაკმაყოფილებლათ, რომლებიც მაზრის საზრუნველო არიან. და სახელმწიფო, თავის მხრით, ჰკრებს როგორც ფულს, ეგრეთვე პირად შრომას და ხალხსაც, იმ მოვალეობის ასაესებლათ, რომელსაც აღევს იმაზე ყველა მაზრების საზოგადო საქმეობა. — თანხმად ამისა, გარდასახალიც სამნაირია:



1) სასოფლო, 2) სამაზრო (*земский сбор*)  
და 3) სასკლმწიფო (*сбор на государственные потребности*).

იმ წესდებებით, რომელნიც გამოიცენ 1863 ში და 1 იანვარს 1864 წელსა ადგილობრივ მცხოვრებლებს მიენიჭათ ნება თავიანთი სანდო პირების ამორჩევით შეკრიბონ სასოფლო და სამაზრო გარგასახადი და იზრუნონ იმ საქიროების დაკმაყოფილებაზე, რომელიც აწევს სოფელს და მაზრას. ჩვენ გვსურს ავწეროთ აქ ის წესდება, რომელიც შეეხება სამაზრო საქიროებების მმართვეას, საზოგადოებისგან ამორჩეული პირების ხელით.

---

#### IV

რაზე უნდა იზრუნოს ერობამ?

«ერობაზე წესდების» მეორე მუხლი აი რა და რა საქმეებზე ზრუნვას ანდობს ერობის-ამორჩეულ პირებს:



- 1) ერობის ქონების, კაპიტალის და შიდა ბილი ფულის მმართველი; შიდა ბილი ფული
- 2) აშენება და შენახვა შენობების, რომელნიც ერობას ეკუთვნიან, და იმ გზების, რომელნიც მის ხარჯით უნდა ინახებოდნენ;
- 3) ზრუნვა ხალხის შემშვილისგან დამცველ ღონისძიებებზე;
- 4) მმართველი ერობის ქველმოქმედი გაწეობებისა (საკავშირეო, სადარბაზო, მოსუცხულების მიმდევრული სასახეების და სსკ.), ღონისძიება მათხოვრობის მოსასპობლათ, ზრუნვა ეკლესიების გაშენებაზე;
- 5) მმართველი იმ საქმეებისა, რომელნიც შეეხებიან ურთიერთის საშუალებით ცეცხლის ზიანის მოსპობას;
- 6) ზრუნვა ადგილობრივი ექრობის და წარმოების გაერცვლებაზე;
- 7) წილის მიღება (განსაკუთრებით შემოსავალ-გასავალში, და კანონით დაწესებულ სამაზღვრებში), ზრუნვაში სახალხო განათლებაზე, სახალხო სიმართლეზე და საპრობილებებზე;



8) დახმარება პირუტყვის ჰირის დასწრობაში და პურის, ან სხვა მცენარეების სხვა და სხვა საფინანსო მფრინვლებისგან და პირუტყვებისგან;

9) აღსრულება იმ მოთხოვნებების სამოქალაქო და სამხედრო მთავრობისა, რომელნიც კანონით ერობამ უნდა გარდაიხადოს, და მონაწილეობა ფოჩტის გარდასახადში;

10) განაწილება იმ სახელმწიფო ფულის გარდასახადისა, რომლის განაწილება გუბერნიებს და უეზდებს შუა მიენდობა ერობას, თანხმად ამ საგანზე გამოცემული კანონების ან ცალკე განკარგულების, დამტკიცებულის ხელმწიფე იმპერატორისგან;

11) დანიშენა, განაწილება, მოკრეფა და დახარჯვა, «საერობო გარდასახადის წესდების» თანხმად, ადგილობრივი გარდასახადისა, გუბერნიის ან უეზდის საერობო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ;

12) წარდგენა უმაღლეს მართებლობასთან, გუბერნიის მთავრობის საშუალებით, ცნობების

და აზრისა იმ საგნებზე, რომელნიც შეეხებიან გუბერნიის ანუ უეზდის ადგილობრივ საზღვრო ლობას და საჭიროებას, და თხოვნა ამ საგნებზე, ეგრეთვე გუბერნიის მთავრობის საშუალებით. წარდგენა, უმაღლესი მმართველობის ან გუბერნიის მმართველის მოთხოვნაზე, იმ ცნობების, რომელნიც შეეხებიან საერობო პატრონობას;

13) კენჭის ყრა სხვა და სხვა პირების ამოსარჩევათ საერობო სამმართველოებში და დანიშვნა ფულების ამ სამართველოებისთვის;

და 14) ის საქმეები, რომელნიც მიენდებიან ერობას თანხმათ ცალკე კანონების, წესდებების და განკარგულებებისა.

## V

## ერობის კრება და გამგეობა

ყოველ უეზდში უნდა იკრიბებოდეს, წელიწადში ერთხელ, ოკტომბრამდი, უეზდის საერო-



ზო კრება (*уездное земское собрание*), რომელიც შესდგება ამორჩეულ პირებისგან. იმათი რიცხვი სხვა და სხვა უეზდებში სხვა და სხვაა, და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი პირია უეზდში იმისთანა, რომელსაც დეპუტატების ამორჩევის უფლება აქვს.

ეს კრება გაგრძელდება ათი დღე.

დანარჩენ დროს საერობო საქმეს მმართავს უეზდის ხაერობო გამგეობა (*уездная земская управа*), რომელსაც ამორჩევენ ამ საგნისთვის საერობო კრება, და რომელიც შესდგება სამი პირიდგან — ექვსამდე.

ყოველ გუბერნიაში უნდა იკრიბებოდეს, აგრეთვე წელიწადში ერთხელ, იანვრამდი, გუბერნიის საერობო კრება (*губернское земское собрание*), რომელიც შეიღგარია უეზდების კრებისგან ამორჩეული დეპუტატებისგან. ეს კრება გრძელდება ოცი დღე.

დანარჩენ დროს გუბერნიის საერობო საქმეებს მმართავს გუბერნიის კრებისგან ამორჩეული გუბერნიის საერობო გამგეობა (*губернская земская управа*).

თუ ვინიცობაა, უეზდის კრებამ ათ დღეში, და გუბერნიისამ ოც დღეში თავიანთი საქმეები ვერ მოასრულეს, მათი თხოვნით შეიძლება ვადის გაგრძელება: უეზდის კრების გაგრძელება შეუძლია გუბერნატორს, და გუბერნიისა — შინაგანი საქმეების მინისტრს. ამავე მინისტრს ნება აქვს დანიშნოს კრება უდროოდ დროსაც, როცა ამას საჭიროება მოითხოვს.

უეზდის და გუბერნიის გამგეობა კი მუდამ უნდა მოქმედებდეს.

კრების წევრებს არც ჯამაგირი ეძლევათ, არც ჯილდო მაგრამ კრებას შეუძლია შესაფერი ჯამაგირი და ჯილდოც დაუნიშნოს უეზდის და გუბერნიის გამგეობის წევრებს.

უეზდის და გუბერნიის კრებაში თავმჯდომარეთ, საზოგადოთ, უეზდის და გუბერნიის მარშლები არიან. — გამგეობებში კი თავმჯდომარეს ნიშნავენ თვითონ კრება, რომელიც ირჩევს გამგეობას..





## VI

## ამომჩევლები და ამორჩეულები

ეროზის კრებას შეადგენენ სამ გვარი დებუ-  
 ტატები:

- 1) ადგილობრივი მამულის მეპატრონეების  
 ამონარჩევნი;
- 2) ქალაქების საზოგადოებისგან ამორჩეულნი;
- და 3) გლეხ-კაცების საზოგადოების ამონარ-  
 ჩევნი.

ამორჩეულ პირათ შეუძლია იყვეს ყოველი  
 პირი, რომელსაც კი ამორჩევის დრ.ას კენჭი  
 აქვს.

კენჭი არ ერგება შემდეგ პირებს: ვინც ოცდა  
 ხუთ წელზე ნაკლებია ხანით; ვინც სისხლის  
 სამართალში იმყოფება; ვინც საზოგადოებისგან  
 გამოაჩივებული არის, და ვისაც ქვეშევრდომო-  
 ბის ფიცი არ მიუღია.

კენჭი ერგება, თუ შემოხსენებული დაბრკო-  
 ლება არ ექნათ, შემდეგ პირებს:

## მამულიც მემატრანეებთან:

1) ვისაც უფლში აქვს საკუთარი მამული, დაწესებული სივრცის (უოკველ უფლისთვის ცალკე ზომაა დაწესებული, 200 დესეტინიდან დაწესებული 800 და მეტიც; რაც უფრო ძვირებს რომელიმე უფლში მიწა-წყალი, მით უფრო ნაკლებს ზომას თხოულობს კანონი);

2) ვისაც აგრეთვე უფლში სხვა რამე უძრავი ქონება აქვს, ან გამართულება, ქარხანა, და სხვ, ღირებული თუთხმეტ ათასს მანეთით მაინც;

3). ვისაც ზემოხსენებულ ზომაზე ნაკლები მამული აქვთ უფლში, მაგრამ ამ ზომის მეთორმეტედი კი მაინც, იმათ შეუძლიან ერთათ შეიკრიბონ, და ერთი კენჭი იქონიონ.

## ქალაქების საზოგადოებისგან.

- 1) ვისაც სავაჭრო მოწმობა აქვს;
- 2) ვისაც ქალაქის მიწაზე ქარხანა, ფაბრიკა ან სხვა გაწყობილება აქვს, მწარმოებელი, ან სავაჭრო,



რომლის ალებ მიცემა წელიწადში ექვსჯერ ათასმა  
ნეთს მაინც შეადგენს; საქართველოს  
საზოგადოებრივი

3) ვისაც ქალაქის მიწაზე უძრავი საკუთრება აქვს, დაფასებული: იმ ქალაქებში, სადაც ათი ათას კაცზე მეტი სცხოვრობს—სამიათას მანეთათ მაინც; სადაც ორი ათასიდგან ათიათასამდე კაცი სცხოვრობს—ათას მანეთათ მაინც, და ყველა დანარჩენ ქალაქებში—ხუთას მანეთათ.

### სოფლის მცხოვრებლებსგან:

ყოველი სოფლის საზოგადოება ირჩევს თავის წრისგან სანდო პირებს, და როცა სხვა-და-სხვა სოფლებისგან ამორჩეული სანდო პირები იკრიბებიან, ისინი თავიანთი მხრით ირჩევენ დეპუტატებს საეროობო კრებაში.

საეროობო კრებაში ამორჩეულ დეპუტატს კანონი აძლევს სახელათ „ხმოვანი“ (Гласный). ეს სახელი ჰქვია ყველა წევრებს, როგორც უეზლის, აგრეთვე გუბერნიის კრებისას. ხმოვანების რიცხვი თათოული გუბერნიის და უეზლისთვის ინიშნება უმაღლესი მმართველობის

გარდაწვეტილებაში, იმავე დროს, როცა გამოვლინდის ერობის დაწესების ბრძანება.

## VII

## ერობის უფლება და მოქმედება

ერობას მინიჭებული აქვს თითქმის სრული უფლება ადგილობრივი შინაური გამგეობისა. კანონი თვითონ იხსენიებს იმ ორიოდვე საგანს, როცა ერობის გარდაწვეტილებას ეჭირება გუბერნატორის ან შინაგანი საქმეების მინისტრის ნების დართვა. დანარჩენ საქმეებში ერობა სრული მეუფეა თავისი მოაზრების და მოქმედების, რასაკვირველია კანონიერ კალაპოტში. ვინიციობაა თუ გუბერნატორი წინააღმდეგი გახდა ერობის რომელიმე გარდაწვეტილებისა, იმან უნდა დაუბრუნოს ერობას მისი გადაწვეტილება, და წინადაუდოს მისი ხელ-ახლავ განხილვა. თუ ერობა ხელ-მეორეთ უწინდელ გარდაწვეტილებას დაადგა, მაშინ ეს გარდაწვე-



ტილება აღსრულებაში უნდა მოიყვანონ და გუბერნატორს მისი დაბრკოლება არ შეუძლია, თუ მეტი მეტი შესანიშნავი შემთხვევა არ იქნა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იმას შეუძლია თავისი საკუთარი პასუხისგების ქვეშ შეაჩეროს ერობის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა და წარუდგინოს საქმე სენატს. — სწორეთ ამნაირათვე უნდა მოიქცეს შინაგანი საქმეების მინისტრი, როცა ის რასმეში ვერ დაეთანხმება ერობას.

აქედან ნათლათ სჩანს, რომ ერობას შეუძლია მოქმედება; იმას ბევრათ უფრო მეტი უფლება აქვს, ვინემ უწინდელ დებუტატებს და სხვ. ამ უფლებას ჩვენ უფრო კარგათ მაშინ დაეაფასებთ, როცა მოვიხსენიებთ, რომ ერობას შეუძლია დაიქირაოს ვინც კი უნდა, სხვა და სხვა ერობისთვის საჭირო საქმეების გასაკეთებლათ, შეუძლია გუბერნიის ან უფზლის სახელით ვალი აიღოს, შეუძლია ბანკის დაარსება, რკინის გზების გამართვა თავის საკუთრებათ, ან აქციების გამოცემით, შეუძლია გამოს-

ცეს წესდება და სხვა და სხვა სახელმძღვანელო  
 დარიგება ერობის სამსახურის ასრულებების  
 უძლია მიაწვეინოს უმაღლეს მმართველობამ-  
 დი თავისი სურვილი და მოაზრება ადგილო-  
 ბრივ მდგომარეობაზე და საზოგადოთ ყველა  
 იმ ღონისძიებებზე, რომელნიც მისთვის მიცე-  
 მულ უფლებას გადააქარებენ.

ყველა ადვილათ მიხვდება, რომ ჩვენ მდგო-  
 მარეობაში ყველა ეს უფლებები ძლიერ შესა-  
 ნიშნავი და სანდომი არიან. და ეს მათი  
 ღირსება ჩვენ თვალში უფრო გადიდდება, რო-  
 ცა ჩვენ გავიხსენებთ, რომ ერობის ყველაზე  
 უფრო უძვირფასესი ღირსება ის არის, რომ  
 ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვაველინებს, ჩვენ  
 პატრონათ ჩვენვე გვხდის. და ეს გარემოება,  
 მარტო ეს, — ეს ჩვენ არასოდეს არ უნდა და-  
 ვივიწყოთ! — გვამაღლებს კაცების ხარისხზე,  
 ადამიანის ღირსებას გვაძლევს და გვაჩვევს  
 უმჯობეს, კაცურ ცხოვრებას.



## ერობის გავლენა რუსეთში

როგორც წინეთ იყო ნათქვამი, ჯერ ექვსი წელიწადიც არ არის, რაც ერობა შემოღებულა რუსეთში; ზოგიერთ გუბერნიებში ის მარტო შარშან და შარშანწინ შემოიღეს, ზოგიერთებში კი ჯერაც შემოღებული არ არის. მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც აღმოჩნდა, რომ ეს დაწესებულება მეტის-მეტათ სასარგებლოა საზოგადოებისთვის, თუ თვითონ ეს საზოგადოება წინ დახედვით და გონიერათ ირჩევს თავის წარმომადგენლებს ხეირიანი კაცების ხელში, როგორც გვიჩვენებს რუსეთის მაგალითი, ერობა ხალხის გამბედნიერებელია, მართალია, იმ ზომით კი არა, როგორცაც შეიძლება ამისი სურვა, მაგრამ შესამჩნევთ კი მაინც.

ჯერ ერთი ეს, რომ უწინდელ დროში რუსეთში ერობის გარდასახადი იკრიბებოდა და იხარჯებოდა უგზო-უკვლოდ, დაუზოგველათ. — არავის არ ეკითხებოდა, მართლა ამდენი უნდა

გარდინადოს მაზრამ, თუ ნაკლები; არაფის იმის  
 დარდი არ ჰქონდა, რომ ცოტაოდენი რამ მა-  
 ინც მოერჩინა დახარჯვისაგან. და ის პირები,  
 რომელთაც ერობის ფული და საქმეები მთა-  
 რობისგან მიბარებული ჰქონდათ, გაუკითხავათ  
 აკმაყოფილებდნენ ყოველნაირ მოთხოვნილებას,  
 რომელსაც კი წარმოადგენდა სამოქალაქო ან  
 სამხედრო ნაწილის მთაერობა. და თუმცა ხარ-  
 ჯი დიდი და უზომო იყო, თუმცა გარდასახადის  
 მოკრება თითქმის ნიადაგი იყო, მაზრის კეთილ-  
 დღეობას ამისგან არაფერი ხეირი არ ეტყობოდა:  
 საავათმყოფოები, სასწავლებლები, პურის მაღა-  
 ზიები, გზები და სხვა სასარგებლო საგნები მე-  
 ტისამეტათ სუსტ მდგომარეობაში იყვნენ; სა-  
 სოფლო და სამაზრო ბანკებზე, საექიმო ნაწი-  
 ლის ხეირიანათ გაწყობაზე, ფულების შეგროვ-  
 ებაზე სხვა და სხვა საქმეებისათვის, ხომ არა-  
 ფის სიზმარშიაც არ მოჩვენებია და ყოველი  
 კერძო პირი დაცქეროდა ამ სამწუხარო მდგო-  
 მარეობას გულგრილათ და უნებურათ. თით-  
 ქო ეს საქმე თვითონ იმას და მის მახლოვლებს  
 არ შეეხებოდა....





ეხლანდელ მდგომარეობაში კი ჩვენ სულ  
 სხვა ნაირ, უფრო სასიამოვნო სურათებს ვხე-  
 დაეთ. ჯერ ერთი ეს, რომ გარდასახადს რომ  
 იხდის ხალხი, იტყობს მაინც, თუ რაში და  
 რიხთვის იხდის, სად და ვის სასარგებლოთ მი-  
 დის ეს ფული, იცის მაინც, რომ მის ფუ-  
 ლის დახარჯვაში ხმა და გავლენა ექნება მის  
 ამორჩეულებს, ესე იგი თვითონ იმას. ამას გარ-  
 და, საზოგადოებას შეუძლია იმ რიგათ იხარ-  
 ჯოს შეკრებილი ფული, რომ ამითი დააკმა-  
 ყოფილოს თავისი უპირველესი საჭიროებები,  
 გზა გაუხსნას თავის შრომას, ხეირიანათ აღ-  
 ზარდოს თავისი შვილები და სხვ.—რუსეთში,  
 მაგალითად, ერობის ხელშია უთვალავი სახალ-  
 ხო შკოლები, რომლის გამართვას აუვიდა უწინ-  
 დელ ზომაზე შეკრებილი საერობო გარდასა-  
 ხადი. ეს შკოლები იმ რიგათ არიან გაწყობილ-  
 ნი, როგორც მოუნდომებია თვითონ ერობას  
 და მათში ასწავლიან ერობისგან მოძებნილი  
 და დაქირავებულნი მასწავლებლები.—შკოლებს  
 გარდა, ერობას ზედამხედველობა აქვს სახალხო

პურის მაღაზიებზე, რომლის დანიშნულებაც ისაა, რომ შიმშილის ან პურის ნაკლებობის დროს ხელი გაუწყოს გაჭირვებულ ხალხს და ასეხროს იმას დასათესი მარცვალი ან საქმელი პური. შიმშილის დროს ეროზიას სხვა უფლებაც აქვს: იმას შეუძლია მიიღოს შინაგანი საქმეების სამინისტროდან ნაღდი ფული იმ ფონდიდან, რომელიც დანიშნულია დამშეულების დასახმარებლათ; ნება აქვს იყიდოს სადაც მოუხდება ამ ფულით პური, და გასცეს ის სესხათ თავის მაზრის მცხოვრებლებზე. როცა რუსეთში 1868 შიმშილი იყო, ეროზამ ამ ნაირი მოქმედებით ბევრ ალაგს მშენიერი სახელიც დაიმსახურა და ჩინებული საქმეებიც მოახდინა.

ეროზას ეკუთვნის, გზის გარდა, სახალხომ სირთელეზე ზრუნვა. რუსეთში ეროზა იმით ასრულებს ამ მოვალეობას, რომ იაფ-ფასიან აფთიაქებს აწესებს დიდრონ სოფლებში და იქედან იაფათ აძლევს წამლებს შეძლებულ მცხოვრებლებს, ღარიბებს კი სულ მუქათა და



უფასოთ ურიგებს. ამავე სოფლებში ერო-  
ბას დაყენებული ჰყავს თავის ხარჯით ექიმები  
და ფერშლები, რომელნიც მოვალენი არიან  
უექიმონ უფასოთ ყველას, ვისაც კი იმათ მაზ-  
რაში და წრეში ექიმობა სჭირდება. რუსეთის-  
ერობა ჩინებულათ და გონიერათ ირჩევს ექიმებს  
იმ ყმაწვილებში, რომელნიც ყოველ წელიწადს  
სწავლას ასრულებენ უნივერსიტეტებში და მე-  
დიკურ აკადემიაში, და მშვენიერათ სარგებ-  
ლობს მათი ჯერ კიდევ დაუვიწყარი ცოდნით. —

მაგრამ ერობის მოქმედება მარტო ამ წერილ-  
მანი საქმეებით როდი თავდება. რადგანც «ერო-  
ბის წესდება» ერობას მაზრის პატრონობის გამ-  
გეობას აძლევს — რუსეთის ერობა სხვა და სხვა  
გუბერნიებში ჩინებულ ბანკებს აწესებს (საქ-  
რობო ბანკებს). რომლის შემწევობით მალულდება  
და ვრცელდება ადგილობრივი მეურნეობა და  
აღებ-მიცემა. რადგანც ამ ბანკების დამფუძნე-  
ბელი და გამგებელი არის მთელი მაზრა, იმათ  
მეტე ნდობაც და უფლებაც აქვთ, და ამის გა-  
მო, თუმც მათ დასაწყისში ძლიერ ცოტა ფული

აქეთ. მაგრამ მათი ალებ-მიცემა რამდენიმე მილიონამდი აწევს, და მათი სარგებლობა და ხიერი ორჯერ-სამჯერ. ხანდისხან შეტჯერაც აქარბებს წინდაწინ გამოღებულ საბანკო ფულს. ზოგიერთი საეროპო ბანკების მოქმედება ისე საგანგებო და ჩინებულია, რომ ეხლა მთელ რუსეთს ისინი მაგალითად აქვს მიღებული. ამნაირია, მაგალითად, ხერსონის საეროპო ბანკი, რომელმაც სული ჩაუდგა ხერსონის ადგილის მეპატრონეებს და მცხოვრებლებს.

საეროპო ბანკის გაწყობაზე აქ ჩვენ ბევრს არას ვიტყვით, ამიტომ რომ ამ მოკლე ხანში ამ საგანზე ცალკე სტატიის დაბეჭდვას ვაპირებთ, შესახებ ჩვენი ბანკებისა. —

რუსეთის ერობამ ერთ საქმეში კიდევ ისახელა თავი: რაკი ის ხედავდა, რომ რომელიმე მაზრის კეთილ დღეობა და სარგებლობა იმაზეა დამყარებული, გადის თუ არა იმ მაზრაში რკინის გზა და აქვს თუ არა იმ მაზრას ხეირიანი გზები, ადგილობრივი ნაწარმოების გასაზიდველათ, და რაკი ერობა ხედავდა, რომ არც რკინის და არც უბრალო გზები ზეციდან დამზა-



დებული არ ცვინდებოდენ მაზრაში, იმან იკის-  
 რა ერობის ხარჯით გზების გაღლება, უბრალოების,  
 უბრალოების, ეგრეთვე რკინისა. რასაკვირველია,  
 რომ, ჩვენში არ იყოს, ამ საქმისთვის რუსეთის  
 ერობას საკმაო ფული არ მოეძიებოდა. მაგრამ,  
 რადგანც კანონი იმას საეროებო გარდასახადის  
 მოხმარების უფლებას აძლევს, ერობამ აი რო-  
 გორი უბრალო და გონიერი ოსტატობა იხმარა,  
 რკინის გზის გასაღებათ. იმან გამოძებნა  
 ფულის პატრონები, და უთხრა მათ: გააღლეთ  
 ამ ქალაქიდგან ამა და ამამდი რკინის გზა, და  
 ამუშავეთ თქვენთვის ამდენი და ამდენი წლის  
 განმავლობაში; მოგვეცით ჩვენ მაშინ ანგარიში,  
 და თუ ამ გზამ თქვენ სარგებლობა არ მოგ-  
 ცესთ, ჩვენ, ერობა, მოვალე ვიქნებით შეგივ-  
 სოთ თქვენი სარგებელი ისე, რომ თქვენგან  
 დახარჯულ ფულებზე წელიწადში ხუთი პრო-  
 ცენტი შემოგდიოდესთ.— ამისთანა გ ა რ ა ნ-  
 ტ ი ა ს ძლიერ ხშირათ აძლევს თვითონ მარ-  
 თებლობაც; ერობამ ამ გარანტიის მიცემით  
 ძლიერ ბევრაფულის პატრონებს გააბედვინა

რკინის გზის გაშენება იმისთანა ადგილებში, სადაც უიმისოთ თავის დღეშიაც არ გამოშენდებოდა რკინის გზა. და რაღვანც გზები შემოსავლიანი გამოდგენ და გამშენებლებს საკმოს სარგებელი მისცენ, ერობას თითქმის არსად ფულის გამოღება არ დასჭირდა, დაპირებული სარგებლის შესაესებლათ.

ზოგ ალაგას, ერობა თვითონაც შეუდგა რკინის გზის შენობას, ანა და მმართველობისგან გზის გაშენების ნება (კონცესსია) აიღო, და მერმე გაყიდა ეს კონცესსია ფულის პატრონებზე, ანა და კიდევ რკინის გზის მშენებლების ამხანაგათაც გახდა. ერთი სიტყვით, რუსეთში ერობამ თავი გამოიჩინა, უმეტეს ნაწილათ, როგორც ხეირიანმა და გონიერმა მეპატრონემ, რომელიც კეთილ სინიღისიანათ და მოხერხებით ცდილობს და კიდევ ახერხებს ხალხის დასახას ორი მისი საგანგებო და სანიადგო მტრისგან: სიღარიბისგან და უმეტრებისგან.

## დასკვნის მაკაერ



ეროვნული

ბიბლიოთეკა

მაშ, იმედი ექონიოთ, რომ როცა ჩვენ ქვეყანასაც ეღირსება ერობის დაწესება, და როცა საერობო საქმეების მმართვეა თვითონ ჩვენ ხელში გადმოგვეცემა, ჩვენი საზოგადოებაც იმნაირივე სარგებლობას გამოიტანს ამ დაწესებისაგან, და ამნაირივე გონიერებით მიიხმარს იმას, როგორც რუსეთის საზოგადოება. ერობის დაწესებამდი, რუსული საზოგადოება ეხლანდელ ჩვენ საზოგადოებაზე უფრო წინ არ იდგა; ის მაშინ ყველას იმნაირივე მოუხერხებელ და გაუნათლებელ საზოგადოებათ მიიჩნდათ, როგორათაც ეხლა სთელიან ჩვენ საზოგადოებას. — როგორც ყოველგან, ამ საქმეშიაც, ვიიმედოთ, დამტკიცდება, რომ მოხერხება და განათლება მოსდევს სიმართლეების გავრცელებას, და არა წინ უსწრებს მას. —

ნ. სკანდელი





ქართული  
ზოგადი ცოდნის  
სამსახური

## რა გვეჭირვება?

ამას წინეთ ერთს გონიერს მოხუცებულთან მომივიდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს და ახლანდელს ცხოვრებაზე. იმან მწუხარებით გაიქნია ხელი და წარმოსთქვა: «მოდის, მიდის მოუბრუნებლათ ჩვენი თავობაო». თითქოს თვალ წინ წარმოედგინოს ჟამთა მღანარე, რომელიც ჰხვეტავს ნათფოტებსავე ჩვენს შთამომავლობას და როგორც ჭიანი, გამოუდგარი ნიეთი შეუჩერებლათ მიაქვს ჟამთა უკიანეში, სადაც ყოველივე დაუმწიფარი, ჭიანი ცხოვრების ნაყოფი იშლება, მასალები ერთმანეთში ირევიან და კეთდება იმისგან სასუქი მომავალი ცხოვრების გასანაყოფიერებლათ. — როდესაც ზემოხსენებულს





მოხუცს დაეუწყე წინააღმდეგობა:—მამაო, არც  
 ეგრე ხელის ქნევა ვარგა-მეთქი. — რა იყვნენ ჩვენ  
 წინაპარნი?—უგნურნი, -ბრმანი. რაც ახლა მე-  
 სამე კლასის მოწაფემ იცის, მაშინდელმა მეც-  
 ნიერმაც არ იცოდა იმდენი-მეთქი.

— მითხარ: რა არის შენი მეცნიერება, შენი  
 სწავლაო, რამდენ რუბათ ღირსო.

— იმდენათ, რამდენიც წელიწადში მეძლევა  
 მეთქი. სიტყვამ მოიტანა.—მე გახლავარ ბოროტ-  
 მოქმედების გამკითხავი და მეძლევა ოთხასი თუ-  
 მანი.

— არა, ეგ შენის სწავლის ფასი კი არ არის,  
 შენი მოწმობის ფასიაო. რაც გეძლევა, შენი  
 ცოდნა იმის მესაიათასედაც არ ღირსო. შენ  
 გაქვსო იერუსალიმის ბაშფორტი და იმის გამო  
 სამოწყალოს გაძლევენ. აბა, ერთი წელიწადი  
 მოგიკვეთონ თანამდებობის პური, თუ შიმში-  
 ლით არ მოკვდე. როგორც კაცს, რა შეგიძლია,  
 რა მოხერხება გაქვს, ქალაქის წერის მეტი?  
 შენ ხარ მონა შენი თანამდებობისა, რომელსა  
 საც გლახასავეით შეჩერებიხარ პურის ლუკმის-

თვის და თუ ფეხი გადაგიბრუნდა, პასპორტით  
 ნაშროვარი თანამდებობა წაგერთვა, მაშინ  
 რალო მეყრმეც შენზე წინ იქნება ათი ნაბი-  
 ჯით. შენი ცოდნა არ არის ისეთი თაენი, კაპი-  
 ტალი, რომ ცხოვრებაში თავისუფალი კაცი  
 იყო.

— როგორ თუ კაპიტალი არ არის. მაშ რი-  
 თი ვცხოვრობ? შეხედე ჩემს სადგომს, ჰნახე  
 ჩემი რჩენა, გასელა-გამოსელა. ჩემი კმაყოფი-  
 ლება და ისე თქვი. ჩემისთანა ცხოვრება უწინ  
 მეფეებსაც არა ჰქონიათ?

— უკაცრავათ არ ვიყო, ეგ თქვენი კმაყოფი-  
 ლება მომაგონებს სულთნის ჰარემის ლამაზს  
 ქალსა, რომლისთვისაც ბუნებას ერთი რალაც  
 პაწაწა საქონელი მიუცია და თურმე სულთანს  
 ისე აფასებს ამ საქონელს, რომ ის ლამაზი ქა-  
 ლი სულ თვალსა და მარგალიტშია თურმე  
 ჩაფლული, მაგრამ ამბობენ სულთნის მევირეს  
 რომ არჩევინო თავის მდგომარეობის გაცვლა  
 იმ ქალის მდგომარეობაზედ, უწინ თავს დაიხრ-  
 ჩობს, ვიდრე გასცვლისო. შენც, ჩემო შეილო,



შენი კაცური ღირსების ნაცვლათ ერთი რაღაც პასპორტი გაქვს ჯიბეში და იმითი მდიდარი ლუკმა ცხოვრებაში, მაგრამ გულ ახლით მითხარ, როგორც კაცი, რის მაქნისი ხარ ან შეგიძლიან სხვა საქმით რითიმე დაჩე, ერთი რაღაც საქონელი რომ არ გქონდეს მოპოვებული? —

ამისთანა ჯაფრიანმა მოხუცის ლაპარაკმა ძალიან ჩამაფიქრა და თუმც იმ დროს გული მომდიოდა, მაგრამ რომ წარმოვიდგინე ჩემი მდგომარეობა, თანამდებობის გარეშე ცივმა ოფლმა დამასხა. რომ ჩემი თანამდებობა არა, მართლაც რა ვიქნები? სწორეთ სამოწყალოთ სარჩენი ვიქნები — მეთქი.

მოხუცის პირუთნო სიტყვებმა ღრმად ჩამაფიქრა. თუ სულ არა, ბევრი იმის სიტყვები ისარსავით გულში მეტაკნენ. მართლაც ვიფიქრე სამსახურიდგან რომ დამითხოვონ, შემდეგ თულუხჩათაც ველას გამოვდგები, როგორც რი-

გია ცხენსაც ვერ მივაძახებ და წინ ვერ გავი-  
 რეკ. ამისთანა ფიქრები თანდათან მიღობობდნენ  
 გულს, მაჯერებდნენ იმ ჩემ მოხუცის სიტყვებ-  
 ზე და შემდეგ მაძებნინებდნენ მიზეზს, თუ რის-  
 გამო შექნილა ჩენი ცხოვრება ასე უფერული.  
 რათ შექნილვართ საზოგადო დაწყობილების  
 ჯაჭვში ერთი რგოლივით მიკერებულნი, რომელ-  
 საც უჯაჭვოთ თავის საკუთარი მნიშვნელობა  
 არა აქვს და თუ ვინცოდაა ჯაჭვი გაწყდა, ეს  
 ერთი რგოლი გამოვარდა, იმას ყურს აღარაფერ  
 უგდებს. ჯაჭვის ნაწყვეტებს ისევ ერთმანეთზე  
 შეადუღებენ და ცალი რგოლი კი სადმე ტა-  
 ლახში ჩაეცემა, დაჟანგდება, ტალახს შეერევა  
 და იმას აღარაფერ იკითხავს, ჰქონია როდისმე  
 ეს რგოლი იმ საზოგადო დაწყობილების ჯაჭვს  
 თუ არაო. სწორეთ მოგახსენოთ ამასთან ჩემმა  
 არარაობამ ცხოვრებისა და ქვეყნისათვის კიდევ  
 უფრო ამიდულა სისხლი მწუხარებით, კიდევ  
 უფრო ჩამაფიქრა. მე მოვეყენე ჩენი ცხოვრების  
 ისტორიულათ განხილვას და აი, რა გამოვიკე-  
 ლიე.



## II

ქართული  
ზოგრაფიული

ჩვენმა ცხოვრებამ ევროპულს კვალს მიჰმართა იმ დროდგან როცა დიდებულმა რუსეთმა თვის საფარველს ქვეშ შეგვიყვანა მძლავრ მტერთან და უწყნარებელი ბრძოლით აკლებულნი, მისუსტებულნი და თავ დაკიდებულნი უნუგეშობით. ამას შემდეგ გაცარცეულმა ქვეყანამ შეისვენა. ჩვენმა მფარველმა რუსეთმა განიზარაზა მთელი კავკასიის დამორჩილება. კავკასიის მახმადიანობა აღგა თავის დასაცველათ და ამ ბრძოლაში რასაკვირველია ჩვენმა ქვეყანამაც მიიღო მონაწილეობა. რუსეთთან საქმე გაიზიარა; დადგა სამხედრო პერიოდი. ერთი მხრით აფიცრობა შეიქნა ჩვენ უპირველესს დანიშნულებათ და მეორეს მხრით სამოქალაქო სამსახური, ესე იგი კანცელარიული საქმის წარმოება. ორივე ხელობის კაცები საზოგადოთ შეადგენდენ ჩინოვნიკობას. რომელშიაც იწყო განსაკუთრებით სახელმწიფო ჯამაგირით ცხოვრება და უწინდელ ოჯახობის თადარიკზე, როგორც

უსარგებლოზე, ისე ხელი აიღო. ვინც უფრო  
 რო. მარჯვე იყო ლეკებთან და მთიულთხანებთან  
 ლხთან ბრძოლაში, ამასთანავე ვინც უკეთ იცო-  
 და რუსული, ის უფრო ბევრს ჯამაგირს იღებდა;  
 ვინც უფრო დახელოვნებული იყო რუსულათ  
 ქალაქის წერაში, ვინც უფრო მალე გაეჩვეო-  
 და კანცელარიურს საქმის წარმოებას, იმას უფ-  
 რო ბევრი ჯამაგირი ეძლეოდა. თუილისი შე,  
 იქნა მთავრობის წერტილი. რუსეთიდგან მოე-  
 და ჩინოვნიკობა, საიჭუო ზნეობის და ცოდნისა  
 (კარგი პირველათ უცხო-უცხო ჭკუეანაში ვინ წა-  
 მოვიდოდა?). მთავრობა იმათ აძლევდა დიდს  
 ჯამაგირს, ოღონდ ვისმე გაებედნა ახალს მხა-  
 რეში წამოსვლა. ამ სახით გაჩნდა ისეთი საზო-  
 გადობა. რომელსაც არ ჰქონდა საფუძვლიანი  
 ცხოვრების შესწავლა, ნამდვილი ევროპიული  
 მეცნიერება. დიდი ჯამაგირი მდიდრულათ ცხოვ-  
 რების ნებას აძლევდა და ამის გამო შემოვიდა  
 საშუალებაზე მომეტებული ხარჯვა. ჩვენმა ერ-  
 მა რომ ეს განცხრომა ჰნახა, იმის გარეგანი  
 მშვენიერი სახე მოეწონა. მდიდარი მხედრული



მუნდირი, მშენიერი სახლის მორთულობა, ევროპიულს წესზე ხშირათ ბალი და ევროპული ფარჩები ტანსაცმელათ, ევროპული, მებელი სახლის სამკაულათ, ევროპული სტოლი და მაზედ მშენიერი მუზიკა საზოგადო შესაკცევათ ვის არ შეაყვარებს თავს? მართლაც ჩვენმა საზოგადოებამ რომ ესენი დაინახა, მაშინვე აღტაცებით წამოიძახა: აი, ბედნიერი დროება: როდის იქნება, რომ ჩვენი შეილები აფიცრებათ გახდენ, ჯამაგირი ეძლეოდეთ და როგორც ქალაქში მაღალი ჩინოფნიკობა, ისე დაიწყონ ცხოვრებაო. მართლაც ჩვენმა საზოგადოებამ იწყო თავის შეილების კორპუსებში გაგზავნა, მდიდარი ევროპული ცხოვრების გემო გაიცნო, თუმცა იმისთვის არც გონებით და არც საშუალებით გამზადებული არ იყო. ნატრობდა იმ წესზე ცხოვრებას, მაგრამ ფული არ ჰქონდა. ამდროს გაიხსნა ქალაქში პრიკაზი იმ განზრახვით, რომ ვისაც ფული სჭიროდა თავის ოჯახობის გასაუმჯობესებლათ, იქითგან შესძლებოდა გა-

მოტანა. ფულის უნახავს ერში ფული დატოვალა და გონიერი კაცი იქვე იფიქრებდა, ამას კარგი შედეგი არ ექნებაო. მართლაც წამოი-  
მართენ თფილისში და სოფლათ სამეტაქიანი შიგნით ევროპულ წესზე გამართული სახლები, დაიკრა შიგ მუზიკა, ქეიფი და შექცევა ერთმანეთზე მიყოლით. ადგილ-მამულები პრიკაზში დაგირაედა და იქიდგან გამოტანილი ფული კი ჩაბარდა ქალაქის ვაჭრობას. ქვეყანა ჩინოვნიკობით აიშსო. ამდროს მოიწია აღმოსავლეთის ჩხუბი, რომელმაც რუსეთს უჩვენა ახალი გზა ცხოვრებისა. შემოვიდა რუსეთში გონიერი ცელილება. ბატონ-ყმობითი დამოკიდებულება მოისპო. სახელმწიფომ სცნო, რომ ქვეყნის კეთილმდგომარეობას ყოველი კაცისგან გონიერი შრომა თუ ხელს შეუწყობს, თორემ სხვა არაფერიო. დამყარდა სამოსამართლო ცელილებაც. ამ ცელილებამ მოითხოვა ნამდვილათ განათლებული გონებაგახსნილი ახალ თაობა. ყველა ზემოხსენებულნი ცელილებანი, რასაკვირველია, ჩვენშიაც გადმოვიდა.





ამ ცვლილებებმა მოითხოვა ჩვენგანაც ახალი  
გონება გახსნილი, ჭეშმარიტათ განათლებული  
და ახალ საქმეში დახელოვნებული თაობა.  
ამისთანა კაცები რუსეთშიაც ცოტა გამოჩნდა,  
თორემ ჩვენში სად იქნებოდა? დადგა ისეთი  
ღრო, რომ ყოველს კაცს მოეთხოვა იმის სა-  
კუთარი ჭკუით და ხელით ცხოვრება. მაშ რო-  
გორი პირით შეხვდა ჩვენი ერი ახალს ღროს და  
იმის ახალს მოთხოვნილებას? ჩვენი საზოგადოე-  
ბა იყო შემდგარი ახალი და ძველი თაობისგან.  
ძველი თაობა შეადგენდა უწინდელს მებატო-  
ნეს, რომელიც რჩებოდა ყმის მუშაობით,  
ოჯახობაში ყოველივე უფულოთ უკეთდებოდათ.  
იმან იცოდა მხოლოდ მისდამი ყმების მოვა-  
ლეობა. ყოველ წლობით ბელლებს და სასიმი-  
ნდებს ივსებდა ყმების შრომით. ამის გარეშე  
სხვა ცხოვრების საშუალება არც არა სცოდნია  
და ვერც არას მოახერხებდა. როდესაც შე-  
მოვიდა ახალი ცხოვრების წესი, მომეტებული  
ხარჯი, მაშინ მამული პრიკაზში შეიტანა, ფუ-  
ლი კი მალე მიფლანგა. დარჩა ვალით სავსე

და ამ დროს ყმების განთავისუფლებაც შემოესწრო. წარმოიდგინეთ იმის მდგომარეობა! ყველ ღონისძიებას მოკლებული და ყელამდის ვალში ჩასმული! ამისთანა მოვლენამ ის საშინლათ შეარყია. ვინც ძალიან მოხუცებული იყო, ყველას დაელა დაეცა; სხვები კი დარჩენ არაქათწართმეულნი, ამ ქამათ სიღარიბით დაცემულნი და მომავალზე უიმედონი. აი, ძველი თაობა ასე შეხვდა ზემოხსენებულს ცვლილებებს. ახალმა თაობამ რაღა ქნა? ახალი თაობა, ვისაც კი რამე ესწავლა, ყველა შეადგენდა ჩინოვნიკობას, რომელნიც მხოლოდ ჯამაგირით ცხოვრებდნენ სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში; მაგრამ მხედრობასაც თავის საქმე გამოეღია, მხარე დამუშვიდდა. სამხედრო სამსახურში ჩინოვნიკობა მომეტებული შეიქნა; ზოგი იძულებული იყო ულაგობის გამო სამსახურისთვის თავი დაენებებინა და ძველს თაობას გვერდით ამოუდგა. ვინც სამსახურში დარჩენ, იმათაც, მომეტებული ხარჯის გამო, ჯამაგირი აღარ ეყოთ. სამოქალაქო ჩინოვნიკებაც



იმ ორი გროშის ცოდნით, რომელიც თავის დროს შეეძინათ, ახალ სამოსამართლო გამგებო ცვლილებაში ველარ გამოდგენ, ოჯახობაშიაც გამოუდგარნი დარჩენ, ამიტომ რომ ფული და მოხერხება არ ჰქონდათ. ამ სახით როგორც ძველი, ისე ახალი თაობა ჩვენი საზოგადოებისა დარჩენ რიყეზე. ორივე ვლებ-გავსებულნი, ფულის უქონელნი, ცოდნა მოკლებულნი და ოჯახისთვის გამოუდგარნი.

მაშ განვიმეოროთ, რა პირობით შეხვდა ჩვენი საზოგადოება ახალს დროს და იმის მოთხოვნა ილდება?—ის შეხვდა ახალს დროს და იმისგან მოხდენილს ცვლილებას ყოველად მოუმზადებელი და უნუგეშოთ. იმას არც ცოდნა აქვს, არც ნივთიერი საშუალება. იმათში ორი სამი კაციც არ გამოირჩევა ისეთი მცოდნე და დახელოვნებული, რომ რაიმე კეთილი საქმე იფიქროს საზოგადოებისთვის. ამას გვიმტკიცებს ბანკის გაუმართელოება აქამდის. მასალა ყოველივე მომზადებულია, მაგრამ ისეთი მოხერხებული კაცი არ გამოჩნდა ჩვენში, რომ ბანკს



გამართვა ეთავებინა? მაშ რა უშველის ჩვენს  
გაჭირებულს საზოგადოებას, რა წამალს  
კურნებს იმის ახლანდელს უძლურს მდგომარეობას?

აი, ჩვენ გვსურს ნათლათ წარმოვსთქვათ ამის  
პასუხი.

III

ჩვენი ძველები რომ ბევრათ მოხერხებული იყვნენ თავის დროისთვის, ვინამც ჩვენ,—ამის მიზეზი ბევრია. უმთავრესი კი ის არის, რომ ისინი დიდი ხნიდგან ჩაყენებულნი იყვნენ თავისებურს წრეში. იმათმა ისტორიულმა ცხოვრებამ დიდი ხნიდგან მოიძკო თავისებური ჩვეულება, წესი თითოეული კაცის წადილი ცხოვრებაში და იმის დანიშნულება. ყოველმა დედამ წინათვე იცოდა როგორი უნდა ჰყოფილიყო მისი შვილი, რა ღონე და მოხერხება უნდა ჰქონოდა ექსპედიციისას, რომ თავის ტოლამხანაგში პატივცემული ყოფილიყო და მამა-პაპის სახელი არ შეერცხვინა. შთამომავლობა ერთი მეორის ზედ მიყო-




ლით იბადებოდა და კვდებოდა; მოწიფულე-  
 ბაში, შედიოდა და მოხუცდებოდა და იმავე განზრახვის ასასრულებლათ. რა იყო  
 ეს განზრახვა? — მემამულეს კარგათ მოეხმარა  
 თავის მამა-პაპეული, თავის ყმები რიგზე  
 ემუშავებინა, მომეტებულათ არ შეევიწროები-  
 ნა ისინი, სახნავე-სათესი მიწები თავ-თავის დრო-  
 ზე ეხნა და ეთესა, თავის დროზე ჭირნახული  
 მოეკრიფა, ოთფეხი ემრავლებინა და ბრძოლა-  
 ში ვაჟკაცობა გამოეჩინა. იმას ხელში ეჭირა  
 თავის მამა-პაპეული: ხენა-თესვით მოჰყავდა პუ-  
 რი, აშენებდა საქონელს: ხარ-კამბეჩს, ძროხას,  
 ცხვარს და იკეთებდა იმის მატყლისგან ტან-საც-  
 მელს. სარწმუნოებაზე იყო მტკიცეთ, სახარების  
 სიტყვა ჰქონდა მაგალითად ცხოვრებაში და თუმ-  
 ცა ისე არ იქცეოდა, მაგრამ ეშინოდა მაინც  
 იმისი. სხვისი არა ემართარა; მოთხოვნილება  
 ბევრი არ ჰქონდა: რაც ჰქონდა, თვითონვე იკ-  
 მაყოფილებდა და ამ ვიწრო ცხოვრების წრეში,  
 ის იყო მხოლოდ თავის თავზე დამოკიდებუ-  
 ლი, ცხოვრებდა თავის იმედათ. მეზობლობა-

ში მტკიცე პირი ჰქონდა და ოჯახობაში თა-  
ვისუფლება. მეცნიერება დიდი არა ჰქონდა, რა  
მაგრამ ოჯახში ჰყავდა მომჭირნე დედა კაცი,  
გაწვრთნილი სამღეთო წერილში, განვითარე-  
ბული «ვეფხისტყაოსანში», რომლითაც უზრ-  
დიდა კარგი ზნისას, მზნეს და სამშობლოს  
მოყვარულს ახალგაზდობას.

ჩვენი წინაპარნი ბევრი არა ყოფილან რა,  
მაგრამ რაც იყვნენ, იყვნენ. გაჭირებაშიაც  
თავისებური კაცები იყვნენ და ბედნიერებაშიაც.  
რაც უნდა შემთხვევოდან ცხოვრებაში, მაინც  
თავისუფალნი იყვნენ. ბლამანქეს მაგიერათ  
მჟაღს სჰამდენ, ხადაგს იცვამდენ, მაგრამ თავის  
კოდნით და გამოცდილებით ხის წვერზე რომ  
დაგეყენებინა, იქიდგანაც ისე გაღმომგძახებდენ,  
აქაც ის გახლავარ, რაც მად გინახავარო, დიახ.  
ჩვენი ძელები ერთირამე იყვნენ, ყოველი მაშინა  
დელი კაცი თავისთავათ კაპიტალი, თავნი  
იყო. შეიძლებოდა მტერი დასცემოდა, ქვეყანა  
აეკლო, გაეჟლიტა, მაგრამ ეს უბედურება  
მაინც დროებითი იყო. ვისაც ეს საზოგა-



დო უბედურების ცეცხლი ხელს სტატებად,  
 ის ხომ დაიღუპებოდა. ვინც დაღრჩეობდა,  
 ის კიდევ უწინდელს რიგზე იწყებდა ცხო-  
 ვრებას და—ქვეყანა მაინც გარემოების უც-  
 ვლელიობით მშვიდათ იწყებდა მრავლებას.  
 ყოველი კაცი თავის ცხოვრების წრეში გულ  
 უშიშარი იყო, ამიტომ რომ კარგათ იცოდა,  
 რა უნდა ეკეთებინა და რა უნდა გამხდარიყო.  
 რაც რამე შთამომავლობით მოემკო, ის შე-  
 ქნილ იყო ცხოვრების წესათ და ყველას ხე-  
 ლის გულზე ეწერა ეს წესი. თითოეული მტ-  
 კიცვთ მისდევდა ამ წესს და წინათვე იცოდა  
 რა დანიშნულებაჲ ჰქონდა ცხოვრებაში. ყო-  
 ველს ძველს ქართველს კარგათ ესმოდა თავი-  
 სი დრო, იმის მოთხოვნა და იმითი იყო  
 გულმაგარი. ყოველი კაცი თავის დროის ფი-  
 ლოსოფოსი იყო. რასაც იტყოდა, სრულებით  
 თანახმა იყო იმ დროისა და ამისთვის ჰქვიან  
 აზრათ მიაჩნდათ. მომავალზე თვალები არავის  
 ჰქონდა აბმული, ამიტომ რომ მომავალი ცხო-  
 ვრება ძალიან ემსგავსებოდა წარსულსა.



ახლანდელი საზოგადოება რომ ჩვენ მამა-პაპებს შევადაროთ, სულ წინააღმდეგი ერთმანეთისა. ახლანდელი ცხოვრება რომ სულ სხვა გზაზე წარიმართა, დრო სულ გადატრიალდა — ამაში ეჭვი არ არის და არც არაფერ არის ჩვენში ისეთი უფუნური, რომ ეს არ იცოდეს. ეს დიდი ცვლილება ჩვენი საზოგადოების უნებურათ მოხდა. ეს ცვლილება იმის გონიერი მოთხოვნისამებრ კი არ მოხდა, — არა, ჩვენი საზოგადოება იმდენათ გონებით გახსნილი არ იყო, რომ ეს მოეხდინა: ეს მოხდა გარეშე მიზეზისაგან.

ევროპის მძლავრი განათლება გარეშე შემთხვევის გამო დაეტაკა ჩვენს ძველს წესს (მოიგონეთ ზღმოსაუკეთის ომი და იმის გავლენა რუსეთზე), — სცნა ისუფარგისათ და ერთობით მოჰკვეთა. ვიყავით თუ არამომზადებული? — ამის კითხვის დრო არ იყო; სახელმწიფომ სცნა მიუცილებელ საჭიროებათ ეს ცვლილება და ჩვენ უნდა დავმორჩილებოდით. დრო ზოგჯერ ასე მოქმედებს. ამას შემდეგ ჩვენი საზოგადოება





სწორეთ დაემგზავსა ისეთს ხალხს, რომელიც  
 ქამთა ვითარების გამო აყვანილა და მთვარეზე  
 გადასახლებულა, სადაც სულ სხვა ცხოვრების  
 კესია: სხვა ნიადაგია, სხვა წადილი და სხვა  
 ცრომა. აბა, ამაებისა სხვა პლანეტიდგან გად-  
 მოყვანილს ერს რა ეცოდინება? ჩვენი თავად-  
 აზნაურობაც სწორეთ ამავე მდგომარეობაში  
 ჩავარდა; მიწას მუშაობს, მიწა ველარ არჩენს.  
 ხელში რომ იარაღი აქვს, იმითი მუშაობს, მა-  
 გრამ ხარჯის ფასიც არ აუდის. მუშა დაქირ-  
 და, მუშას ვერ შოულობს, ჯამაგირი უნდა,  
 ფული იმას არა აქვს, ყელამდის ვალში ზის.  
 დაანებოს თავი მიწის მუშაობას და სხვას რა-  
 სმე მოკიდოს ხელი, მაგრამ რასა? — სხვა ხელო-  
 ბას გამოცდილება უნდა, ცოდნა, სწავლა, გახ-  
 სნილი გონება და გულსმოდგინებით ზედ-  
 გადაკვდომა. არც ერთი ეს თვისება იმას არა  
 აქვს. დროც თავისას არ იშლის, მიდის, ყო-  
 ველს წამს სულ ახალი მოთხოვნილება მოაქვს.  
 რაკი ცხოვრება ერთხელვე სხვა გზას გაემარ-  
 თა, სხვა ვარემოებაში ჩავარდა, ეშურება, წინ



მიისწრაფას, სულ ახალ-ახალი საქმე იწყება, რომლისაც ჩვენს საზოგადოებას არა გვაქვს არა. ერთბაშით მრავალმა მოთხოვნილებამ ჩვენი საზოგადოების გონება შეარყია, თვალი აუბანეს რომ არ იცის, დღეს სად არის ან ხვალ სად იქნება. დედაკაცი უწინდულათ შეიღწა გვაზღის, მაგრამ რა დანიშნულებისთვის არ იცის, როგორც ჩვენ თვითონ არ ვიცით. ყველანი ბრმანი შევექნილვართ და ბრმასავით ნაბიჯის წინ-წადგმას ვშიშობთ ღრეში არ გადავარდეთ და სულ არ დავიღუპოთ. ეს დრო ვერ გვიცნია, იმის მოთხოვნილება ვერ შეგვიტყვია—აი, რა არის უმთაერესი ჩვენი უძლურება, ჩვენი უბედურება. მაშ რა გვეშველებს, რა გვეჭირვებს? - ისეთი ცოდნის წყარო, რომ იმან ჩვენს ახალგაზღვრებას თვალი აუხილოს, ეს დრო კარგათ გააცნოს და იმდენათ გაავარჯიშოს იმისი გონება, რომ ყოველს ახალს დროს შეეთვასოს, არც ერთი ახალი მოთხოვნილება იმის გონების თვალს არ გამოეპაროს. ეს ყველაფერი შეუძლიან



მოახდინოს ჩვენში უმაღლესმა სასწავლებელმა, რომელიც უნდა გაიხსნას ჩვენსავე ნიდაჟში. მაგრამ უმაღლესი სასწავლებელ ბევრნაირია. ჩვენ რომელი უფრო გამოგვადგება იმათში?—ვიდრე ამის პასუხს ვიტყოდეთ, ორი სიტყვაც მინდა ვთქვა ზოგიერთა ჩვენს განათლებულს ყმაწვილებზე.

## IV

ჩვენში განათლებული პირები უმთავრეს ნაწილათ გამოზდილნი არიან კორპუსებში და თითო ოროლა ახალგაზდა უნივერსიტეტში ნამყოფნიც იპოვებიან. საზოგადოთ, უმაღლესს სასწავლებელში გამოზდილს პირებს თითებით მოეთვლით, ისე ცოტანი არიან, თუმცა ჩვენი ახალგაზდობა დიდი ხნიდგან იგზავნება რუსეთში. მაშ რა მიზეზია, რომ ისინი მაინც ასე ცოტანი არიან? ამის მიზეზი ბევრია. უმთავრესი კი ჰაეა. ათ ყმაწვილში ორი კურს დასრულებული თუ იქნა, ისიც ბევრია. დანარჩენნი მოდიან შინ. მომეტებული ნაწილი ავთმყო-

ფობის გამო, ან იქვე კვდება, ან ბრუნდება  
 კიდევ იმის გამო, რომ იქაურს ადგილობრივს  
 მოთხოვნილობას გაუტაცნია და ამის გამო  
 უმაღლესს მთავრობას არ უგუებია. ჩრდილოე-  
 თის ჰავა განსაკუთრებით მძლავრათ მოქმედებს  
 იმ ყმაწვილებზე, რომელნიც პატარაობიდანვე  
 გაგზავნილან კადეტის-კორპუსებში. ბევრი ამათ-  
 განი იქავე იხრცებიან და ვინც დაბრუნებულა,  
 ისინი ისე შეცვლილან, რომ თავისი ქვეყნისა,  
 მამულისა, სრულებით აღარა გაეგებათ რა  
 რადგან სულ სხვა ცხოვრებაში არიან გაზდილნი.  
 მაშ იმათი ყოფნით ჩვენს ცხოვრებას არა შეე-  
 მატება რა. აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ჩვენ  
 ჯერ არა გვაქვს ის ცოდნის წყარო, რომელ-  
 მაც აღზარდოს ამ დროს შესაფერი ახალგაზ-  
 დობა. რუსეთის უმაღლესი სასწავლებლები ვერ  
 იქნებიან ამისთანა წყაროთ, ამისთვის რომ ამას  
 ეწინააღმდეგება იქაური სხვა გვარი ცხოვრება,  
 მანებელი ჰავა და უფრო მომეტებული სალა-  
 რიბე, რომლის გამო, რომ კიდევ ჰსურდეს  
 ჩვენებურს კაცს შეიღის იქ გამოზდა, მაინც



ვერ ახერხებს. ნამდვილი ახალი თაობა მაშინ გაჩნდება, როდესაც ის დაბადებიდანვე დაეჭვაცემადის თაის ქვეყნის ჰაერში, გარემოებაში გაიკომლება, კარგათ შეისწავლის იმის კანონებს და თან მალალი სწავლაც მიეცემა საფუძლიანათ ცხოვრების გასაჩხრეკათ და ნამდვილი ღონისძიების მოსახმარებლათ, რომ ბოლოს მაინც გამოვიდეს ახლანდელი გაჭირვებიდან. აქედგან ცხადათ სჩანს, რომ უმაღლესი სასწავლებელი, როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენი საზოგადოებისთვის ჩვენსავე მხარეში უნდა გაიხსნას. ეს არის ახლა ჩვენი პირველი მოთხოვნილება, ეს უნდა იყოს ჩვენი მფარველი მომავალში. რა კი ეს გამოვიკვლიეთ, ახლა ისევ ზემოთ მოყვანილს კითხვას მიუბრუნდეთ: რომელი უმაღლესი სასწავლებელი უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, რომელი უფრო მალე გამოვეასხამს ფრთებს?—



ლნი არიან ინჟინრების აკადემია, ტექნოლო-  
 გიური ინსტიტუტი, მეურნეობის და ოჯახობის  
 ბის მასწავლებელი აკადემია და უნივერსიტე-  
 ტი. ყოველს ამ სასწავლებელს აქვს თავისი და-  
 უფასებელი თვისება, მაგრამ სამივე ზემოხსენე-  
 ბული უმაღლესი სასწავლებლები განირჩევიან  
 უნივერსიტეტისაგან შინაგანი თვისებით.

ინჟინრების აკადემია ზრდის ახალგაზღობას  
 განსაკუთრებით გზის და ხიდების კეთებაში. ტექ-  
 ნოლოგიური ინსტიტუტის დასრულებული ყმა-  
 წვილი კარგათ დახელოვნებულია მხოლოდ ფაბ-  
 რიკებისთვის და ზავოდებში, რომელნიც ჩვენ  
 სრულებით არ მოგვეძევა და იმათ დაწყებას დიდი  
 ფული უნდა. მეურნეობის აკადემიაში გაზდილი  
 ყმაწვილი განვითარებულია განსაკუთრებით ოჯა-  
 ხობაში, იცის ადგილმამულის შემუშავება ევ-  
 როპიულს წესზე, მრავალ-გვარი ოჯახობის დაწ-  
 ყება და ფეხზე დაყენება, თუ ფული ექნა. ამ  
 ზემოხსენებულს სასწავლებლებში გამოსულნი  
 იმდენათ განვითარებულნი და გართულნი არი-  
 ან მარტო თავის ხელობაში, რომ გარეშე იმი-



სა სხვა არა ეცოდინებათ რა და თუ თავის ხელობაში ვერ იშოვნეს ალაგი, ისეთივე უღმრთო ნონი და მოუხერხებელნი რჩებიან, როგორც კორპუსში გამოსულები. ისინი მხოლოდ თავის განკერძობულს საქმეს ჩასჩერებიან და სხვა საქმიანობა, საზოგადო საქმის ყურისგდება, ახალი მოთხოვნების, ახალი დროს გარჩევა, თუ ერთ საქმეში ვერ იხეირეს, მეორის ხელის მოკიდება არ შეუძლიათ. ამას გარდა იმათ უნდა ჰქონდესთ უეჭველათ კაპიტალი. უამისოთ ისინი ქვეყნის გამოუდღეგარნი ხდებიან და სადაც ფაბრიკები და ზაფხულები ბევრი იქნება, იქ გასწევენ სამუშაოთ. მაშასადამე თუ ჩვენში ფეხი ვერ მოიკიდეს, საზღვარს გარეთ წავლენ. დურგალს თუ შინ არ ექნა სამუშაო, ქალაქში წავა. იმათი საქმეც ასეა.

უნივერსიტეტი კი სულ სხვა რიგზე ზრდის ახალგაზღობას. თვითონ სახელი უნივერსიტეტი (universitas—საქვეყნო, საყოველთაო) აჩვენებს, რომ იმაში გამოზდილს ყმაწვილს ყოველ საქმეში თვალი აქვს ახელილი, ყოველს საქმეს

გონება უწელება და ცხოვრების მოთხოვნილებების გაგებაში განსაკუთრებით გონება-ფიზიკის უნივერსიტეტის მოწაფე არაფერ მეცნიერებაში თავით ფეხებამდის არ არის ჩაფლული, მაგრამ ყოველს მეცნიერებას, ყოველს საზოგადო და კერძო საქმეს ზევიდგან დაჰყურებს. რასაც უნდა მოჰკიდოს ხელი, ყველას მოკლევანში იგებს და ყველაფერში ოსტატი ჰხდება.

უნივერსიტეტის კურს დასრულებული ორის სამის წლის განმავლობაში, თუ მოინდომა, შეუძლიან გახდეს საუკეთესო მეურნეობის მეცნიერი, საუკეთესო ინჟინერი, საუკეთესო ტექნოლოგი და სხვ. ევროპაში მაგალითებით დამტკიცებულია, რომ პირველი კაცები ყოველ ხელობაში და მეცნიერებაში სულ უნივერსიტეტელები ყოფილან და არიან.

ამას გარდა უნივერსიტეტი ზრდის ისეთს ახალგაზდობას, რომელსათ სისხლში აქვს გამჭვდარი საზოგადოების სიკეთის წადილი. ის ჩვეულებრივის გონების სიფიზლით აღევნებს საზოგადო საქმეებს თვალს და სადაც გასაჭირია, იქ ეტანება.





რომელს ქალაქშიაც უნივერსიტეტი, ის ქალაქი ჰხდება ყოველს საქმეში და წინააღმდეგობული, იმის მცხოვრებლებს ემატებათ ცოდნა და გონების სიმკვირცხლე, პათიოსური მოქმედება მრავლდება, ზნე მალღდება.

ამას გარდა როგორც რომელიმე საკვების მცენარის საზრდოთ შემოღება, მაგალითად კართოფილის, ან სიმინდისა, ამრავლებს იმ მხარეში კართოფილის ან სიმინდის თესვას—ყველა ცდილობს ეს მცენარე გააშენოს, ამიტომ რო კარგი ფასი დაეღება, რადგან ყველა იმის ჭამას ეჩვევა—უნივერსიტეტიც სწორეთ ამავე გვარათ ამრავლებს მხარეებში გიმნაზიებს და დაბალ სასწავლებლებს თავისი პანსიონებით.

უნივერსიტეტში შედიან გიმნაზიის კურს და სრულდებულები. მაშასადამე უნივერსიტეტის გახსნით, უეჭველათ ეს სასწავლებლებიც უნდა გამრავლდეს მხარეში, რადგან ყოველ წილობით ასს და ორასს გიმნაზიის კურს დასრულდებულს ითხოვს.

ბევრნი იტყვიან, თავად-აზნაურობა მეტის მეტი სიღარიბისგამო ველარ ძლებულობს თავ-

ვის შეიღების არამც თუ სადმე გამოზღას, — არამედ იმის ჩაცმადახურვაც უძველდებოდა, ასე რომ ხშირათ შეხვდებით სოფლათ აზნაურის შეიღებს კონქებში გამოხვეულს და შიშველ-ტიტვლებსაც. მაშ რაგვეუნივერსტიტება, ჯერ ისეთი სასწავლებლის გახსნა გვინდა, რომ მელსაც შეეძლოს მარტო ამ შიშველ-ტიტვლების რჩენა და რისიმე სწავლებაო. ამის გამო დაუმატებენ ისინი-საჭიროა ისეთი სასწავლებლის გახსნა, სადაც განსაკუთრებით ჩვენი სოფლის თავად-აზნაურობის შეიღები იზრდებოდესო სახელმწიფო ხარჯზე. მაგრამ ამისი მოქმელნი ივიწყებენ, რომ იქ საცა შეიძლება ნუხური ყურძნის ჭამა, კრიკინას ანუ გარეულს ყურძენს ვინ მოკიდებს ხელს. თუ კი უნივერსიტეტი იქნა, ადრე თუ გვიან შემოხსენებული სასწავლებელიც უნდა გაიხსნას და ერთი კი არა რამოდენიმე. და ამ სასწავლებლებში მიუცილებლათ უფრო ბევრი ვაკანსიები დარჩებათ ჩვენებს, ვიდრე ერთს რომელსამე სასწავლებელში, თუნდ რომ იმაში მარტო ჩვენ თავად აზნაურის შეიღების მეტს არავის იღებდენ. ამას ბევრი თქვა არ უნდა.

საშუალო სასწავლებლების გამრავლებასთან



უნივერსიტეტი კიდევ გააუმჯობესებს იმათ მისცემს ერთს რიგს, საუკეთესო სწავლების წესს, რომლის გამო საუკეთესო მასწავლებლებიც გამრავლდებიან ერთი ორათ. მაშასადამე უნივერსიტეტის დაარსებით ახლანდელი გიმნაზიები ერთი-ორათ გაკეთდებიან.

გემნაზიაში კურს დასრულებული ზნით ნორჩი ახალგაზდობა პირდაპირ შედის უნივერსიტეტში. მაშ უნივერსიტეტი, აჩენს მხარეში ისეთს მოსწავლე ახალთაობას, რომელიც ჯერ ცხოვრების ბოროტებისგან შეუსვრელი, უმანკო და ახტაცებული მეცნიერების ძიებით კეთილგაფლენას დანერგავს თვითონ საზოგადოებაში.

მოკლეთ ვთქვათ: უნივერსიტეტი ამრავლებს განათლების წყაროებს მხარეში, და თვითონ ამ წყაროებსაც თან და თან აუმჯობესებს. თავის თავად უნივერსიტეტი ზრდის მოხერხებულს, მშრომელს და ახალ მოთხოვნილების ნათლათ მსჭვრეტელს თაობას, ბოლოს ამრავლებს მეცნიერებაში და ბევრნაირ ხელობაში განვითარებულს კაცებს, სპეციალისტებს. ყოველივე ამა თვისების გამო ჩვენს გაჭირებულს მდგომარეობას თუ რამე უშველის, ისეე უნივერსიტეტი.



# ბედნიერი საღისე

(იტალიანული პოეტის ჯუსტის მიხედვით).

ჩვენისთანა ბედნიერი  
 განა არის საღმე ერი?  
 მძიმე ყალბით,  
 ლამაზ თაღნით,  
 მორთული და მშვენიერი.  
 უწყინარი,  
 უჩივარი,  
 ქედ-ღრეკილი, მადლიერი.  
 უშფოთველი,  
 ქვემძრომელის,  
 რიგიანი, წესიერი.  
 ყოვლად მთმენი,  
 ვით ..... ცხენი,  
 ნახენდი და ღონიერი.

\* \* \*

ჩვენისთანა ბედნიერი  
 განა არის საღმე ერი?!  
 ყველა უნჯი,  
 ყველა მუნჯი,  
 გულჩვილი და ლმოზიერი;  
 თვალ-აბმული,

.....



ქართული  
ბიბლიოთეკა

.....  
 ყველა ყოფი,  
 ყველა ცრუი,  
 ჰკვა დამჯდარი, გულ-ხმიერი  
 მცირე, დიდი  
 ყველა ფლიდი,  
 ცუდლუტი და მანკიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი  
 განა არის სადმე ერი?!  
 მტვერ-წყურილი,  
 თე-დაბრილი,  
 ყოვლად უქმი, უდიერი;  
 უზოულონა,  
 გზამრუდოანი,  
 არ გამტანი და ცბიერი;  
 მტრის არ მცნობი,  
 მოყერის მგმობი,  
 გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;  
 არ რის მქონე,  
 არ რის მცოდნე,  
 უზრუნეელი და მშიერი.  
 ჩვენისთანა ბედნიერი  
 კიდევ არის სადმე ერი?

\*\*\*.

1871 წ. 29 აგვისტოს.



ქართული  
ლიბრარიონი

## ნადირაძე

(გუბღვი ჩემს ძაღვს)

კულ ქიცინა და შაე-ყურა,  
ჩემო ძაღლო, ჩემო მურა,  
სულ ყველამ ქირი მოგჭამოს,  
ვინც მე ტყვილათ დამემღურა!...

რადგანც კაცში მეგობარი  
უსასყიდლო არსად არი,  
სულ ძებნით რომ გაღვიაროთ  
ოცდა ათი მთა და ბარი,

აწ მეგობრად გირჩევ შენა!...  
თუმც, პირ-უტყვეო, არ გაქვს ენა,  
მაგრამ გშეენის კულის ქნევით  
ერთგულების გამოჩენა.

როს მე სველით მიწუხს სული,  
შენც გიღრინავს მაშინ გული,  
წუწკუნით თვალეზში მიცქერ  
შენ კულ-გამზიკინებული.



და მოლხენას რომ შემატყობ, მონუსული  
ბიბლიოთეკა  
ჩემს სიხარულს შუა იყოფ: ბიბლიოთეკა  
კუდს აქიცილებ, ნაფარდობ,  
ყურებს ცქვეტ, ჰყეფ და ამაყოზ!

—  
არ ხარ კაცსაფით შავ პირი,  
მეგობრებს აწ აღარ ვსტირი,  
რადგანც შენ დაგემეგობრე —  
ყველამ შენ მოგქამოს ჭირი!...

—  
ბევრნი ტყვილათ თავს იმკობენ,  
კაცი ვართო ამაყოზენ,  
მაგრამ მხოლოდ შენ გბაძავენ:  
ძაღლოზენ და ვერ იტყოზენ.

—  
უსაქმურად ტყვილა ჰყეფენ,  
რ — — სულითა ეძებენ,  
ძლიერს ფეხებს უსლაქავენ,  
სუსტებს კი საზრდოს სტაცებენ.

—  
ვხედავ, გაძვირდენ კაცები,  
ნაცვლად მრავლოზენ მხეცები,  
მაგრამ ბევრნი ვერა ჰხედვენ,  
რადგანც არიან ბეცები!...



აწ მე და შენ ვინადიროთ!  
და მჭვრეტელნი გავაკვიროთ!  
მოედანზედ გამოვადლოთ  
ის მხეცები, და ვიჭიროთ.

ჩუ! გამოხტა ერთი მხეცი  
სსსი!... ჰკარ მაგას!... მაგას ეცი!...  
რა მხეცია, ერთი ენახოთ?  
დამართნია კიდევ ქეცი!.. —

*Handwritten text in Georgian script, likely a signature or a note:*  
ავსხვილა... მუკარია  
მამუკარი... მამუკარი...  
ქარი... ვინა... მამუკარი...  
მუკარია... მამუკარი!

ეგ კულ მოკლე, შუბლ-მაგარი  
პირუტყვების თავი არი,  
თუმც გარჩევა კი არა აქვს  
სწორათ უჩანს მას მთა-ბარი!..

მეგობრები ჰყავს ათასი,  
თუმც კიტრია მაგის ფასი! ..  
— შეუტევე მაგ ყურ-გრძელსა.  
ამუ! ამუ! ჰკარ მაგას!... სსსი!...





ტყვილათ განლართულა თოქში,  
 სჯობს წაბძანდეს ვირის ჯოგში!  
 აცე ვირო! აცე, ვირო!  
 მიედახრათ: «ჩოქში! ჩოქში!»

—  
 აბა კიდეე ჩემო ძაღლო,  
 მოუყეფე ახლო-მახლო,  
 გამოაგდე მოუდანზედ  
 მხეცი, კბილი კი არ ახლო!....

—  
 ჩუ! გამოხტა!.. ესეც ორი!....  
 რა მხეცია?—გახლავსთ ღორი!  
 ღრუჩუნითა მოძუნძულობს,  
 მსუქნათა აქვს ტანზედ მძორი.

—  
 კუდსა ბზეკს და თავს დაბლა ხრის,  
 მისის ღრუნჩით მამულსა სთხრის,  
 სხვის ეზოში ნაგავსა შხრეკს,  
 გამოაქვს და შარაზედ ჰყრის.

—  
 მაგის ყველას ეშინია  
 რადგანც აქვს დიდი —  
 თვისას სერის სხვის ეზოს სწმინდავს  
 ერთ-გული და მომჭირნია!...

ჰკარ-მაგას! ნუ შეგეშინდა!  
 ეგ პირუტყვი ჩვენ ნუ გვინდა!  
 წარსრულია მაგისი დრო,  
 მაგის დილა დაიბინდა!

სსსი! აწ თაფი მოუარე  
 უკბინე და გაამწარე,  
 რომ ხალხში აღარ განოჩნდეს,  
 მოძებნოს თავის სალოარე!

მოუყეფე! აბა! ეცი!...  
 ჩუ! გამოხტა კიდევ მხეცი!  
 აბა სცანით რა მხეცია?  
 თუ არა ხართ ყველა ბეცი! -

ყურ-ცქვიტინა და კულ-გრძელა  
 მოცუნცულებს ნელა-ნელა!  
 აბა კარგათ გამოვიცნოთ,  
 დაუკვირდეთ მაგას ყველა!

ეხედავთ, ვიცნობთ: გახლავსთ მელა,  
 მაგან ყველა მოგვინელა:  
 არც მტერსა და არც მოყვარეს,  
 არ ზოგავს თუ დაიხელა!...



წინ მეტად შორს იყურება,  
როს სხვის ეზოში მიძვრება  
და ვაი, მაგის მიმდობსა,  
რა უწყალოთ ტყაფი სძვრება!

სხვის ხარჯით გასუქებული  
დადის ეგ გაწუწუკებული,  
გაუტანლობით, ლალატით  
და ეშმაკობით ქებული!

სსსი! მურა მაგას უკბინე!  
სერი გადაარბენინე!  
კულიდამ ტყაფი ააძრე  
და თავზედ გადააფინე! ..

მოუყეფე! მორბის მგელი,  
ეგ მყრალი და საძაგელი;  
სულ მაგისგან ამოვარდა  
საწყალი ჩვენი სოფელი!..

ურცხვად, უშიშრად ტანტალობს,  
საზრდოს სტაცებს ყველას ძალობს,  
მაგრამ ვერ ვინ რას უბედავს,  
რადგანც თვითონ დათვი სწყალობს.

მაგრამ დათესაც მოუვა დრო,  
 მოაგონდეს თავის სოროს,  
 უტეხს ტყეში გლიჯინობდეს,  
 აღარ ჰქონდეს ბინა მყუდრო!

მაშინ მგელსაც დაივიწყებს,  
 ტაცებაზედ ხელს აიღებს  
 და ახლა, რომ ფეხებს სლოქავს  
 იგივე ძალლი შეუუყვებს.

მოუყუფე კიდევ ჩქარა!  
 ან და ნუ ჰყუფ!—აწ კი კმარა!..  
 თორემ ამ ერთგულებისთვის  
 დაგვერქმევა მეტიჩარა!..

დღეს სიმართლეს ვინლა ეძებს!  
 დავანებოთ თავი მხეცებს!  
 თუ სულ ყველა გამოვაგდეთ,  
 ცოტას ვნახავთ ჩვენში კაცებს!..

ესე ჩენი ერთგულება,  
 ვფიქრობთ, ბევრს არ ეყურება!  
 მართლისათვის, კარგათ ვიციით,  
 რომ ბევრი დაგვემღურება!!

მაგრამ შენ, ჩემო ქუცურა,  
 ტკბილათ მყეფო, კარგო მურა,  
სულ ყველამ შენ გენაცვლოს,  
 ვინც ამ ლექსზედ დაამბოტურა!

აკ. წერეთელი.

1864-სა წელსა  
 მოსკოვი. —





# „დროების“ კანტორის

1872 წლის

მიიღება თფილისში — «დროების» კანტორაში  
(ხანის ქუჩაზე, მედიქიშვილის და კამ. სტამბაში)  
და «კრებულის» კანტორაში.

ქუთაისს — გერასიმე კალანდარიშვილთან (სა-  
სულიერო სასწავლებელში).

## ხელ-მოსაწერი ფასი

	მან.	კაპ.
მთელი წლისა, გაუგზავნელათ	— 6	
თფილისში და სხვაგან გაგზავნით	— 7	
ნახევარი წლისა, გაუგზავნელათ	— 3	— 50
გაგზავნით	— 4	—

გინც მთელი წლის «კრებულისა» და «დროების»  
დაბარებას მოინდომებს, იმან ერთი თუმანი  
უნდა გამოგზავნოს «დროებისა» ან «კრებულის» რე-  
დაქციის კანტორაში.

«კრებულს» ახალი სალიტერატურო ქუთაის-  
ლი ქართულ ენაზე გამოდის ყოველ თვე, სი-  
ვრცით თოთხმეტ კატა-ა თაბახიდეან მოცემდ.

### «კრებულს» ფასი:

«კრებულს» ღირს წლობით:

თფილისში, გაუგზავნელათ ხუთი მანეთი.

გაგზავნით ყოველგან — ექვსი მანეთი.

თითო წიგნი ცალკე, გაუგზავნელათ ათი შური.

გაგზავნით — სამი ანაზი.

«დროებაზე» და «კრებულზე» ვანც ერთ-  
ხელს მოაწერს, იმისთვის ეს ორივე გამოცემა  
ელირება ერთი თუ მანი წელიწადში.

### ხელის - მოწერა მიადება:

თფილისში: «კრებულს» კანტორაში, სერგიუ-  
ვის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში, დუბელარის (ბ.  
წერეთლის და ამხ.) სტამბახთან.

ქუთაისს: გურასიძე ვლადიმერის ძე, სასულა-  
ვრო სასწავლებელში. — ქალაქს გარეთ მკხოვრებმა ამ  
ადრესით უნდა მოაწერონ: «Въ Тифлисе, въ кон-  
тору грузинскаго журнала «СБОРНИКЪ»,  
при типографіи Дубелира (Г. Церетели и К.).»

ამავე ადრესით უნდა გამოაგზავნოს «კრებულში»  
დახაბეჭდი ხელნაწერები.

რედაქტორი და გამომცემი ბ. წერეთელი.